

თინათინ ძიძიგური

ავლის სახურავი



Ici vient devoir
l'est d'amour du
melle et pur

თინათინ ძიძიგური

უფლის
სახუკაბი



თბილისი
2009

თინათინ ძიძიგური

ინჟინერი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი; ექიმი. 13 სამეცნიერო ნაშრომისა და საავტორო მოწმობის მფლობელი.

დაიბადა 1945 წლის, 2 სექტემბერს, ბოდის წმ. ნინოს სახელობის მონასტერში.

1963 წ. სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა საქ. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. მიიღო ინჟინრის კვალიფიკაცია. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ მიენიჭა ტექნიკურ მენცნიერებათა დოქტორის წოდება.

13 წელი ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

1983 წელს, 37 წლის ასაკში ჩააბარა სამედიცინო ინსტიტუტში. მუშაობდა ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში მეან-გინეკოლოგიის კათედრაზე.

ჰყავს ორი შვილი, შვიდი შვილი შვილი და ათობით შვილობილი.



...não é só o que temos de mais valioso, é o que

რედაქტორისგან

„უფლის საჩუქრის“ ავტორი, ქალბატონი თინათინ ძიძიგური, უაღრესად საინტერესო, მრავალმხრივი ნიჭის მქონე ადამიანია. ამ წიგნში თავმოყრილი ნაწარმოებებიც მისი შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენის, თვითგამოხატვის ერთ-ერთი საშუალებაა. ქალბატონი თინათინი მუდამ მზად არის, სიახლის მისაღებად. მას სურს, უფრო ღრმად შეიმეცნოს სამყარო, რათა გააცნობიეროს ადამიანის როლი და ადგილი სამგანზომილებიან სივრცეში. რა გასაკვირია, თუ მსოფლიმედველობის ჩამოყალიბების პროცესში სურვილი გაუჩნდა კალმისთვის მოეკიდა ხელი და ქალალდზე გადაეტანა განცდილი, ის, რაც საკუთარ თავთან მარტო დარჩენილმა გააცნობიერა ღვთისაგან ბოძებული შინაგანი ფსიქოლოგიზმის წყალობით. მას ეხერხება ადამიანთა სულების ჭვრეტა და მოვლენათა ორიგინალური შეფასება. თინათინ ძიძიგურის ნაწარმოებები ერთი ამოსუნთქვით იკითხება. ცხოვრების ფილოსოფიური ჭვრეტა მის ნაზრევს უაღრესად საინტერესოს ხდის. განსხვავებული ხედვა ორიგინალური აღქმა მკითხველს არაერთხელ გააოცებს. თავისი ჩანახატებითა და მოთხრობებით ქალბატონმა თინათინმა საკუთარი მიკროსამყარო შექმნა.

შეიძლება იყო არაჩვეულებრივი სპეცი-
ალისტი, მაგრამ არ იყო პიროვნება ან პირიქით.
ამას ქალბატონ თინათინზე ვერ ვიტყვით,
რადგანაც უაღრესად საინტერესო პიროვნებაა.
ახალგაზრდული შემართება მას განუმეორებელ
ხიბლს ანიჭებს. ამ ადამიანმა სრულყოფილების
ძიებაში, სულის სიღრმეებიდან პატარ-პატარა
მარგალიტები ამოიტანა, წიგნად აკინძა და
ყველას გვაჩუქა. ცხოვრების მისეული აღქმა,
ცინცხალი მიღვომა, ნებისმიერი რანგის
მკითხველს დააინტერესებს.

„უფლის საჩუქარი“ თინათინ ძიძიგურის
სულის სარკეა, რომელშიც თითოეული ჩვენგანი
ავტორის ჭეშმარიტ სახეს დაინახავს.

სიყვარულითა და პატივისცემით

ნინო

გოძიაშვილი

ავტორისგან

ამ წუთის სოფელში, მთელი ცხოვრების მანძილზე, უფალი მრავალ დღეებს გვიგზავნის, ზოგი განსაცდელისაა და ზოგიც სიყვარულის, ზოგჯერ ორივე ერთად. ზოგჯერ გამოსაცდელი გვგონია და ამ დროს იგი მისგან ბოძებული საჩუქარია – გადატანილი განსაცდელის საფასურად, რომ შეიგრძნო ცხოვრების მშვენიერება და სიყვარული. ზოგჯერ ის ბევრი არ არის, მაგრამ მთელი ცხოვრების ტოლფასია. ზოგჯერ ნახევარი საუკუნის ცხოვრება არაფერია და ზოგჯერ რამდენიმე დღე მთელი ცხოვრებაა ან მთელი საუკუნე.

ჩემთვის კი, როგორც ბოდბის წმ. ნინოს სახელობის მონასტერში დაბადება, ასევე ჩემი შემოქმედებაც, უფლისგან ბოძებული საჩუქარია, რომელმაც დიდი ბედნიერება მომიტანა.

ჩემო საყვარელო მკითხველო! დე, ეს წიგნი თვითოვეული თქვენგანისთვის, ყოფილიყოს უფლისგან საჩუქრად ბოძებული, მთელი ცხოვრების ტოლფასი დღეების გაელვება.

P.S. ძვიფასო მკითხველო! მეგობრების ძალისხმევით გამოცემული ეს მცირე ზომის წიგნი გამომაქვს თქვენს სამსჯავროზე, ნუ იქნებით ძალიან მკაცრი; მის ავტორს არ აქვს პრეტენზია, გაუტოლდეს პროფესიონალ მწერლებს. ეს მისი

მოკრძალებული შემოქმედებაა, რომელსაც
დღის შუქი, სითბო სწყურია და მხოლოდ
თქვენი სიყვარული ესაჭიროება.

၁၃၁၂ အာဆန် နှစ်ရွေးချင်မှု လောက်

ရွှေမြစ်၏ ပို့ဆောင်ရွက်မှုများ
ကျော်လှမ်းတွေ၊ ပို့ဆောင်ရွက်မှုများ
နှင့် အသာဆောင်ရွက်မှုများ
အာဆန် အသာဆောင်ရွက်မှုများ
နှင့် အသာဆောင်ရွက်မှုများ အာဆန်

ဘဏ်အဖော်

အာဆန် အသာဆောင်ရွက်မှုများ
အာဆန် အသာဆောင်ရွက်မှုများ အာဆန်
အသာဆောင်ရွက်မှုများ အာဆန်
အသာဆောင်ရွက်မှုများ အာဆန်
အသာဆောင်ရွက်မှုများ အာဆန်
အသာဆောင်ရွက်မှုများ အာဆန်
အသာဆောင်ရွက်မှုများ အာဆန်
အသာဆောင်ရွက်မှုများ အာဆန်
အသာဆောင်ရွက်မှုများ အာဆန်
အသာဆောင်ရွက်မှုများ အာဆန်
အသာဆောင်ရွက်မှုများ အာဆန်
အသာဆောင်ရွက်မှုများ အာဆန်
အသာဆောင်ရွက်မှုများ အာဆန်
အသာဆောင်ရွက်မှုများ အာဆန်
အသာဆောင်ရွက်မှုများ အာဆန်
အသာဆောင်ရွက်မှုများ အာဆန်
အသာဆောင်ရွက်မှုများ အာဆန်

... და მაიც ბეჭინი ვარ!

„ბერი?!“... ჰო, „ბერი“ ვარ, „ბერი“!

ოო..! ჩემო ნიღაბო, ჩემი მუზარადი ხარ, რამხელა სივრცეს შემოსაზღვრავ!? მშფოთვა-რეს, გამოუცნობელს, დიდი ტვირთი გაწევს. მერამდენედ უახლოვდები ამ ზღვის ნაპირს. შენი სულივით უკაცრიელს, მარტოობა მახრ-ჩობს. სული კი ბობოქჩობს მის წილს-გრძნობას მოითხოვს. მოდიხარ და ელი, ელი, რომ ოდესმე ამ აბობოქჩებულ ტალღებს გამოჰყვება, მო-გიახლოვდება მშფოთვარედ და ჩაგეკონება.

საოცრებაა... ბუნებაც კი შენს განწყობას შეეფარდება, საღამოს ბინდში, ღრუბლებში, მოწითალო დაისის მზე ეკონება ზღვის კიდეს, ერთხელ კიდევ უნდა თავისი სხივები კლან-შებად ჩაარჭოს და არ გაუშვას. აი, აი მიუახ-ლოვდა, შეეხო, ოო... აი ასე. ჩემი სულიც გა-ნაზდა მასთან ერთად, თითქოს დავწყნარდი, მა-გრამ გაქრა, დინებას გაჲყვა. კიდევ დაეშვა მზე, კიდევ გადაგორდა, მიიწევს, მიიწევს მისკენ, შეჩერდა, არ უნდა სამუდამოდ დაკარგოს; გაიტრუნა, რაღაცას ელოდება. მეც ველოდები. დავიღალე ამდენი სიარულით, დავიჩოქე, დავწეჭი კიდეც, ხელით და სხეულით შევეხე ზღვის კენჭებს, ხელები გავიწოდე მიუწვდო-მელი ტალღებისაკენ, რომლის კალთებს მზის სხივები მოაქვს იმის იმედით, რომ თუნდაც ჩემი

თითების ბალიშები მაინც შეეხებიან. მერამ-
დენედ ველოდები!? რა? ამაოებაა?!

— არ მინდა, არ მინდა ამის დაჭერება. ვიწვები
და ოვინიერად დაველოდები მის მოსვლას.

ლელავს, ლელავს როგორ ლელავს და მეც
მეტად მაღელვებს. აი გამოემართა, გავი-
ტრუნე, თითები დავჭიმე რაც შეიძლებოდა,
მოვიდა, მომიახლოვდა, თითის წვერს შეეხო,
აი ჩავი-კა-რი და გაქრა, გაქრა, ღმერთო ჩემო,
დავიტანჯე, სული შემიღონდა. რა ახლოს იყო
ბედნიერება... არა, კიდევ, კიდევ უნდა ვცადო.
ძალა მაქვს! რაკი გული სავსეა, გამოთბარია, ენ-
ერგიამ მოიმატა, ჰოდა, კიდევ დაველოდები..

ოო... ისევ მოდის, მოემართება აფორიაქებუ-
ლი ჩემსკენ. აი, თითების წვერს შეეხო, მთლი-
ანად თითებს, ხელის მტევნებს, მკლავებს,
გულს! გულს მიუახლოვდა. აი ასე ჩავეკონე,
სხეული გამითბო, ბურანში გავეხვიე. ცოტა
დიდხანს მინდა გაგრძელდეს ეს გრძობა, ამი-
ტომ არ ვიძვრი.

რა არის? რა ხდება? უკუმიმართულება
განიცადა, გულს მიუახლოვდა, ხელებისკენ
აღარ ვუშვებ, ვებრძვი... თითებმაც კი ვერ
დაიკავეს და გაქრა, ვერ მოასწრო, ვერ წაიღო,
ვერ გავატანე ჩემი გულის ნაწილი.

გული საგულეს გადმოვიდა. თითქოს უერთ-
დება მის კალთებს და ამაოდ. კიდევ ველო-
დები..

მოდის! მოდის! მოემართება. ასეთი სავსე,
შშფოთვარე ზვირთებით, არასოდეს გამომარ-
თულა ჩემსკენ. ველოდები, მოუთმენლად
ველოდები.

შემეხო, შემეხო... აი თითები, მტევნები,
სხეული გადამიფარა, გამახვია მის ტალღებში,
გაინაბა, მომისალბუნა, შემატოკა და თან გამი-
ყოლა.

გავყევი რჩეულად მის ტალღებს და მის
ზვირთებში ჩავიმალე. მზეც შემომხვდა
ჰირიზონტზე და ჩვენი საბოლოო გზები შე-
ერწყა...

მომავალი დაისისას მოვარდნილი ტალღა
გულის ტკივილით შეხედავს ნაპირზე ჩემი
სხეულის ნაჭდევს, მიესალბუნება, და მის
გაქრობას შეეცდება.

...და მე, მაინც ბედნიერი ვარ!..

1.05.84

თვალები

რა დიდრონი თვალები გაქვს. ჩავიხედე და დავიკარგე. უკიდეგანო მინდორივითაა. სისხლის ძარღვები პატარა ნაკადულებივით მიედინებიან. მისი გარსი მზეზე ალაპლაპებულ, ქარისაგან მიწვენილ, აბიბინებულ ბალახსა ჰეგავს. წარმოგიდგენია? აქა-იქ მინდგრის ყვავილები შეიმჩნევა, გაზაფხული დაწყებულა, ესე იგი სიცოცხლე დაწყებულა, მე კი არ შემიმჩნევია. თვალის ჰორიზონტზე ლანდი დავინახე.

—ჩემი?

—არ მინდა, რომ დავიჭერო.

—რატომ?

იმიტომ რომ თვალებს რომ დახუჭავ ჰორიზონტი გაქრება. გაზაფხულის წვიმა დაიწყება, ჩამორეცხავს და თითქოს სიცოცხლე შეწყდება დროებით. მე კი არ მიყვარს, არ მინდა ვიფიქრო, რომ ერთი გაზაფხულის ყვავილი ვარ, რომელიც მასთან ერთად გავქრები.

—მე მუხა მინდა ვიყო! მუხა, გესმის??..

მუხა კი, შენს თვალებში ვერ დავეტევი, ეტყობა გრძნობ ამას და ამიტომ სულ მეკითხები — ყვავილი იქნები?!?

ჩუმად გეტყვი — კი!! — თუ ძალიან შემეხვეწები.

1.05.84

პირველიდან პირველამდე

ორი სიყვარულის შედეგად ჩავისახე. გადა-
ვინაცვლე, ჩემი წყლის სამყარო შემექმნა. რა
ტკბილი ყოფილა ეს შეგრძნება. შესანიშნავად
მესმის თევზების. ეს ჩემი პირველი გრძნობაა,
მას არაფერზე გაფცვლი. მშვიდად ვარ ჩემს
სამყაროში, მაგრამ ვინ გაცლის ამ ბედნიერე-
ბას, რაკი შენით ვერ ხვდები, გაიძულებენ. მე
ვეწინააღმდეგები, არ მინდა ჩვეული მდგო-
მარეობის გამოცვლა. მიჭირს ახალ სამყაროში
გამოსვლა. გამომიყვანეს თუ გამოვედი, რა
მნიშვნელობა აქვს, მაინც ტირილით შევხვდი
ამ სამყაროს. შემდეგ გავიტრუნე, შიგადაშიგ
მაინც მაგონდება და ვტირი.

უჩვეულოა, ძუძუს მაწოვებენ. ვინ არის
არ ვიცი, მაგრამ რძის სუნით ვგრძნობ, ესეც
დიდებული გრძნობაა. ორმოცი დღის შემდეგ
კარგად ვხედავ ვინც არის, ჩემია, საკუთარია
— ესეც პირველია. ვუყვარვარ, მიყვარს, რომ
დავინახავ თვალები მიბრწყინდება, კიდევ
ცოტაც და...

დედა! — წარმოვთქვი. ესეც დიდებულია,
რომ სანუკვარ ადამიანს ეძახი, ესეც ხომ პირვე-
ლია?!

ვდგევარ, მეძახიან, ხელები საშველად
გამომიწოდებია, ისინი კი მიტყუებენ, ესეც
პირველი ნაბიჯი. სახე გაბადრული მაქვს, ჩემს

სიხარულს საზღვარი არ აქვს.

აი „ა“ „ი“ – ვიძახი და ბედნიერი ვარ. ესეც
პირველი გრძნობაა, რამდენი პირველია.

სკოლა.

ის სულ თვალებში მიყურებს, – მეც.

სულ ვცდილობთ, რომ ერთმანეთს გავუგოთ,
ერთმანეთს მხარში ამოვუდგეთ. მას მეგობარი
ვუწოდე. ესეც პირველი გრძნობაა. მეორემ არ
გამიმართლა, თითქმის ვიავადმყოფე, როცა
მისი ღალატი გავიგე. ძნელი ყოფილა მეგობრის
დაკარგვა. ესეც პირველი გულისტკივილია.

აი, ჩაიარა, ჰო, ის არის!..

თვალები გამიბრწყინდა, გული ამიტოკდა,
სითბომ და ურუანტელმა დამიარა ტანში, –
სიყვარულია, – მობრძანდა პირველი გრძნობა,
რომელმაც ამდენ პირველში პირველი ადგილი
დაიკავა. რა ძნელია და რა ტკბილია, რა რთუ-
ლია და რა გასაფრთხილებელია.

ქორწინება, –

ესეც პირველია, მენდელსონის მუსიკასთან
ერთად იწყება და მთავრდება. რთულია, ძნე-
ლია, მაგრამ არ გვგონია, რომ გასაფთხილებე-
ლია. ხომ კანონდებულია და მიგვაჩნია – იგი
შეინახავს. ასეა თუ ისე, ესეც პირველია, ისიც
პირველია, რომ ასე გვგონია.

შვილის მოლოდინი. შვილი – ესეც პირვე-
ლია, თითქოს პირველი სიხარული და პირველი
ბედნიერებაა. საფრთხე აღარ არის – ოჯახი სრუ-

ლყოფილია, მისი დანგრევა შეუძლებელია, „მთავარი ფორმაა“, ფორმას კი მექანიკურად თუ არ დაარღვევ – შენარჩუნდება. ჩვენს ქართულ ოჯახებში კი ეს ხომ მთავარია.

სული?! – სული რა არის. სულიერი სამყარო რა მოსატანია, ის ერთხელ რომ შეივსო, საკმარისია, შენარჩუნებული უნდა იყოს. თუ ოჯახი ორმა უნდა შექმნას, აქ ერთიც კი საკმარისიაო. საოცარია, რატომ ჩნდება ეს პირველი გრძნობაც.

მეუღლე შვილით ერთობა, მე საქმით, დაგვაგიწყდა, რომ ვარსებობთ ერთმანეთისათვის და რომ შევსება უნდა ყველა გრძნობას. ვბორგავ, ვეძებ...

როგორი ბავშვივით გაღიმება აქვს. როგორი თვალები და კბილები. პირველად შევამჩნიე, ესეც პირველი მოპარული სიყვარულია და იმდენად ტკბილია, რომ პირველზე ძლიერად მიგვაჩნია.

შვილი იზრდება, მისი ცხოვრების პირველი ნაბიჯები, მისი პირველი სიყვარული, მისი ქორწინება, პირველი შვილიშვილი – ეს ყველაფერი პირველია და ეს ბედნიერებაა.

გახედავ განვლილ გზას და ხვდები, რომ ცხოვრება დასასრულს უახლოვდება და წინ მაინც რაღაც, – პირველს ელოდები.

ძალიან ცუდად ვარ, – ესეც პირველად მოხდა. არ ვეპუებოდი, მაგრამ ჩავიმუხლე. ნელ-

ნელა ძალა მელევა. წინევა დავარდა და ძილად
მივარდი, თვალები დავხუჭე და აქაც პირველ
გრძნობას შევხვდი. სულ პირველი გრძნობი-
დან განსხვავებით, რაღაც ტირილის მაგივრად
— სიხარულის გრძნობით, რაღაც პირველის
მოლოდინში ვარ. თვალს ვახელ და არ მინდა
უკან დაბრუნება, წინ ვიყურები, მწვანედ აბიბი-
ნებულ და გაკიაფებულ სამყაროს ვხედავ...
როცა ეს პირველი გრძნობა მთავრდება, — მაშინ
სიკვდილი იწყება..

და მორჩილებით ვიჩინქებ მის წინაშე იმედით
— პირველისა...

ცხოვრებაში პირველი და ბოლო არ არსე-
ბობს, რაც იწყება ყველაფერი პირველია და
დიდებულია. დაწყება, — ახლის საწინდარია
და არავინ არ იცის, ღირს თუ არა მისი შე-
ჩერება.

ამიტომ გაუმარჯოს ყოველივე პირველს!!!

1.05.84

306 ვარ?!

ვინა ვარ? – გული! გული! ადამიანის სხეულის მეუფე. რაო? ტვინიო და ნერვებიო?
ჰა, ჰა, რას ბრძანებთ.

მართალია ნერვები ამბავს მომიტანენ ხოლმე, ტვინი ამუშავებს და მეუბნება ასე სქობიაო, მაგრამ რა?! თუ ჩემს ძარღვებში არ მოხვდა, ჩემებურად არ გადავამუშავე, ისევ ტვინამდე და ნერვებამდე არ მივიტანე, აბა რა გამოვა. მე კი სადაც მივალ იქვე კვალს ვტოვებ, ჩემი საღებავი სისხლია, მოგეხსენება, როგორი ალისფერია, სადაც ვტოვებ, უკვალოდ ვერ ამოშლი.

სიყვარული დიდი ხელოვნებაა. ხელოვნება კარგი აქტიორის გარეშე წარმოუდგენელია. აქტიორობა კი ყველას არ ძალუდს. ჰოდა, ეს ძალა მე მომაქვს. ხომ წარმოვიდგენია რა ძნელია ჩემს ლაბირინთებში გავლა, რამდენი პარკუჭი, რამდენი სარქველი მაქვს, მთავარ სისხლძარღვებზე აღარ ვლაპარაკობ, ჰოდა ვინც გაუძლებს ამ ორმტრიალს, სწორედ ის გაივლის ტვინს და დარჩება ცხოვრების წითელ ხაზად.

ტვინმა ორი გრძნობა ჩამოაყალიბა, სიყვარული და სიძულვილი. მე სიყვარულის გამგებელი ვარ, სიძულვილი მისთვის დამიტოვებია, რადგან სიძულვილს გონება სჭირდე-

ბა, სიყვარულს მხოლოდ გული. ჰო, და აქაც
პირველი ადგილი მიჭირავს. ასე არ არის
ნათქვამი? სიყვარული ბრმა არის, აბა გონება
ბრმა როგორ შეიძლება იყოს, მე კი თვალები
და მიხუჭია და ისე ვმოქმედებ. ჩემი აზრით, თუ
იცი, რატომ გიყვარს, ის აღარაა სიყვარული;
გონაბამ კი ყოველთვის იცის, რატომ სძულს.
ტვინი ხან ასე მუშაობს, ხან ისე, მე კი მხოლოდ
ერთი მიმართულებით ვმუშაობ. თბილი სისხ-
ლი მიმაქვს ყველგან და ვცდილობ გავათბო
როცა გაცცივდები, მაშინ სიკვდილიც მოვა –
ვერც ტვინი იმუშავებს ჩემს გარეშე, ესე იგი,
მაინც მე ვარ მეუფე! რადგან მე, სიცოცხლე,
სიყვარული და სიკვდილი ვარ!

1.05.84

თუ გამოიყენოთ ეს უკავშირი მათ გადაწყვეტილება
უძრავი გადასახარისხვი იქნება და ამ მოვალეობა
უძრავი გადასახარისხვი იქნება და ამ მოვალეობა
უძრავი გადასახარისხვი იქნება და ამ მოვალეობა

ხელის გული

ხელის გული ვარ! ჰო, ხელის.

ვიღაცამ მითხრა, დიდი რამეცა ხარო!?
—ვარო?! და მერე...

გული, გული ხომ იცი? ჰო, და გამოყევი მარ-
ცხნივ და მარჯნივ მკლავებს, მერე მტევნებს,
დახედე, ოდნავ მოღუნე და შეაერთე.

ხედავ?! ჰო, სწორია, გულის ფორმა აქვს. ეს
გულის ორი ნაწილია. რომ გადმოაბრუნებ, ხე-
ლის გულებს დაინახავ. ალბათ, ამიტომაც ჰქვია
ხელის გული. მარცხენა მე მეკუთვნის, მარჯვენა
შემხვედრებს. თითო ხელზე ხუთი თითია.

—ხუთი რატომ? —

ცერიდან თუ დავიწყებთ — იგი მცირეა,
მაგრამ მსხვილია და ძლიერია — იგი ჩემი სამ-
შობლოა.

საჩვენებელი — ჩემი მშობლებია.

შუა — მეგობრები.

არათითი — ცოლი.

ნეკა კი — შვილებია.

ყველანი სხდასხვა სიმაღლისაა, მაგრამ ერთი
ხელის გული აქვთ საძირკველი. საძირკველი,
რომ ძლიერია მასზე აღმოცენებული ყველა
სიმაღლე მყარია და მტკიცე, ამიტომ სიმაღლეს
უკვე ჭიკუა აღარ აქვს.

მარცხენა და მარჯვენა სიმებითაა შეერთე-
ბული. კაცი, რომ ხელს ჩამომართმევს, ყველა

მისი გრძნობა, თითებიდან მე გადმომეცემა, ჩემგან გულისკენ მიდის, გული ტვინს მიაწოდებს, ტვინი კი უკან დააბრუნებს, მე შევტოკ-დები, თუ ეს დიდხანს გრძელდება ესე იგი – მეგობარია.

თუ დენმა მიჩვლითა, ელდა ნაკრავივით გამოვეცლები...

მივდივარ ჩემს გზაზე, შევაერთებ ხოლმე ორ ხელს და გულად ვიქცევი. გული კი ჩვენი მამოძრავებელია, მე კი მისი, ორი ნაწილი ვარ.

2.05.84

ავტომანიკი აღი – ამავე მანი ცო მარიტკა
ნი ახლ აღი – ამავე მანი ავ თევზები წილი
ამავე მანი აღი – აუგარები აუგარები
აუგარები – აუგ
აუგ – ამავე მანი
ამავე მანი – აუ აუ
ამავე მანი ამავე მანი აუმავები ამავე მანი
აუმავები აუმავები აუ აუმავები
აუმავები აუმავები აუ აუმავები
აუმავები აუმავები აუ აუმავები

მიწა

მიწა ვარ, მიწაა!..

მოდით, — თამარი, გიორგი, ეკა, ნანა, და-
ვითი...

მოდით, მოდით, ნუ გეშინიათ.

შავი ვარ? ბნელი?!?

—არა, არა... მოდით.

ტევადი ვარ, ბუმბერაზი ვარ, გრილი ვარ,
ჭრელი ვარ, მუდმივი ვარ, უცვლელი ვარ,
ურყევი და მტკიცე. განახლებაც შემიძლია,
ამაშია ჩემი მარადიულობა.

ტევადი ვარ, იმიტომ, რომ ყველას ვიტევ.

ბუმბერაზი ვარ შოთათ, აკაცით, ლადოთ,
გალაკტიონით...

ჭრელი ვარ, — რომ ყველა რჯულისას
ვიტევ

მუდმივი, უცვლელი ვარ ყველა სულიერი-
სათვის,

შავი რატომ ვარ? იმიტომ, რომ — სული
რომ სხეულს სცილდება, კანი კვდება, სისხლი
ჩერდება და როცა ხმება, — მუქდება. ამდენი
ერთად რომ ერთდება, — ერთ მასად გადაიქცევა
და ეს მე ვარ, — თქვენი სხეული. ნუთუ სხეული
ასე საშიშია?!

გაჩერებული გული ცივია, ეს მრავალი
შერწყმული სიცივე, ჩემი სიგრილის მიზეზია,
სიგრილე კი ყველაფერს ინახავს. ჰო, და, მეც

გინახავთ, რომ შემდეგ ხელახლა გაგანახლოთ
და სიცოცხლედ გაქციოთ.

როცა გაზაფხულდება, ჩემი ზედაპირი
აბიბინებული ბალახით და მინდვრის ყვავილე-
ბით იფარება და ეს თქვენ ხართ, ჩემო თამარ,
გიორგი, ეკა, ნანა... მძიმედ ამოჭრილი მუხის
ნერგები კი - შოთა, აკაკი, ლადო, გალაკტიო-
ნია... ასე იწყება და გრძელდება სიცოცხლე;
ამაშია ჩემი მარადიულობა.

კიდევ გეშინიათ? ნუ, ჩემო კარგებო...

დედა-მიწად ქცევა, მხოლოდ რჩეულთა
ხვედრია, იგი აგალორძინებთ და მარადისობად
გადაგაქცევთ.

მარადისობა კი მომავლის საწინდარია.

2.05.84

სიცოცხლე და გადაგაქცევა არ არის
ასეთი - ჩორ მოტობი ჩაის ჩატაბა აფეს
აფესია, ატერაუ, იმავ ამერთულება აფესია ჩორ
აფესია ამერთულება - ამერნი აფესი ამ ამერთული
დღუწილას ფარაონ ამერ - ამერთულ ჩორ აფესი
აფესია ცოცხლი აფესია ამერ - ამერ ამ აფესი
აფესია ამ აფესი აფესი აფესია ამერ ამ აფესი
აფესია ამ აფესი აფესი ამერ ამ აფესი
აფესია ამ აფესი აფესი ამერ ამ აფესი
აფესია ამ აფესი აფესი ამერ ამ აფესი

ბედისჭარა?!

ბედისწერა ვარ, ბედის.

ვინა ვარ და გამგებელი ვარ, როგორც ამბობენ. ათი რომ უნდა დაიბადოს, — ერთს ვაჩენ, ხან სამზეც არ ვამბობ უარს. ათს რომ უყვარს, — ერთს ვავაყოლებ. ქალი გათხოვდება, კაცი — ცოლს მოიყვანს და ერთმანეთს მაინც შევახვედრებ. ათი რომ ავალმყოფობს, — ერთს მოვარჩენ. ერთს უკვდავების წყალი არ უშველის და მეორეს ნაკადულის წყლით გადავარჩენ. ათი მოკვდება და ერთი დარჩება.

ო, ბედისწერავ, შენს ძალას გაუმარჯოსო. არავის უფიქრია, რომ ძალა კი არა მაცდური ვარ, მაცდური, — სხვისი ძლიერების გამზომი.

ცხოვრება ბრძოლაა, ბრძოლა არსებობისათვის. ბუნება გამგებელია და შერჩევას აწარმოებს. მე ამ შერჩევის მბრძანებელი და მონაწილე ვარ.

ბედისწერა კი არა, ძალა, ძალა იმარჯვებს, რომელიც ადამიანის ძლიერებას განაპირობებს, ამას კი ბუნებრივი შერჩევა ჰქვია.

3.05.84

გალაკტიონი

ჰო, გალაკტიონი ვარ! – ნამდვილად.

ვდგევარ და შეცყურებ ამ ქმნილებას, ჩემს ორეულს. ვდგევარ კვარცხლბეკზე მარტო, მხრები ოდნავ ამიჩეჩია, სამოსელი საგულდა-გულოდ შემიკრავს, ყელი მომიღერებია, თვა-ლები ჩემი სულივით გამინაბია, გამინაზებია... და ვუსმენ ქარის ზუილს. ვუცურებ და მჯერა, რომ „ქარი ქრის“, – მე დავწერე.

ვიღაცამ თქვა, როდენის ბალზაკივითა დგასო. საქმე დგომაში როდია, ყველა ხე ერთ-ნაირად დგას, მაგრამ სხვადასხვის მთქმელია მისი ფოთლები.

განსაკუთრებით, ეს, საგულდაგულოდ შეკ-რული სამოსელი მხიბლავს, მაწყნარებს, ჩემს აბობოქრებულ სულს ზღუდავს, გარეთ არ უშვებს და არც სხვას აძლევს სულში ხელის ჩაფათურების უფლებას.

„შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს მერი“... რა არ შეთხზეს მის ირგვლივ და არავინ არ იცის, რომ იყი მხოლოდ ჯვრისწერის დროს ვნახე პარიზში. იმდენად შთამბეჭდავი იყო მისი სახე, რომ არ შემეძლო არ აღმეწერა.

ჩემის აზრით, მხატვარს, მოქანდაკეს, მწე-რალს, პოეტს გარჩევა არ უნდა, მისი ქმნილება, მისი სარკეა და ყველაზე კარგად მან იცის, რა იყო მის სულში, როცა მას ქმნიდა.

გასაუბრება დედასთან

—ბედნიერების ფრთხები გამიშლია, ხელში რტო და მანდილი დამიკავებია და ზევიდან დაგყურებ.

—ჰო, შეგყურებ გაოცებული და ვფიქრობ, ასეთი კდემამოსილი როგორ ხარ, არც კი ჩაგიმუხლია, გული სევდითაა სავსე, მაგრამ თვალებში ბედნიერების ცისკარი კიაფობს.

—ძვირად ღირებულია ეს ცისკარი. გული ორადაა გაყოფილი, ჩემში ორი დედაა, ერთი — მეომრის და მეორე — გმირის. პირველი ტირის და ვერაფერს ხედავს, მეორე კი ამაყად დგას. გულში კი ცეცხლი უკიდია, ეს ცეცხლი ხელებში გამოუტარებია, ცეცხლის ალებივით წამოუზვირთია და გადმოგვარვიათ.

—რომ, მივდიოდი, კი მითხარ, — „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსაო“, მაგრამ ასეთს თუ დაგინახავდი არ მეგონა. ოჲ, იქ, ბრძოლის ველზე, როგორ ვინატრე, შენი ხელები და შენი სიტყვები, — ნუ, ნუ კვნესი შვილო, მე აქა ვარ, აქ...

—ჰო... იმ დღეს ნუ გამახსენებ. ჩემი გული შეტოკდა, ტალღებს გადმოაბიგა და მორბოდა შენსკენ. გული ტირის, ჩემო პირმშო, ცეცხლმოდებული, დათუთქულია. ხელებში გამომიტარებია, ცეცხლის ალებად მიქცევია და სამშობლოს გამარჯვებად გადავჭრეულვარ.

ხომ, ხედავ ჩემს წინ რამდენი კიბეა აღმართული. არც ისე იოლია მასზე ამოსვლა და ამიტომ მადლობას გწირავ შენ, იმ ძალისათვის, რომელმაც ამ გამარჯვების კვარცხლბეჭვე ამაყად დგომა შემაძლებინა. მე ბეღნიერი ვარ და ფრთხებშესხმული, რადგან შენ უკვდავება გქვია სახელად.

4.05.84

ხე? ხე!

რა განმარტოებით დგას ეს ხე. გეგონება კეთროვანი იყოს ყველანი ისე შემოსცლიან ირგვლივ. ერთი შეხედვით, თითქოს არ უნდა, რომ შეაწუხონ. ზოგი თანატოლია, ზოგიც ახალგაზრდა, ზოგი მეგობარია და ზოგიც შორებელი, მაგრამ ის მაინც მარტო დგას ამ აფოთლილ და ახლად აყვავებულ ხეებში. შეჰყურებენ და შრიალებენ, გეგონება იცინიან.

რატომ დგას? — მოჭრან, — მომესმა.

ოჟ?! არა შვილო. აბა, შეხედე, როგორი ნაშრომი და ნაჯაფარია. რამდენი კორძები აქვს ამოსული უძილო ღამეებით. როცა ხე იზრდება და ასაკში შედის, ფესვები უფრო ღრმად და ღრმად მიიწევს მიწაში, კლანჭებად გადაიქცევიან. რაც მეტად ღრმა და სავსეა, მით ძნელია მისი მორყევა, რომელიც ზედაპირულია მას პატარა ქარიც კი მოჰყლეს. ხემ კი, რომ იცოდეს მას კიდევ კეთილად გამოიყენებენ დიდი შრომის მერე, თვინიერად, თვითონ მიწვება და ახალგაზრდებს გაატარებს. მოჭრილი, რომ დატოვონ, ვიღაც ფეხს წამოკრავს და შეიძლება ძლიერ დაშავდეს. ფესვებით რომ ამოიღონ, იმხელა ბნელი ღრმული წარმოიშვება, რომ ყველას ჩაიყოლებს და ყველაფერი ახლიდან დაიწყება. ყოველივე ახალი, მართალია მო-

მავლის საწინდარია, მაგრამ ან რბილია და ან უხეში. უხეში შეიძლება უცებ გადატყდეს, რადგან მოქნილობა აკლია. რბილი ირწევა და დრო უნდა მის გამყარებას. ჩემის აზრით კი, ისა სჯობია, რომ კეთილის მოლოდინში, ამ ძველმა ნელ-ნელა გადაინაცვლოს და მყარ საფუძველზე მყარი შენობა აღმოაცენოს. ეს კი მხოლოდ პატავისცემისა და თაყვანის ხარჯზე შეიძლება. სხვაგვარად ძნელია მოწინავეთა რიგებიდან გამოყოფა, დიდი პასუხისმგებლობიდან – უპასუხისმგებლოდ დარჩენა.

დგას მარტო, აქა-იქ ახლად ამოყრილი ფოთლები ამჩნევია დარღისაგან გამხმარ სხეულზე, კოპები შეუყრია, მრისხანედ იყურება და სიმწრის ღიმილით, თითქოს ირგვლივ მყოფთ ეუბნება: სამწუხაროა, მაგრამ თქვენ ეს, ჯერ კიდევ წინ გელოდებათ.

7.05.84

მე ხომ არ ვსტყუი?!

ადამიანი ვარ! რა მნიშვნელობა აქვს კაცი ვარ თუ ქალი, მთავარია, ადამიანი ვარ. ჩემს თვალში ჩხირს ვერ ვხედავ და სხვის თვალში ბეწვს ვამჩნევ. უცნაურია, მაგრამ, რატომღაც საკუთარ თავთან არასოდეს პრეტენზია არ მაქვს, სულ სხვის მიმართ ვარ პრეტენზიული. რაში ვამოიხატება? იმაში რომ დედა ვარ თუ მამა, ასე მგონია მე ვარ მთავარი, მე ყველაფრის უფლება მაქვს მოვითხოვო ჩემი შვილებიდან. შვილი ვარ და, თუ თავიდან ღმერთად მაქციეს, წინ მთაც ვეღარ დამიდგება. ქმარი ვარ და, მიყვარდა თუ არ მიყვარდა მთავარია ვითხოვე. ეხლა ჩემია, საკუთარია და ამაზე მორჩა... ცოლი ვარ და უკანასკნელ წუთამდე ვიბრძვი, ვიბრძვი, სითბოს და გრძნობას ვაფრქვევ. მოვალეობა მაქვს – ოჯახი უნდა შევინარჩუნო. მერე, ნათურასავით გადავიწვები და მკვეთრად მხოლოდ, მაშინ შემამჩნევენ. მეგობარი ვარ და ერთგულებას სხვისგან მოვითხოვ. ვმუშაობ და სხვის პატიოსნებას ჩემსას ვუფარდებ. შედარების გრძნობა უმაღლეს მწვერვალზე მაქვს აყვანილი და კმაყოფილი ვარ. ადამიანი ვარ და მტკიცედ დავიარები, ცა ქუდად არ მიმაჩნია და დედამიწა ქალამნად.

საკვირველი ის არის, რომ საკუთარ შვილს ვუყურებ, რამეს შევამჩნევ და სულ მებადება

კითხვა: ვის ჰგავს?! მინდა დავტუქსო და ვუთხრა, — შენ აქ სტყუი და არასოდეს არ ვფიქრობ იმაზე, ამის მიზეზი მე ვარ, რაღაც გამეპარა... დედა როცა ვარ ვფიქრობ, მე ყველაფერი გავაკეთე, რასაკვირველია უნდა ვუყვარდე, პატივიც მცეს, — მე ყველაფრის ლირსი ვარ და მე ყველაფრის უფლება მაქვს, შეურაცხეყოფისაც კი. არასოდეს არ მიფიქრია, რომ ჩემი შრომის პროცესი, მისი სირთულე მას არ აღუქვამს ფიზიკურად და ამდენად ძნელია ამის გაგება. არასოდეს არ მიფიქრია, რომ ის არ არის მარტო საკმარისი, რომ ცხოველური ინსტინქტით მიყვარს მე. არა, მთავარი ის არის, რომ მას ვუყვარვართ და ამას უნდა გაფრთხილება ვით სანთელს, რომელიც ქარიშხალში მოგვაქვს.

მამა ვარ და სულ ვფიქრობ. მე ვაჭმევ, ვასმევ, ვაცმევ და მე ვარ ოჯახის თავი. დამნაშავე შვილს ვუყურებ და ვფიქრობ, — როგორ გაბედა... გულის კუნჭულშიც კი არ ჩავიხედავ, — მე ხომ არ ვსტყუი?! უტიფრად ვუყურებ თვალებში, მთავარია დამეთანხმოს. აღარ მაინტერებს ის რას ფიქრობს ჩემზე, გულში მწარედ წუხს მის დანაშაულზე, თუ მწარედ იცინის.

შვილი ვარ და თუ ჩარჩოებიდან გადმოვედი, მერე უკალაპოტო მდინარესავით მივედინები, გადავუვლი ყველას და ყველაფერს, სადღაც მცირეოდენ კვალს დავტოვებ და ცოტა ქვე-

მოთ კი, მთლიანად წავიშლები. თავიდან არ ჩამინერგეს, ამიტომ დავრჩი მარტო, და ჩემი მეგზური, — მე.

ქმარი ვარ, ჩემი დამსახურება კარგად ვიცი. ასე მგონია, სიმკაცრე, ეჭვიანობა და მომთხოვნელობაა მთავარი. ზოგჯერ იმასაც ვფიქრობ, სულ იზოლირება გავუკეთო და ჩემია... არასოდეს არ ვფიქრობ, რომ პირიქით ყველას და ყველაფერს უნდა ხედავდეს, და არჩევანს მაინც ჩემზე აჩერებდეს, რადგან მე შევეცდები, ყოველთვის და ყველაფერში მათზე მაღლა ვიდგე.

ცოლი ვარ და ამდენ პრობლემებში ისე გავეხვიე, დავბრზდიალდი და, როცა გამოვერკვიე, მაშინ გამახსენდა, რომ ქალი ვარ, დედა ვარ, რომ ქმარიც დამრჩა გვერდზე და შვილიც. კმაყოფილი ვარ, რომ ყველა მოვლილი და დაპურებული მყავს. დამავიწყდა, რომ სულიერად ვერ შევავსე ვერცერთი და დავკარგე პატივისცემა, ინტერესი ჩემს მიმართ და მაღალი კედელი აღვმართე.

მეგობარი ვარ და ერთგულებას მისგან მოვითხოვ. ის არ მიფიქრია ისე გავაკეთო, რომ მისი სარკე ვიყო. ისე მოვიქცე, რომ მას ღალატმა გულში არ გაუელვოს.

ვმუშაობ და არასოდეს არ ვფიქრობ, რომ ჩემი პატიოსნებით უნდა დავიწყო, სულ იმას ვფიქრობ, მე გზად შემიძლია ყველაფრის გა-

კეთება. მთავარია ის მახსოვს, მე ხომ ვცხოვრობ და უველა პირობა უნდა მქონდეს შექმნილი. ჩემს დასახმარებლად რაღაცას მოიგონებენ ხოლმე, — მე დამავიწყდება და იმდენად ვეძებ სხვადასხვა გზებს, ჩემს საწინააღმდეგოს რომ გამოვჩირიკავ, კიდევ სხვაზე ვრჩები უკაყოფილო. არასოდეს არ ვფიქრობ, — მე ხომ არ ვსტყუი?!

ვსტყუი?! რატომ ვსტყუი?! მე ხომ ადამიანი ვარ, ადამიანი!!! ჰო და...

დედა ვარ, მამა, შვილი, ცოლი, ქმარი, მე-გობარი, მოსამსახურე. რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, ადამიანი ვარ და ვითხოვ თაყვანს, სიყვარულს, პატივისცემას და არასოდეს არ ვფიქრობ, რომ არ შეიძლება ყოველივე ეს მოთხოვნით და ბრძანებით მოვიდეს. ნათქვამია, — „ასჭერ გაგონილს, ერთხელ ნანახი სჭობიაო“.

კარგი იქნებოდა დაგვემახსოვრებინა, როცა ყველაფერი გვაქვს, — თაყვანი, სიყვარული, პატივისცემა, — უნდა გავუფრთხილდეთ და ისე მოვიქცეთ, როგორც ჩვენ გვინდა, რომ მოგვექცნენ. არ იქნებოდა ურიგო, როცა გული გვეტკინება, მეტად ჩვენში ჩავიხედოთ, მიზეზი მოვიძიოთ და თუნდაც წამით, თავს შევეკითხოთ, — მე, ხომ არ ვსტყუი?!

17.05.84

ოუთისოფელი

დღე და ღამე მძივებივით ამიკრეფია, მოციმციმე ციცინათელად გადავქცეულვარ, ხან ავინთები და ხან ჩავქრები. ანთებული დღე ვარ და ჩამქრალი ღამე. დღე და ღამე საუკუნეებად გადამიბია და მაინც წუთისოფელი ვარ. ვისთვის ხანმოკლე ვარ და ვისთვის დღეგრძელი. წუთში ზოგი იბადება, ზოგი ბედნიერდება, ზოგი მხიარულობს, ზოგი იტანჯება და ზოგიც კვდება. ამიტომ მქვია წუთისოფელი. ისე, — წუთი კი არა, — წამი ვარ, წამი, დაბადებიდან — სიკვდილამდე. გავირბენ ხოლმე ამ ბეწვის ხიდს და ვისთვის წუთი ვარ და ვისთვის საუკუნეებად გადავიქცევი. საუკუნეები მრავალი წამისა და წუთების სიმრავლეა და ერთად წუთისოფელი მქვია. საოცარია და ზოგისთვის კვალის დასატოვებლად საუკუნის მეოთხედიც საკმარისია და ზოგს ერთი საუკუნეც არ ჰყოფნის. იმით არის კმაყოფილი, რომ დაიარება ამ დედამიწის ზურგზე, თავის გამძლეობის დემონსტრირებას ახდენს და საკმარისად მიაჩნია. მე კი ორივესთვის მაინც წუთისოფელი ვარ. საოცარი ის არის, რომ პირველის წუთისოფელი მარადისობად გადაიქცევა და მეორის წამად. პირველი ნაკვერჩხლად რჩება და მეორე ფერფლად. ფერფლს ნიავი გაფანტავს და პირველი დარჩება მუდმივ სინათლის და სითბოს წყაროდ, — ხან გაღვივ-

დება, აინთება და ხან დროებით ჩაქრება. ეს
კი მე ვარ, — წუთისოფელი, — კაცობრიობის
მარადოსობის სიშბოლო.

31.05.84

შერილი მეგობარს

ჩემო თ. გიყურებ და მიკვირს, როგორ
შეიძლება, მუდამ ცდილობდე შენი სულიერი
სამყაროს ჩრდილში მოქცევას. მე არ ვიცი რამ
გამოიწვია ეს, მაგრამ ერთში დარწმუნებული
ვარ, რომ შენისთანა ადამიანს არ შეიძლება
კმაყოფილებას ანიჭებდეს ეს მდგომარეობა.
ტყუილად ცდილობ თავის მოტყუებას. ბედნი-
ერი რითი ხარ? თითქოს გალაღებულ ცხოვრე-
ბას ეწევი, გამოხატავ აგზნებულ ლაპარაკში,
სიცილში, მეგობრებთან ქეიფში. გინდა დამარ-
წმუნო, რომ კმაყოფილი ხარ?.. – გამორიცხუ-
ლია. შენ რეალისტი ხარ და მოჩვენებით კმაყო-
ფილებას არ დაკმაყოფილდები. მაგრამ შენ არ
გინდა, შენს მეს დაუბრუნდე და შეეკითხო.
ეტყობა რაღაც ძალიან გავიჭირდა, ცხოვრე-
ბაში წინააღმდეგობას შეხვდი, შეგეშინდა, ან
უფრო სწორედ, დაგეზარა შეჭიდება და შენს
თავში დაიკარგე. ნუთუ არ გინდა შენი მე
ააღორძინო.

ერთხელ მითხარი: მე მინდა შენ ჩემი ისე-
თი მეგობარი იყო, რომელსაც ყველაფერს
ვეტყვიო. მომეყურა? არა. მაგრამ ეტყობა,
მერე ნდობა ვერ დავიმსახურე.

მეგობრების გარეშე არ შემიძლიანო, – რო-
გორლაც სთქვი. ყველას მეგობარს ნუ ეძახი.
მეგობარი ერთი გყავს იმათ შორის, ვისაც მე

ვიცნობ. დანარჩენი ჯერ არ იცი მეგობრები არიანთუ არა. მეგობრები გაჭირვებაში და ბედნიერებაში შეიცნობიან. მაგრამ ერთი იცოდე, რომ თუ დაკვირვებული თვალით შეხედავ არანაკლებად შეიცნობიან წინსვლის დროს. ეს მტკიცნეულია, მაგრამ დასტურია იმისა, რომ მეგობრები ბევრი არ შეიძლება იყვნენ. დროსტარება მხარში ამოდგომა არ არის. ღვინო მარტოც რომ შესვა შემსუბუქებას მაშინაც იგრძნობ. მხარში ამოდგომა და გაგება ფხიზელი გონებით განისაზღვრება. მართალია, ქეიფის დროს გონება ითიშება, მაგრამ გულს, ხომ ვერ გათიშავ. მისი კედლები მძიმედ იკუმშება და ზიანდება. ბზარი თუ გაჩნდა, იგი მთელი არასოდეს არ იქნება, რადგან ნაწიბური რჩება მთელი სიცოცხლის მანძილზე.

ნუ გაიღიმებ, მე ვიცი რომ არაფერი ახალი არ მითქვამს, შენ ჩემზე უკეთ იცი ყველაფერი, მაგრამ არ მინდა რომ დაივიწყო.

კარგია ფიროსმანობა, გალაკტიონინობა. რომანტიულია მოსასმენად მათი განვლილი გზა. მაგრამ მორალური ძლიერება სხვაა. საკუთარი მე ფიზიკურად, რომ დიდხანს არსებობდეს, ეს ჩვენზეა დამოკიდებული, ეს არის ძნელი, თორემ სიკვდილს რა უნდა. მანდ პრობლემას ვერ ვხედავ.

კარგი დავიცავ, მერე რა შეიცვლებაო. რას გულისხმობდი არ ვიცი. ერთია მთავარი და

სამწუხარო, რომ ცხოვრებაში შენს როლს ვერ
გრძნობ. ეს ცუდია, მაგრამ არ ნიშნავს, რომ
არავისთვის არა ხარ მნიშვნელოვანი.

მწარედ ცდები. შვილებს გმირი მამა
უყვართ, — საყვარელ ადამიანს, — გმირი თაყ-
ვანისმცემელი.

ჰო და ეს მრავალმხრივი ნიჭი გამოიყენე და
გმირად იქცი.

გმირი კი — ჩემს ღმერთად გადაიქცევი.

10.05.84

ოცნება

გათენდა ჭვრისწერის დღე. მზე ქალაქს ზენიტიდან დაჟყურებდა, თუმცა ლრუბლები შიგა-დაშიგ სევდიანად გადმოეფარებოდნენ, თითქოს მოულოდნელობისათვის მამზადებლნენ.

ვდგავართ... საყდრის კარები უხმოდ იღება და ჩვენ ფრთხილად შევდივართ. გზა გაგრძელდა და ძლივს მივუახლოვდით... და ორივემ დავიჩინქეთ. „კურთხეული იყავით“... თბილმა სისხლმა დამიარა ტანში. გული ამითრთოლდა, თვალები გამიბრწყინდა, მაგრამ ზემოთ ახედვა ვერ გავტედე, თითქოს რაღაცის შემეშინდა. როცა ჭვრისწერის ბეჭედი თითს შეეხო ურუანტელმა დამიარა ტანში. თბილი გრძნობა ჩაიღვარა გულში და ანგელოზმა ზემოდან ჩამომძახა! უკვე მისი ხარ... ბედნიერების თვალები ავაპყარი ჭერს, რომ მადლიერების თვალებით მაინც შევხებოდი მას, მაგრამ ვერავინ დავინახე, სიხარულს დავაბრალე. საბოლოოდ ერთმანეთს ვეამბორეთ და მოლოცვის მოლოდინში კარებს მივაშურეთ. გზა ისევ გრძელი და ყვავილებით მოფენილი იყო. როცა კარებს მივუახლოვდი, თაიგული, რომელიც ხელში მეჭირა, წინ მეკვლედ დავიყარე. ბედნიერებისაგან ვერ შევამჩნიე, რომ ერთის გარდა, ყველა სევდიანი თვალებით უკან იყურებოდა და მხოლოდ ერთი, ის ერთი წაგრძელებულიყო

და წინ მიიწევდა რაღაცის მოლოდინში. გან-
თავისუფლებული ხელები ბედნიერებისაგან
ზეცას მივაპყარი და როცა ბინდგადაფარე-
ბულმა მზემ, სევდიანად თვალებში ჩამხედა,
გამოვერკვიე... მივხვდი, რომ ეს მე ვიყავი —
მწარე ოცნება.

20.05.84

ჩვენი ერთ გამოკიცვის შედეგაში და მე აუ-
ცხოვდით ასეთი ერთ მოვალეობა და ამავე და-
რღვევა მოიტკინებოდა სასურათო გამორიცხვაში და
აუცხოვდის მიზანი მოვალეობის გადასა-
მცველებლად იყო. მაგრავ მიმდინარე და ამავე და-
რღვევა მოიტკინებოდა სასურათო გამორიცხვაში და
აუცხოვდის მიზანი მოვალეობის გადასა-
მცველებლად იყო. მაგრავ მიმდინარე და ამავე და-
რღვევა მოიტკინებოდა სასურათო გამორიცხვაში და
აუცხოვდის მიზანი მოვალეობის გადასა-
მცველებლად იყო. მაგრავ მიმდინარე და ამავე და-
რღვევა მოიტკინებოდა სასურათო გამორიცხვაში და
აუცხოვდის მიზანი მოვალეობის გადასა-
მცველებლად იყო. მაგრავ მიმდინარე და ამავე და-
რღვევა მოიტკინებოდა სასურათო გამორიცხვაში და
აუცხოვდის მიზანი მოვალეობის გადასა-
მცველებლად იყო. მაგრავ მიმდინარე და ამავე და-
რღვევა მოიტკინებოდა სასურათო გამორიცხვაში და
აუცხოვდის მიზანი მოვალეობის გადასა-
მცველებლად იყო. მაგრავ მიმდინარე და ამავე და-

ვარდი

გარიურაჟდა. ვარდის კოკრები შეირჩენ
და ყელმოლერებულებმა თვალები ზეცას
მიაპყრეს. ნამით დაცვარული ფოთლები მო-
მარჯვებულად დამდგარიყვნენ და რაღაცის
საშველად მომზადებულიყვნენ. კოკრის წვერი
შეირხა, ნელ-ნელა გაშლა დაიწყო – სიცოცხლე
დაიწყო – გულიდან. პირველი ფენა, მერე
შემდეგი ფენა გადმოიშალა, მეორე, მესამე...
ბოლო და გადაიფურჩქნა, კოკორი ვარდად
იქცა. შეჩერდა, სურნელება მოაფრქვია, გაე-
მზადა საცხოვრებლად და აი, უცებ ბოლო
ერთი ფურცელი მონაოჭდა, შემდეგ მეორე...
ნელ-ნელა ცვენა დაიწყო და როცა პირველი
ჩამოვარდა, გული დარჩა. გული, რომელიც
ახალგაზრდულად გამოიყურება. კიდევ
ერთი დღეც და დარდისაგან ჭკნება, რადგან
თუმც სიცოცხლე შიგნიდან, მისგან იწყება და
სიკვდილით მაინც ბოლო კვდება – ზეზეულად,
ვერ პატიობს გარედან შემოჭრილ სიკვდილს.
ფოთლებს ნამი ცრემლებად ჩამოლვენთიათ
და მიწისკენ დაშვებულან იმედიანად, – ახალი
სიცოცხლის მოლოდინში.

3.06.84

სიყვარული

ადამიანის დაბადებასთან ერთად, ყველა გრძნობა, თანდათან იღვიძებს, საბოლოოდ სიყვარული. საკვირველი ის არის, რომ ყველა ტანჯვით იწყება და ტანჯვით მთავრდება. სიყვარული ბოლოა, მაგრამ შთამბეჭდავი და ძლიერია. ვარდივით გაგშლის და ვარდივით დაგაჭკნობს. დამჭკნარს კი არაფერი არ უშველის. სიკვდილის აღორძინებული ის უკვე ახალი და პირველია. უმრავლესობას ჰენახვა შეიძლება და ცდილობენ გულის ფურცლებში გადამალონ. ამაოდ. იგი ჰერბარიუმია და მოგონებად იქცევა. რატოა საკვირველი? განა საზრდოს გარეშე შეიძლება რამე ხარობდეს? ასეა სიყვარულიც, იგი ვარდია და მას ბულბული ესაჭიროება.

3.06.84

...უნდა მოკვდეს დედა?!

ის წყეული დღე გათენდა და სამი ნორჩი სი-
ცოცხლე წაიღო. გაოგნებული და გაუბედურე-
ბულები მიდიოდით და არც კი გიფიქრიათ,
რომ საკუთარ შვილებს შიში გააყოლეთ.
წყალზე თევზებივით ამობრუნებულებმა
ზეცას მიაპყრეს თვალები და თქვენ გეძებდნენ
ნუგეშისთვის. შვილები მიჩვეულია ამტანი
მშობლების ცქერას და მათი გამძლეობის
იმედი აქვთ. თქვენი სიცოცხლის დასრულებით,
ისინი სამუდამოდ მოკვდებიან და წაიშლე-
ბიან დედამიწის ზურგზე. თქვენ კი უნდა
უკვდავყოთ მათი სახელები. ისინი, მხოლოდ
ფიზიკურად არ არიან და მათ გაცოცხლება უნ-
დათ. უცნაურია, — ადამიანი სათნოა და ხალხი
მკაცრი, — უყვარს დაბეჩავებული ადამიანების
დანახვა. თქვენ კი ნუ დაიბნევით, იმ ვაჟკაცების
დედებს არ შეგვერით ჭმუნვა, ვერცერთი ვერ
აიტანს ამის დანახვას. მათ თავიანთი სიცოცხლე
თქვენში დატოვეს, თქვენ უნდა ამრავლოთ?!
როგორც გნებავთ, — გინდათ ახალი სიცოცხლის,
ყვავილის სახით, გაჭირვებული, სხვისი შვი-
ლის სახით, — სულერთია, ოლონდ აცოცხლეთ
ისინი. ნუგეში ის არის, რომ ისინი ვაჟკაცებად
დაიღუპნენ და მიუხედავად მათი ასაკისა, თა-
ვიანთი სახელები დატოვეს. ნუ წაუშლით, — ამ
სახელებს. აცოცხლეთ ისინი. ნუ დაივიწყებთ,

ტანძია

ტანძია, ტანძია ალორ-ძინ-და?!! – მიწა გუ-
გუნებს..

ალორ-ძინ-და! ალორ-ძინ-და! – ექოს ეუბ-
ნებიან მთები.

ირგვლივ მთებით შემოფარგლულ ტაფობზე,
საბას ნასახლარზე, საოჯახო სალოცავიდან, მარ-
ჯვნივ, იასამნის მესამე საუკუნოვან კედელთან,
საბას ალორძინებული სახლი დგას, თუ საბას
დაბალება მამალმა და ოოფის გასროლამ აუწყა
ქვეყანას, ამჯერად მთებმა და მიწამ ამცნეს მისი
ალორძინება.

საოცარი სიჩუმე სუფევს ირგვლივ. ნაომარი
მიწა მშვიდი თვალებით შესცექერის ზეცას,
სიო ნაზად არხევს იასამნის მტევნებს. პურის
თავთავები ესალბუნებიან ქართულ მიწას,
ხეები მრიალებენ და კვნესის ხმით ეძახიან
ქართველებს. ირგვლივ, ამ ტაფობზე, მთის
ძირებში ჭუუფ-ჭუუფად ყაყაჩოებია, რომელიც
აქ დაღუპული მამულიშვილების ამოხეთქილი
სისხლის შადრევნებია. ამაყად ყელი მოუღერე-
ბიათ. აქა-იქ თითო-ოროლა შიგ პურის ყანაშიც
ამოსულა და გამვლელ-გამოვლელებს ეუბნება:
მტრად თუ მოსულხარ, ჩვენი ფერი შუქნიშნად
გამოდგება.

ფრთხილად! ქართული პური ხარობს, უნდა
იხაროს და იგი ქართველმა კაცმა უნდა თესოს

და მოიყვანოს.

იმედის თვალით გაშურებს ტანძია შარას, სადაც ქართველი ქალი ორი შვილით დგას და ყელმოლერებული მრავლად იმეორებს, — „კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეპვები მგლისანიო“.

დგას სადარბაზო, სალოცავის გვერდზე სამარადისო ძეგლად, სადაც „სულხან-საბა ორბელის ძე სიბრძნით აღჭხდა ორბების ზე“.

3.06.84

გველის პერანგი

ზაფხულის მცხუნვარე მზეს არემარე გაე-
ნათებია.

—მიწას ოხშივარი ასდიოდა.

ირგვლივ ბალახი თუ ყვავილი, ხე თუ
ფოთოლი მოთენთილიყო.

მდინარე მდორედ მიედინებოდა. მისი ნა-
პირი ფერდობად გადაქცეულიყო.

სველი ტანით შეუმჩნევლად ამოგსრი-
ალდი.

ქვაზე დანთხეულ ჩემს მახვილს ასალოკად
მივუახლოვდი.

ყელმოლერებულმა მზის სხივით სხეული
შევიმშრალე.

მოვიხედე, — მზის ნისლში ჰაეროვანი არსება
დავინახე.

მოულოდნელად ჩვენს შორის უხილავი სიმი
გაება.

ამ სიმს გავყევი.

მწვანედ აბიბინებულ კოინდარში, ახალ ამო-
სულ მინდვრის ყვავილივით უმანკოდ იდგა.

ფრთხილად მოიხედა.

არ გაქცეულა.

არც ჩემი სიძლიერის, არც სილამაზის არ
შეშინებია.

უმანკოებას, სათნოებას, სიწმინდეს აფრქვევ-

და.

მისი იმედი ჰქონდა.

ვერ გავუძელ მის გულუბრყვილო ნდობას.

ვებრძოლე ჩემს სიბილწეს.

მოულოდნელად შემოჭრილმა სისუფთავებ
თავბრუ დამასხა.

რაკი მახვილი დამრჩა, პერანგი გავიხადე,
ნიღაბი ავიფარე.

ჩემი ყოფილი კეთილშობილება გავითამაშე,
შორიახლო ვუტრიალე.

ღმერთო ჩემო რა მიზიდულობა აღ-
მოაჩნდა.

საოცარი ლამაზიც კი მეჩვენა.

ირგვლივ ჩემი თაყვანისმცემლებიც დამა-
ვიწყდა.

—დილა მშვიდობისა!

—მშვიდობა მოგცეს ღმერთმა!

—აქ რას აკეთებ?

—ვეძებ.

—რას?

—სიკეთეს, სიყვარულს,

გულში ჩავიღიმე.

—აქ რატომ ეძებ?

—თქვეს ძლიერი მზის სხივის ქვეშ სიკეთე
იბადებაო.

—ქვაზე რატომ დგახარ?

—ბილიკს რომ გამოვუყევი, — დასადგომი

ადგილი ვერ ვიპოვე.
—ამხელა მინდორზე?
—რას ამბობ! მინდვრის ყვავილები, ბალახი
რომ გაითელება, — მოკვდება.
—შენ რომ დაიღლები? ხომ არ იცი რამდენ-
ხანს მოგიწევს დგომა?
—არა უშავს. სჭობს ლოდინისგან მე მოვ-
კვდე.
გაჩუმდა.
განაგრძო დგომა.
მე მოსვენება დაკარგე.
ყოველნაირად ვცდილობდი მისი ყურადღება
მიმექცია.
ნიღაბი მოვიხსენი.
თხელ თეთრ პერანგში გავეხვიე.
მაქსიმალურად სითბო მოვიკრიბე.
შეუმჩნევლად მისი სხეულის გათბობას
შევუდექი.
საოცრება გახლდათ.
კარგა ხანს უგრძნობი მეგონა.
ვერაფრით ვერ გავაღვიძე.
ყელს რომ მიუახლოვდი ოდნავ შეირჩა.
ტუჩებს რომ დავეკონე, ვიგრძენი რომ უკვე
ჩემი იყო.
გაიღვიძა.
აფორიაქდა.
შეირჩა მთელი სხეულით.

გაემზადა სიკეთესთან და სიყვარულთან
შესახვედრად.

მე, უჩუმრად იმავე გზით ჩემს ლამაზ პე-
რანგში დავბრუნდი. თავმომწონედ პოზა და-
ვიჭირე.

—ღმერთო ჩემო!

—რა მოხდა?

—არ ვიცი, მგონი სიკეთეს, სიყვარულს შევხ-
ვდი.

—მერე?

—გაქრა?! ნუთუ ასეთი ხანმოკლეა?

—დიახ! სამაგიეროდ, ხანმოკლე სიკეთეს, სი-
ყვარულს მოყოლილი ცდუნებაა ხანგრძლივი,

— ვთქვი და იმედიანად ცოტა გავიწიე.

— მოიცა! არ წახვიდე! იქნებ შენ მოგყვა, შენ
მოიტანე ის, რასაც ვეძებდი?

— კი, მე მოვიტანე.

— მაშ, სადღა მიდიხარ?

— დაველოდები მომავალ შეხვედრას.

— რატომ? მე რომ შემიყვარდი?

— მეც ძლიერ შემიყვარდი! მაგრამ მოვა-
ლეობა?!

— მაშ, რატომ შეეცადე ჩემში შემოჭრას.

— არ მეგონა ასეთ სისუფთავეს თუ შევხვდე-
ბოდი. ისე კი იცოდე, — ყველა ცდილობს ქალის
შეცდენას.

— კი, მაგრამ სიწმინდეში შეჭრა ხომ დიდი

ცოდვაა?

—რასაკირველია, მაგრამ ეს, ისე, იშვიათია,
შენი შემხედვარე მეც ამ იშვიათობის მსხვერ-
პლი შევიქენი.

—გემუდარები, — ნუ წახვალ.

—ხომ გაგაღვიძე, — განა უსიყვარულოდ უნდა
მომკვდარიყავი? შენც ხომ ერთხელ მოდიხარ ამ
ქვეყნად? ვუთხარი, — როგორ მინდოდა მოეთხო-
ვა ჩემი დარჩენა. მას მინდოდა გადაედგა ნაბიჭი,
ყოფილიყო პრეტენზიული, მაგრამ დადუმდა.
თავისთვის საოცარი ჭალათი აღმოჩნდა. მე კი
ანთებული სიყვარულის იმედი მქონდა. არ მე-
გონა თუ ამ დიდი სიყვარულის დაოკებას, ჩახ-
შობას დაიწყებდა. იმედიანად გავემართე ჩემი
მახვილის ასაღებად. აღებამდე ტანი ამაყად
მოვიღერე, მისკენ გავიხედე, — ძლიერი მზის
სხივების ქვეშ დარდისაგან გამშრალიყო. მისი
სილამაზე, სათნოება, სისუფთავე, სიყვარული
შეენარჩუნებინა. ამაყად მდგარი სიკეთის და
სიყვარულის სიმბოლოდ ქცეულიყო.

დარდისაგან თავი ჩავქინდრე.

სიცოცხლე აღარ მინდოდა. ყურადღებით
მივათვალიერე, — ჩემი იარაღიც გამქრალიყო.

სწრაფად გადაწყვეტილება მივიღე, —
გავიხადე ჩემი ჭრელი, ლამაზი სამოსელი.
ავიფარე ნიღაბი, შურდულივით გავწიე მისკენ.
მინდოდა მიმესწრო მისი უკანასკნელ გულის

მდინარე

მ ოვედი,
დ ორდიანი,
ი ორებით
ნ ოტანჯი,
ა ფორიაქებული,
რ ომოდენიმე
ე ოთად, —

მდინარედ წოდებული.
მოვედი ვამცნო ქვეყანას ცის და ბარის
ამბავი.

ცის ამბავი ჭერ საცერივით გამოვცარი.
მთამ შთანთქა, შეწუხდა... ვისარგებლე სულ
გადმოვანთხიე, — გულმა შვება იგრძნო.

მთა გაიუღინთა, — გული გაუსივდა, თითქოს
გაფუვდა. იარები გაუჩნდა. ბარი რომ არ შეეში-
ნებია უონვა დაიწყო.

იარებში გამოუონილი მთის ნაკადულებად
ვიქეცი.

ჩამოვირბინე მწვერვალები, ფერდობები.
მთის ძირთან ახლოს წყაროდ ვიქეცი.
გავუჩინარდი... იქ რამდენიმე შევერთდით.
გავუყევი გზას.

მომაღლო ადგილი დავიგულე.
ჩანჩქერად გადმოვენთხიე. მინდოდა ამ
ძლიერი ხმით ცის და მთის შემაძრწუნებული
ამბავი მემცნო.

იქაურობა შევანჯლრიე. მეგონა ამოსაძირკვი ხე, ბალახი, ლოდი მოვიშორე. თურმე ნუ იტყვი, — პირიქით, — ნაზი ბალახი მიწვა, ნორჩი ხე გადაიზნიქა, ქვები გორვით ჩამომყვა.

ბარს მიუახლოვდი. გავსწორდი. გავიშალე. მოვედი დარღიანი, იარებით ნატანჯი, აფორიაქებული, რამდენიმე ერთად ქცეული, მდინარედ წოდებული.

ფეხდაფეხ ახალ-ახალი ამბები მომყვა.

ციდან, მთებიდან, ბარში ვიმატე, გადმოვედი კალაპოტიდან.

მიწაზე გავერთხი.

გავიპარე... მივდივარ, მივდივარ.

უკან დასაბრუნებელი გზა აღარ მაქვს.

აქედან ზღვად ვიქცევი. მერე ოკეანედ, როცა კიდევ მოვიმატებ, — წარღვნად ვიქცევი. გავაერთიანებ ცის და ბარის ამბავს. უკაცრიელ ადგილს მივუახლოვდები.

გუგუნით ვეტყვი —

მ ოვედი,

დ არღიანი,

ი არებით,

ნ ატანჯი,

ა ფორიაქებული,

რ ამოდენიმე

ე რთად, —

ახალი სიცოცხლე.

28.01.86

სიპვდილი

ს იცოცხლე -	ს იკვდილით
ი ცვლება -	ი წყება
კ აცთაოვის -	კ აცის
გ აებით,	გ ედრებით
ჩ აუცდის,	ჩ აუსრულებელ
ი მედად	ი ქცევა, -
ლ ამაზ	ლ ანდებად
ი ისფერ	ი ებად,

იქნებ იგსება?
იქნებ იცვლება?
მომავლის იმედით...

„ლენინგრადი – თბილისი“
თვითმფრინავი

18.03.86

სანთელი

ბინდი? –

არა! მიყვარს ღამე, უკუნი ღამე.
განათებ.

ბინდს რად უნდა განათება. განათება, გა-
ნათლება ღამეს სჭირდება.

მე ერთი ჯოხივით არსება ვარ. სიგრძეს,
სიგანეს თუ მოვიმატებ თუ არა – ფორმას არ
ვიცვლი.

სხეულისგან, სულისგან შევდგები.

როცა ვანთივარ სული მხოლოდ მაშინ
ჩანს.

ნელ-ნელა ვიწვი.

ნელ-ნელა ვეთხოვები სხეულს. სხეული თან-
დათან უფორმო, მახინჭი ხდება. ე.ი. სხეულის
სილამაზე სულს მოაქვს.

რამდენიმე წამი ვანთივარ.

ეს წამები მინდა ყველა თავის მესთან
დარჩეს.

დაფიქრდეს.

დაბადების დღეს – ადამიანი გასულ წლებს
იგონებს.

ჩემი ალი უკეთესი მომავლის იმედს უნერ-
გავს.

საყდარში ძირითადად ყველა თავის შეც-
დომას ინანიებს.

ეველრება შეწყალებას.

სთხოვს ასრულებას, – მაშინ მე მოციქული
ვარ ცასა და ბარს შორის.

რაც მძიმეა სინანული ან ძვირია თხოვნა,
მით ნელა ვიწვი.

ნელა ვეყრები ჩემს სხეულს.

მერე საბოლოო წვეთივით მძიმედ დავე-
ღვენთები. ველოდები ადამიანის ხელს, –
სულს, გულს ჩააქსოვს... ხორცს შევისხამ,
ფორმას მივიღებ, სულს ავანთებ, მუდმივ
კელაპტრად ვიქცევი.

შორს, შორს, წყვდიადში ალი მოსჩანს,
– ჩემი სულია. მისი ჩრდილის გაყოლებაზე
განათებული სამყაროა, – მომავალი შენი, –
მამაკაცო, დედაკაცო და ბალოო.

09.03.86

„გე“

სად ვიწყები და სად ვმთავრდები არავინ
იცის. ბოლომდე საიდუმლოს გახსნას არც
ვაპირებ. ისე კი გზის მონაკვეთი, რომელსაც
გავდივარ ასეთია, —

ჩავისახე, მაგრამ ჯერ კიდევ „მე“ არ ვარ.
გული? გული მამოძრავებელია, ქმნის სიცო-
ცხლეს. სუნთქვას იწვევს. სუნთქვის გარეშე სი-
ცოცხლე არ არსებობს. სიცოცხლეში იბუდებს
სული. ჩაბუდებული სული კი ვარ „მე“. რას
ნიშნავს „მე“.

მ ოვედი

ე რთი

და

მ ივდივარ

ე რთი.

როგორ? როგორ და აი ასე, —

ჩავისახე. საკუთარ გარსში გული იწყებს
ფეთქვას. ისახება ორგანო. იგი დედის სხე-
ულთან მაკავშირებს. მოვყვები ბნელ მიღს,
— სისხლძარღვებს ეძახიან. სისხლს უანგბადი
მოჰყვება, უანგბადი ჰაერს, ჰაერს სული. სული
რომ ჩავსახლდები, მაშინ უკვე „მე“ ვარ.

მ ოვედი

ე რთი

როცა სხეულს შევიპყრობ და დამოუკიდე-
ბლობისათვის გავემზადები, ვწყვეტ კავშირს

დედის სხეულთან.

მ ოვდივარ

ე რთი

შეიძლება „ჩემს წყლის სამყაროში“ რამოდენიმე ერთად ვემზადებოდეთ. მაგრამ...

მ ოვდივარ

ე რთი

ვიბადები, ვყვირი, რაკი სული საბოლოოდ ფილტებში იბუდებს. მძიმეა მისი ტარება. როგორი სულიც ჩაისახება ისეთი ვარ „მე“. როცა ჩემს შესაძლებლობას ამოვწურავ, სიკვდილს მივადგები. სხეულთან გაყრისთვის შველას ვითხოვ. ხან დიდხანს ვეთხოვები სხეულს, ხან სწრაფად. გამოთხოვების შემდეგ გამოვყვები ბნელ მილს, ერთს ღრმად ამოვისუნთქავ და გამოვალ განათებულ სამყაროში.

მ ოვდივარ

ე რთი

როგორც

მ ოვდივარ

ე რთი

თავისუფალ სივრცეში სამყაროს ვეჩურჩულები ექოთი

მო...ოვ...დი...ვარ

ერ...თი – „მე“!

14.05.86

Ты мой божий дар!

1963 წელს თბილისში ჩამოვედით მე, მამა და დედა. იგი საქართველოს უძველესი ქალაქია, უკვე 1500 წლისაა. მე, შვიდი წლის ნათელა პირველად ვარ ქალაქში, სადაც მამაჩემი დაიბადა. უბანი სადაც იგი ცხოვრობდა ქალაქის უძველესი უბანია. მას ვერა ეწოდება. განაშიას ქუჩა შეუმჩნევლად აღმართიანია და იგი ბარნოვის ქუჩას პერპენდიკულარულად ემიჯნება. ქუჩის მარცხენა მხარეს, არ მისული ბარნოვის ქუჩასთან N26-ში ჩვენი საგვარეულო ეზო მდებარეობდა, რომელიც მამაჩემის ბაბუას ანუ ჩემს დიდ პაპას, გრიგოლ თევდორაშვილს შეუძენია თავის თორმეტი შვილისთვის, რომ ყველა ერთ ეზოში დაესახლებინა. ეზოს ჭიშკარი, ორ წითელ აგურის კედელს შორის იყო მოქცეული. დიდი ხის ჭიშკარს, პატარა შესასვლელი კარი ჰქონდა. ეზო ოთხკუთხედი ფორმის იყო. ყველა ბინა შუშაბანდით იყო წინიდან დაფარული. თორმეტი შვილიდან მხოლოდ ორი შვილი იყო ცოცხალი. ერთი ქალიშვილი, ანა და ვაჟიშვილი – შალვა, ანა ეზოში მარჯვნივ ერთ სართულიან აგურის სახლში ცხოვრობდა თავის მეუღლე პეტრე და შვილებთან ნელი და თინა ახალკაცებთან ერთად. სახლის ფანჯრები ქუჩის მხრიდან მთავარი ჭიშკრიდან ხელმარჯვნივ მდებარე-

ობდნენ. სახლში შუშაბანდიდან იყო შესასვლელი. სასადილო ოთახი შუშაბანდიდან ფანჯრითა და კარით იყო გამოყოფილი. ფანჯარა მუდმივად ღია იყო და მის დაბალ მარტამ განიერ რაფაზე, მუდმივად ჩართული რადიო იდგა. დილა დაფიონით იწყებოდა, ღამის 12 საათზე კი საქართველოს პიმნით მთავრდებოდა. შუშაბანდის წინ წყლის ონკანი იყო ეზოს ყველა მობინადრისათვის. ონკანიდან მარცხნივ შუშაბანდების გაყოლებით ხის კიბეები ადიოდა მეორე სართულზე. კიბესთან მარცხნივ იყო ჩემი დიდი პაპის ბინა, სადაც იგი ჩემს ბებია თამართან ერთად ცხოვრობდა, რომელიც მისი ახალგაზრდობის მიუხედავად ძალიან ჭკვიან ქალად იყო ცნობილი. მასთან რჩევისათვის მიღიოდნენ როგორც უმცროსი. ისე უფროსი ასაკის ადამიანები. სამწუხაროდ იგი ძალიან ახალგაზრდა, ოცდათორმეტი წლის ასაკში გარდაცვლილა, როცა მამაჩემი ათი წლის ყოფილა. ვინაიდან ბებია ქმართან გაყრილი იყო, ქელების დროს მამა ბაბუას მოუპარავს და სოფელში, დედამისთან გაუგზავნია. სკოლა ფრიადზე დაუმთავრებია, ინსტიტუტში ჩარიცხულა, ფრონტზე გაპარულა... და დაახლოებით 1954 წელს ტაშკენტში ჩამოსულა, დედაჩემი ცოლად შეურთავს და ერთ წელიწადში გავჩნდი მე - ნათელა ოთარის ასული ძიძიგური. ჩემთვის და დედასთვის

მისი ცხოვრების მონაკვეთი, სკოლიდან – ტაშკენტამდე ცნობილი იყო იმ სახით როგორც გვიყვებოდა. მისი ბავშვობა იმდენად სევდას იწვევდა ჩვენში, რომ ვცდილობდით ჭრილობას არ შევხებოდით.

კიბეებს რომ აუყევით, შევედით ჩვენს კუთვნილ ბინაში რომელიც ბებიის გარდაცვალების შემდეგ მის ძმას შალვას დაუკავებია. ყველა თბილად შეგვხდა. თბილისში რამდენიმე დღე დავყავით. მოვინახულეთ ნათესავები.

ბებიაჩემის ძმამ, შალვა თევდორაშვილმა, თევდორაშვილების გვარის წარმომავლობის ისტორია მომიყვა, რომ სოფ. წვერში რუსეთიდან ჩამოსული, ვინმე თეოდორე დასახლებულა და ქართველი ქალი შეურთავს. შვილები რუსიშვილებად ჩაუწერია, მაგრამ შემდეგ თაობას, რომელსაც დიდი პაპა მიეკუთვნებოდა, აზრი შეუცვლია და თეოდორეს საპატივცემულოდ თევდორაშვილებად დაწერილან. მე არ ვიცი რამდენად სწორია ეს ჩვენი საგვარეულოს „ლეგენდა“ მაგრამ შთამბეჭდავია მოსასმენად.

მე თვითონ კი დაბადებით ნახევრად ქართველი და ნახევრად სომეხი, ამჟამად სომეხი ვარ. დედაჩემი ტაშკენტში მაცხოვრებელი, რუსულენოვანი სომხური დიასპორის შთამომავალი იყო, რომლებმაც სარწმუნოებად

მართლმადიდებლობა მიიღეს.

თბილისიდან ორ კვირაში გავემგზავრეთ, მოხიბლული ქალაქით, ქართველებით, ნათესავობით. ჩემთვის როგორც დედისერთისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

ტაშკენტში ჩვენი ცხოვრება ჩვეული რიტმით მიედინებოდა, მამა ხშირად მივლინებაში იყო, დედა კვლევით ინსტიტუტში სამეცნიერო შრომაზე მუშაობდა, სახლში ჩემი პატრონი, ჩემი გამზრდელი ბებია იყო, რომელსაც ნაბულა – ს ვეძახდით.

გავიდა ორი წელი. დედა ცუდად შეიქნა. უმძიმესი, განუკურნებელი დაავადება – კიბო აღმოაჩნდა. თითქმის ერთ წელიწადში დედა გარდაიცვალა და ათი წლის ასაკში მამაჩემის ბედი გავიზიარე. დედის გარდაცვალებიდან ორმოცი დღე არ იყო გასული, რომ სახლში ტელეფონის ზარი გაისმა, ქალის ხმამ შემატყობინა, რომ „გაჩნდა ბიჭი, რომელიც შენი ძმაა...“ ა. უცებ ყურმილი დავაგდე და იქვე სკამზე გაოგნებული დავეშვი. დედის სიკვდილის შემდეგ ეს ჩემთვის მეორე სტრესი იყო და თანაც მისი ტოლფასი. არ მინდოდა მამაჩემის დანახვა. მე არ ვიცი რა საუბარი იყო მამაჩემსა და ბებიას შორის. მაგრამ ცოტა ხანში მამაჩემი სახლიდან წავიდა და ისე გარდაიცვალა თვალი არ მომიკრავს და ჩემგან პატიებაც არ მიუღია. რამდენიმე წლის შემდეგ

იმ ქალმა განმეორებით დამირეკა და სურვილი გამოხატა რომ ჩემს ძმას შევხედროდი. მე კატეგორიულად უარი განვაცხადე და დღემდე ჩემი აზრი არ შემიცვლია.

გავიდა წლები. ბებია და მე გადავედით ბინაში, რადგან სახლი, რომელშიც დედა გარდაიცვალა გაყიდა, რომ ჩემთვის სათანადო განათლება მოეცა.

სკოლა დაგამთავრე. გვარი ძიძიგური შევიცვალე და დედაჩემის გვარზე გადავედი. სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ იმ კვლევით ინსტიტუტში მიმიღეს სადაც დედაჩემი სამეცნიერო ორმაზე მუშაობდა. ამჟამად უზრდეკეთის ჭანმრთელობის სამინისტროს „ფარმინსპექციაში“ ვმუშაობ – წამყვან სპეციალისტად.

გავთხოვდი. შემეძინა ქალიშვილი, რომელ-საც დედის საპატივცემულოდ სედა დავარქვი. სამწუხაროდ ქორწინება ხანმოკლე აღმოჩნდა. რამდენიმე წლის შემდეგ მეორედ გავთხოვდი, ეს ქორწინებაც უიღბლო შეიქნა და დავრჩი მარტო, ჩემს შვილთან ერთად. საშინლად მძიმე იყო ჩემთვის ეს პერიოდიც. დაღლილი ვიყავი ცხოვრებასთან ბრძოლით, თავის დაცვით. სკოლის დამთავრების შემდეგ მე ვიყავი ქალიც და კაციც. მოგეხსენებათ ასეთ სტრესულ სიტუაციაში ყველა და განსაკუთრებით ქალი ნუგეშს ეძებს და მე და ჩემი მეგობარი წავედით

მარჩიელთან თუ წინასწარმეტყველთან. არ ვიცი ამ ორიდან რომელი იყო, მაგრამ ერთი კი ვიცი რაც მითხრა ერთი წლის შემდეგ ამისრულდა – „შენს ცხოვრებაში გამოჩნდება ქალი, რომელიც რადიკალურად შეცვლის შენი და შენი შვილის ცხოვრებასო.“ მე სხვა საკითხით ვიყავი დაინტერესებული და რა თქმა უნდა ამ სიტყვებისთვის ყურადღება არც კი მიძიებულია.

2001 წელს ტაშკენტში საქართველოს საელჩოში ჩემი კლასელი – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი აკბარხოზაევი მისულა ელჩთან, გივი აბდუშელიშვილთან, საქმეზე და საუბრის დროს უხსენებია, რომ მის კლასში ქართველი, ძიძიგური სწავლობდა. ბატონ გივის უთქვამს:

– მაგ პიროვნებას ვეძებ და თუ შეიძლება დამაკავშირეო.

მასაც არ დაუყოვნებია, იქნე აკრიფა ნომერი და ჩემი ხმა რომ გაიგონა ელჩს გადასცა ყურმილი:

– ალო, გამარჯობათ! თქვენ რატომ არ დადიხართ სათვისტომოში? იცით რომ თქვენ გეძებთ ნათესავები?..

მე კი, განრისხებული ცხოვრებაზე, მამაჩემზე, რომელსაც არამცთუ არ ვახსენებდი, არამედ არც ვთვლიდი რომ ქართველი ვარ და უფრო მეტიც არავის მოძებნის სურვილი არ

მქონდა. ამიტომ მკვახედ ვუპასუხე: —მე ვერ დავიწყებ მთელ ყოფილ საბჭოთა კავშირში მამაჩემის ნათესავების ძებნას, როცა მისი სახელის გაგონებაც კი არ მინდა. მოკლედ ბევრი რომ არ გავაგრძელო არ შედგა ჩვენი საუბარი.

2003 წლის 21 სექტემბერს, ასე საღამოს ცხრა საათი იქნებოდა, როცა ჩემს სახლში ტელეფონის ზარი გაისმა. ხაზზე ჩვენი ახლობელი, თბილისელი სომეხი, პავლიკა აღმოჩნდა, რომელიც ელჩითან მძღოლად მუშაობდა.

— ნათელა! პავლიკა ვარ, თქვენი შორებელი ნათესავი, გახსოვართ?

— რა თქმა უნდა პავლიკ, გისმენ.

— ნათელა ოღონდ ყურმილი არ დაკიდოთ და მომისმინეთ.

— თქვენ გახსოვთ, ორი წლის წინ ელჩითან საუბარი?

— როგორ არა, მე მოგვიანებით გადავურეკე ჩემს კლასელს და ვთხოვე, მოეცათ იმ ნათესავის ტელეფონის ნომერი, მაგრამ პასუხი ვერ მივიღე.

— ჰოდა, თქვენ გეძებთ არა უბრალოდ ნათესავი, არამედ თქვენი ღვიძლი და.

მე უცებ დავდუმდი და სკამი მოვიძიე დასაჭდომად.

— როგორ? საიდან?

— იგი, დღეს ანუ 21 სექტემბრის დილის 4 საათზე ჩამოფრინდა თბილისიდან და დღეს დღის 4 საათზე მივედით ოქვენი ყოფილი სახლის მისამართზე, რომელიც მას ჰქონდა. სადაც თურმე დიდი ხანია არ ცხოვრობთ, მაგრამ როცა მათ მითხრეს ვისგანაც შემეძლო თქვენი მოძებნა, მივხვდი რომ მე გიცნობდით და აი გირეკავთ. ის ორი კვირით არის ჩამოსული, ცხოვრობს ელჩის სახლში და თუ სურვილი გექნებათ ხვალ შეგახვედრებთ.

— რა თქმა უნდა! — მტკიცე და გაოგნებული ხმით ვუპასუხე და დროზე შეუთანხმდი.

ყურმილი რომ დავკიდე შვილს მივუბრუნდი — წარმოგიდგენია? და მყოლია, რომელიც გუშინ ღამე ჩამოსულა და ელჩის სახლშია.

— დედა! ხედავ, სულ გინდოდა რომ და გყოლოდა.

ჰოდა, ღმერთმა გამოგიგზავნაო — მითხრა სედამ.

მეორე დღეს 22 სექტემბერს შევწვდი პავლიკას. გზაში წერილი გადმომცა, რომელშიც ჩემი და მწერდა:

— ნათელა!

გწერს შენი და! (გვინდა ეს ჩვენ თუ არა, ეს რეალობაა). ჩვიდმეტი წლის ვიყავი როცა მამამ შენი სურათი გამომიგზავნა, სადაც შენ ექვსი წლის და რამდენიმე თვის ხარ. მე აღმოვაჩინე, რომ ჩვენ რაღაცით ვგავდით ერთმანეთს,

დგომის მანერითაც კი. მის მერე სულ მქონდა შენს მიმართ სათუთი გრძნობა და ნახვის ინტერესი. ოთხი წლის მერე გავიგე რომ დედა გარდაგეცვალა. ალბათ არ დაიჭერებ, მაგრამ გული მეტკინა, მეც ხომ დედისერთა ვიყავი. შენ მამამ ათი წლის დაგტოვა, მე ოთხი თვის მიმატოვა და გასაგები იყო შენი განცდები. ჩემთვის სულ ვფიქრობდი ეხლა სკოლა, ინსტიტუტი დამთავრა, მაინტერესებდა გათხოვდი თუ არა, გყავდა თუ არა შვილები.

შენ თუ გაღელვებს, ამდენი ხანი რატომ არ მოგიძიე? ერთი პატარა მიზეზის გამო. არასოდეს არ ვყოფილვარ და არც ნაცნობი მყოლია ტაშკენტში. ორი წლის წინ როგორც კი ჩემი მეზობელი ელჩად დანიშნეს ვთხოვე მოეძებნე. მან შეასრულა თავისი პირობა, მაგრამ სათუთად მიმალავდნენ რომ არ ისურვე ჩემთან შეხვედრა, არ იცოდი რა, რომ გეძებს ვინმე ნათესავი კი არა, არამედ და.

ვინაიდან მე თერთმეტი წლით შენზე უფროსი ვარ, მინდა კიდევ ერთხელ გადმოვდგა ნაბიჭი.

უფალმა ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ მოგვცა შანსი შეხვედრის და თუ შენ გინდა ამ შანსის დაკარგვა, ნება შენია.

როგორიც არ უნდა იყოს შენი გადაწყვეტილება, დალოცვილი იყავი უფლისგან შენს ოჯახთან ერთად.

პატივისცემით შენი ერთადერთი
და - ტატა

ის იყო კითხვა დავამთავრე, რომ მანქანა სახლს მიუახლოვდა. კარი ელჩის მეუღლემ დინამ გამიღო, საოცრად თბილმა, გულლია ადამიანმა და სახლში შემიპატიჟა. პატარა ეზო გავიარე და სამი საფეხური ავედი. კარი ღია იყო. შევედი. დიდ ოთახში ახალგაზრდა საშუალო ტანის, მოკლედ თმა შეჭრილი ქალი დამხვდა. შევჩერდი მივიხედ-მოვიხედე, ორმოცდათვრამეტი წლის ქალს ვეძებდი. უკან ქალბატონი დინა ფეხდაფეხ მომყვა.

- აი, შენი და - ტატა- მითხრა თითქმის ჩურჩულით.

- სიცარიელისა და სიცივის შეგრძნება დამეუფლა. ამ დროს მე და ტატას შორის სითბოს ვიწრო სიმი გაება. ორივე ამ სიმს გავუევით და ერთმანეთს უხმოდ ჩავეხუტეთ. იმდენად ძლიერი სტრესი იყო, რომ ცხოვრებისგან გამობრძმედილებს არც ერთს ცრემლი არ გადმოგვარდნია. ერთმანეთის გვერდით დავსხედით და საერთო თემებზე დავიწყეთ საუბარი, შემდეგ ერთმანეთს უმნიშვნელოდ გავეცანით. აღმოვაჩინეთ რომ ხასიათით ძალიან ვგავართ, ორივე ძლიერ თავშეკავებულები, არ გვიყვარს საკუთარი პრობლემების თავზე

მოხვევა და წუწუნი. მხოლოდ ერთი, ერთი სხვაობა იყო ჩვენში, მე – საოცარი აგრესიული და გაბრაზებული ვიყავი მამაჩემზე, არ ვჩერდებოდი ისე ვლაპარაკობდი მასზე საყვედურებს. იგი დინგად ისე იცავდა მამას და მიყვებოდა როგორ დარჩა ისიც ათი წლის უდედოდ და ასე შემდეგ... გეგონებოდა მამის უყურადღებობით დაჩაგრული არ ყოფილიყო. მე კი, ამასობაში ისიც დამავიწყდა რომ იგი ჩემგან განსხვავებით ოთხი თვის დატოვა და ისე არ ვცხრებოდი გეგონებოდათ ჭერ ის კი არ დატოვა და მერე მეგამაჩინეს, არამედ პირიქით, თითქოს მის გამო დავრჩი მე უმამოდ.

ცოტა ხანში დინამ ქართულად რაღაც უთხრა ტატას. იგი ავიდა მეორე სართულზე და მალევე დაბრუნდა და საჩუქრად ძვირფასი ბეჭედი მომართვა, რომელიც თითზე ზუსტად მომერგო. მადლობა გადავუხადე და წამოვედი.

მეორე დღეს ტელეფონზე მოვიკითხე და სახლში დავპატიჟე დინასთან და დინას მეგობართან ერთად.

კიბეებზე რომ ამოდიოდა მე და ჩემი ქალიშვილი, სედა კიბის უჭრედზე ვიდექით. ამ დროს სედამ ჩამჩურჩულა – დედა, დედა ნახე, გეგონება ნაბულა – ს ჰავსო, რა თქმა უნდა ჩემს გამზრდელ ბებიას გულისხმობდა. მათ შორის ფიზიკური მსგავსება არ ყოფილა, მაგრამ ეტყობა მისი აურა მოჰყვა.

სუფრასთან საუბრის დროს დინა დროდადრო
ჩაერთვებოდა ხოლმე: —ნათელა შენ არ იცი
როგორი და იპოვნე, ყველას პატრონი, მას
ჩვენთან „დედა ტერეზას“ ეძახიანო. — რა
საოცარი დამთხვევაა, მეც ასევე მეძახიან აქ
— სასწრაფოდ ვუპასუხე, რაკი არავინ მყავდა
გამომსარჩლებელი გვერდზე. რამდენიმე თვის
შემდეგ თბილისში ჩავედი და ჩემი თვალით
ვნახე რაზეც იყო ლაპარაკი. უამრავი ხალხი
მოდიოდა მასთან რჩევისა და დახმარებისთვის.
ამის დამნახავმა ჩემი სიტყვები უკან წავიღე და
ვუთხარი: ტატა, არა, არა, შენ „დედა ტერეზა“
კი არა შენ კორლეონე ხარ - თქო.

მეორედ, ჩემს მეგობრებთან შესახვედრად
სახლში მარტო მივიწვიე და ღამე ჩემთან
დავტოვე.

— ნათელა იცი? ჩვენ ჩვენზე უფროსი ძმა
გვყავს საქართველოში.

— არ „ინერვიულო“ ტატა ჩვენ ჩემზე ათი
წლით უმცროსი ძმა აქაც გვყავსო — ვუთხარი
პასუხად. აღშფოთებას არ ვფარავდი მე...

— სიამოვნებით ვნახავდიო — მითხრა.

— არავითარ შემთხვევაში! მე არ მინდა! —
ვუპასუხე კატეგორიულად რაზეც მშვიდად
მიპასუხა:

— ნათელა! ჯერ კიდევ დედაჩემთან კანონიერ
ქორწინებაში მყოფმა მამამ დედაშენი ითხოვა
და გაჩნდი შენ. განა მე შემიძლია დედაშენზე

და შენზე გავბრაზდე? ის ბიჭიც რა შუაშია. ჩემთვის არ აქვს მნიშვნელი ის ვინ არის, პრეზიდენტი თუ მუშა. ჩემთვის მნიშვნელი აქვს რომ ის წესიერი ადამიანი იყოს.

— არა! არა! და რომ შემეჩერებინა ვუთხარი, მე არ ვიცი სად ცხოვრობს და არც მინდა ვიცოდეო.

— რაზეც გალიმებულმა ჩემს მეგობრებს მიუბრუნდა და უთხრა:

— წარმოგიდგენიათ, თვითონ ხომ არ უნდა ნახოს და მეც მიკრძალავს მის ნახვასო.

საღამომ ძალიან სასიამოვნოდ ჩაიარა. მარტო რომ დავრჩით მოვუყევი როგორი ბედნიერი და გახარებული ვიყავი მისი გამოჩენით, ისიც ვუთხარი სახლში დაბრუნების შემდეგ როგორ ვეცი ტელეფონს და ჩამოუტეკე ჩემს მეგობრებს: ამერიკაში, საბერძნეთში, მოსკოვში, ტაშკენტში და ვამცნე ახალი ამბავი. მეორე დღეს სამსახურში საქართველოდან ჩამოსულ ბიჭებს მივმართე.

— ბიჭებო დაწექით! რომ არ დაეცეთ. გუშინ თბილისიდან ჩამოსულმა დამ მიპოვნა.

— როგორ? შენ სომეხი არა ხარ? — გაოცებისგან თვალები შუბლზე აუვიდათ.

— არა, მე ნათელა ძიძიგური ვარ... და ვუამბე ჩემი ისტორია. როცა გაიგეს ჩემი სიძის სახელი და გვარი მითხრეს:

— შენ არ იცი ვინ და როგორი კაცი იყო

შენი სიძე – ნუგზარ ენდელაძე და როგორი დაფასებულია შენი დის ოჯახი საქართველოში.

მე სიამაყისგან მხრებში გავიშალე და დავუმატე რომ დასთან ერთად ორი დიშვილი და ხუთი შვილიშვილი შევიძინე. ამჟამად უკვე შვიდნი არიან.

ტატამ ყურადღებით მომისმინა და მითხრა: ეხლა გასაგებია, თორემ ამდენი დღეა თქვენი ემოციით ვერაფერს მივხვდიო...

ზაფხულში თბილისში მიმიწვია, სადაც ყველანი ერთად შევიკრიბეთ. ტატა, მე, სედა, ინგლისიდან ჩამოსული თეა, მისი მეუღლე – სებ ჭონსტონი, ვახტანგი, ნინო ბავშვებით. პირველად ჩემს ცხოვრებაში ვიგრძენი, რომ მე და ჩემი შვილი მარტო არ ვიყავით. ტატამ ჩვენს ძმას დაურეკა, იგი კარდეოლოგიურ საავადმყოფოში აღმოჩნდა და გასაცნობად იქ მივაკითხეთ. ძალიან თბილად შევხვდით ერთმანეთს. იგი უურნალის რედაქტორი და ნიჭიერი პოეტია. მასაც ძალიან კარგი ოჯახი აქვს. მურადი რუსთავში ცხოვრობს თავის ცოლ-შვილთან, მანანასთან, ირაკლისთან, მაგდასთან და შვილიშვილებთან ერთად.

თბილისიდან დაბრუნებულები მე და ჩემი შვილი უზომოდ ბედნიერები ვწერდით:

Дорогая Татачка!

Я благодарю Бога, что он дал возможность тебе найти меня. Для меня это огромное счастье. Спасибо тебе - ты мой божий дар.

Натела

Дорогая Татусия. Де-Тата

Просто хочу сказать:

„...и словно маленькое чудо,
возникла ты в моей судьбе”

Ты принесла свет и счастье в мою жизнь.
миквархар дзалиан, генацвале.

P.S. Ты потрясающая женщина, ты состоялась как личность, как мать, как жена, как друг, как наставник, как бабушка, ты прелесть, таких как ты больше нет. Тобой можно гордиться даже не будучи с тобой знакомой, а зная о тебе только по наслышке.

Я безумно счастлива что ты у нас есть. Твоих детей, моего брата и сестру я просто обожаю. А про тебя, я просто не могу найти подходящих слов, для того, чтобы описать

моё отношение к тебе. Слова - я тебя люблю, ничего по сравнению с тем что я испытываю внутри к тебе, таких слов наверное просто не придумали!!!

Ты как источник света для людей, ты открываешь для людей новые горизонты, ты действительно человек от Бога!!!!

Гкоцныи много много раз!!!

менатреби!!!

шени Седа!!!

ტატამგადაწყვიტა სედა, ინგლისში გაეგზავნა
სასწავლებლად, მაგრამ საელჩომ ვიზა არ მისცა
და ამიტომ გეგმა შეცვალა და სედას უთხრა:
სასწრაფოდ მოსკოვში უნდა გადახვიდეო.
სედამ გულუბრყვილოდ უპასუხა, რომ ეხლა
მატერიალურად მძიმე მდგომარეობა გვაქვს
და ამ ეტაპზე ვერ მოხერხდებაო. რაზეც ტატამ
სოხოვა შეგვეტყობინებინა თანხის რაოდენობა.
ეს ჩვენთვის ისეთი მოულოდნელობა იყო, რომ
ცოტა მკვახე ტონით წერილი დავუწერე – მე
სკოლის დამთავრების შემდეგ მივეჩვიე ჩემი
თავის პატრონობას და რომ არასოდეს არავინ
დამხმარებია და ჩემთვის მიუღებელიათქო.
რაზეც პასუხმა არ დააყოვნა: – შენ მართლა არ
ხარ ქართველი და წარმოდგენაც კი არ გაქვს
რას ნიშნავს ქართული, და-ძმობა. როგორ მე
რომ მიჭირდეს ე.ი. ლუკმას არ გამიყოფ და

დახმარების ხელს არ გამომიწვდი?.. და ბოლოს ხუმრობით, მაგრამ მკაცრი ტონით – Я старшая и приказываю расписать все подробно..."

... და მეც დავემორჩილე და რამდენიმე კვირაში სედა მოსკოვს გაემგზავრა. ერთ წელიწადში გათხოვდა და შვილიც შეეძინა, ტატას დახმარებით მაგისტრატურაც დამთავრა და ცხოვრობს ბედნიერად.

ეხლაც მისგან მივყრინავ ტაშკენტში. თვალწინ მთელმა ჩემმა ცხოვრებამ გაიღლვა და მადლიერების გრძნობით წერილს ვუწერ ჩემს დას.

Ты мой божий дар!!!

Вот уже шесть лет, как Бог мне подарил тебя и всю твою семью. Моя жизнь с твоим появлением переменилась. Спасибо тебе за всё; зато какая ты есть, добрая, мягкая, порой строгая и требовательная, это все так и должно быть, иначе ничего в жизни не получается. Не представляю чтобы я делала без тебя, начиная с отъезда Седы, свадьбы, института и многово, многово другово.

Я безмерно тебе благодарна за любовь, тепло и заботу - это не каждому дано и не устану повторять:

- Ты мой божий дар!!!

22.02.09

ԱՏՐԴՂՂԹՂՈ ՇՐՆՂԺԱ

1975 წლის ცხელი აგვისტო იდგა. მზე ზენიტიდან დაშურებდა შავი ზღვის სანაპიროს. მზეზე სარკესავით ბრჭყვიალებდა სოჭის ნავსადგური და თითქოს პირველად ეგებებოდა მორიგ გემს – „შოთა რუსთაველს“. ღუზა ჩაუშვეს, ყველასთან ერთად ჩვენც ჩამოვედით.

– საით წავიდეთ?

– გასასვლელში ვიკითხავ.

– ხომ ვერ მეტყვით, სად იქნება ცნობათა ბიურო?

– აი, ჩვენს წინ, ნავსადგურიდან ხელმარცხნივ.

თეთრი, ერთსართულიანი, შავი ზღვის სანაპიროსათვის დამახასიათებელი შენობა. რაღაც მწუხარედ, უღიმღამოდ, კითხვის თვალებით შემომყურებდა. ჩემს სიხარულს კი საზღვარი არ ჰქონდა.

– გვარი? სახელი?

– მაგილნაია ვალია.

– მამის სახელი?

– არ ვიცი.

– დამელოდეთ!

ხუთი წუთი საათად გადაიქცა. ნერვიულობას საზღვარი არ ჰქონდა.

– მობრძანდით! სამწუხაროდ ასეთი გვარი სოჭში არ ცხოვრობს.

თვალები ცრემლებს დაეფარა, ყურები და-

გუბდა და სადღაც შორიდან მოისმა ოთარის ხმა.

— ნუ ღელავ თამარ, უკან დაბრუნებისას კიდევ შემოვივლით. ხომ გაგიგონია — „გინც ეძიებდეს ის ჰპოვებდესო“.

გავიდა სამი დღე. მე კითხვის თვალებით შევცემარი ოთარს. კი მაგრამ, როგორ დამავიწყდა ბებიამ რომ სთქვა - სკოლის ქუჩაზე ცხოვრობსო.

— ჰოდა, ასევე მოვიძიოთ!

— უკაცრავად, სკოლის ქუჩას ვერ მიმასწავლით?

— აქ სამი სკოლის ქუჩაა, თქვენ რომელი გნებავთ?

— ჩვენ სამივე გვინდა - არ დააყოვნა ოთარმა.

უშედეგოდ გავიარეთ პირველი, მეორე და მესამე ქუჩაც. ბოლო მაცხოვრებელს დავემშვიდობეთ და როცა მანქანაში ვჭდებოდით დაგვიძახა:

— ერთი წუთით, მეზობელი ქალი ამბობს, ვგონებ, მსგავსი გვარის ქალი „ქალაქის შესახევა-ა“-ში ცხოვრობსო.

გადავწყვიტეთ საბოლოოდ გვეცადა ბედი და სასწრაფოდ გავეშურეთ.

თეთრი, ცისფერ დარაბებიანი უკრაინული სახლი, მწვანეში ჩაფლული, საგულდაგულოდ შემოლობილი და საკეტით ჩარაზული იყო.

-როგორ დავიძახო?

-რა თქმა უნდა „ლალა“ - როგორც ვეძახდი.

სახლის ზღრუბლთან პატარა ტანის ქალი გამოჩენდა, იგი ისევე გამოიყურებოდა როგორც 25 წლის წინათ.

-ვინ გნებავთ?

-ლალა.

-გურანდა ხარ?

-არა, თამრიყო ვარ.

-ღმერთო ჩემო! თამრიყო, ვასილი! - წარმოსთქვა და ჭიშკრის გასაღებად გამოემართა.

თავი ვერცერთმა ვერ შევიკავეთ და ცრემლიანი თვალებით ერთმანეთს ჩავეკარით.

-როგორ გამიხსენეთ? როგორ მიპოვეთ?

-ესენი საოცარი ხალხი იყო ჩემო ოთარ. როცა მამამ მიატოვა, 4 თვის იყო, წარმოგიდგენია?! საერთო დერეფანში კარებებს შორის ნაბიჯიც კი არ იყო და, მიუხედავად ამისა მე ვერ ვამჩნევდი, რომ კედლის მიღმა შიმშილი სუფევდა. ერთხელ კარი მოულოდნელად შევაღებას და რას ვხედავ, ეს სიცოცხლით სავსე ბავშვი, უსულოდ აგდია ლოგინზე, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. დედამისი, ნორა, ფანჯარასთან დაგას და სასოწარკვეთილი დაჟყურებს ბავშვს. სიმწრისგან გაოგნებულს ცრემლიც კი გაშრობოდა.

-რაშია საქმე ნორა?

— აგადაა.

— მერე ექიმთან რატომ არ მიგყავს?!

— ფული არა მაქვს. მიპასუხა მხოლოდ იმის-ათვის, რომ მისი უმოქმედობა აეხსნა — ამ არა-ნორმალურად მოსიყვარულე დედას.

— ახლავე ჩაცვი, დავიძახე და სასწრაფოდ ჩაცმა დავიწყე.

— სისხლნაკლულობა — სთქვა ექიმმა და წამ-ლები გამოწერა.

ჩემთვის კი ნათელი გახდა ავადმყოფობის მიზეზი — შიმშილი, კერპი დედა და ბებია.

— ჩემი თავისთვის ვერ მიპატიებია, ჩემი ასეთი სიბრძავე. სწორი ნათქვამია — „მაძღარს ყველა მაძღარი ეგონაო“.

მას შემდეგ, ყოველ დილით, სამსახურში წასვლის წინ ვიცოდი, რომ კედლის მიღმა სუ-ლიერი არსება მელოდებოდა და ჩემი პატარა ჯამით მისკენ მივემართებოდი.

— შენ გჩერა, რომ ამისგან რამე დადგება? — მკითხავდა ხოლმე მეუღლე.

— ნახე, როგორი გოგო დადგებათქო ვიტყოდი და მიხარია, რომ ნათქვამმა გამიმართლა. ერთი თხოვნა მექნება ოთარ!, მადლობა გადასცე ბებიასა და დედას, რომ ბავშვს ჩემს მიმართ სითბო ჩაუნერგეს, რამაც ჩემი თავი მოაძებნინა.

— ექიმი ხარ არა?!

— არა.

—როგორ, უდალატე ბავშვობის ოცნებას?

—რას იზამ. პოლიტექნიკურში რომ ჩავირიცხე, ხანდახან მეხუთე კურსელებთან ლექციებს ვესწრებოდი, სახლში კი დამოუკიდებლად ანატომიას ვსწავლობდი, სულ მეგონა შემთხვევითობას ექნებოდა ადგილი და ვინმე შემეკითხებოდა დასწრების მიზეზს, მაგრამ პირიქით მოხდა, ინფექციურიდან გამომავდეს. ამით დამთავრდა ჩემი ოცნება. მერე გავთხოვდი, ორი შვილი... ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დავწერე თხოვნა მინისტრის სახელზე, რომ თავისუფალ მსმენელად დავეშვი, მაგრამ უარის იმდენად შემეშინდა, რომ დღემდე შენახული მაქვს ის წერილი.

—Да... მრავალ მნიშვნელოვნად სთქვა ლილი-მ თქვენს მებრძოლ ბუნებას არ შეესაბამება ეს საქციელიო.

როდესაც დავემშვიდობეთ, დიდხანს ვფიქრობდი ამ სიტყვებზე, გამართლება იმაში ვპოვე, რომ ჩემი ეს სანუკვარი ოცნება მიზნად არ დამისახავს.

მალე ავად გავხდი და საკუთარ თავზე, როგორც სხვა ავადმყოფზე ისე ვფიქრობდი, მინდოდა მონაწილეობა მიმეღო დიაგნოზის დასმაში.

—ექიმი ხართ?

—არა!

—სტუდენტი?

—არა.

—საოცარია... ისმოდა ბასუხი.

ათი წლის ავადმყოფობის მანძილზე რამოდენიმეჭერ მოვხვდი საავადმყოფოში და ეს ჩემთვის წამების დღეები იყო. ვერ ვგუობდი, ექიმი რომ არ ვიყავი. ყველაზე დიდხანს 1982 წლის გაზაფხულზე ვიწევი. მახსოვს საოცრად არ მინდოდა საავადმყოფოში დაწოლა, ბოლოს ხუთი დღით მაინც დამითანხმეს, რაც ორმოც დღედ იქცა.

მახსოვს საავადმყოფოში, რომ მივედი, დერეფანი ცარიელი იყო, თითქოს შევიპარე პალატაში, კარი მივხურე და დისერტაციის ქალალდები გავშალე სამუშაოდ. რამოდენიმე დღის შემდეგ მინიმუმის კიდევ ერთი გამოცდა ჩავაბარე და ვთქვი, ჩემს ცხოვრებაში უკანასკნელი გამოცდა ჩავაბარეთქო. მაგრამ, ხომ გაგიგონიათ — „კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო“.

პირველივე მკურნალობას კრიზით ვუპასუხე, რომელიც ორმოცი დღიდან ოცდაათი დღე გაგრძელდა. განყოფილების ყოველი სამუშაო დღე ჩემი კრიზით იწყებოდა და როდე-საც საშველად მოაშურებდნენ შეშინებული სახეებით, მე გავუღიმებდი ხოლმე, რამაც ეჭვიც კი გამოიწვია იმათ თვალში, ვინც უშუალოდ ჩემი ცუდად ყოფნის მოწმე არ იყო.

—დღესაც ცუდად ვარ, ექიმები ნელ-ნელა

მოგროვდნენ ჩემს პალატაში, ცდილობენ გა-
მომიყვანონ მდგომარეობიდან.

—უშველეთ რამე! ჩუმად ჩურჩულებენ.

აბა თამრიკო, დათვალე, ეხლა ღრმად
ჩაისუნთქე, არაუშავს, ეხლა მალე კარგად გახ-
დები — ვანუგეშებდი საკუთარ თავს. ღებინება
დამთავრდა, ეხლა შემცივნებაც და თრთოლ-
ვაც გაივლის. მორჩა, გაიარა... წამოვდექი.
საოცარია, ამ სიმპტომების გავლის შემდეგ,
მუდამ ვფიქრობდი, მართლა ცუდად ვიყავი თუ
მეჩვენებოდა? — რა თქმა უნდა „მეჩვენებოდა“
და მეტი აღარ განმეორდება.

უკვე უკეთ ვარ და საოცრად მინდა ოპერა-
ციაზე დასწრება, იქნებ სხვა დროს შემთხვევა
არ მომეცეს. ვთხოვო თუ არა? ვორჭოფობ: რაც
იქნება იქნება.

—შეიძლება ოპერაციას დამასწროთ? — შევე-
კითხე ექიმს.

მან უსიტყვოდ შემომხედა და გავიდა.

მას ფეხდაფეხ მოჰყვა ექთანი, შემომიტანა
ხალათი და მითხრა: ნება დაგროვეს ოპერაციაზე
დასწრების.

სასწრაფოდ გამოვეწყვე, ხალათი, ქუდი, ნი-
ლაბი. საოპერაციომდე გზა გრძელი მომეჩვენა.
დერეფნებს დასასრული არ ჰქონდა თითქოს.

„საოპერაციო“ — წავიკითხე.

კარი შეღებული დამხვდა, მდუმარება
სუფევდა. ღმერთო, როგორ ცივა. კაფელით

მოპირკეთებული კედლები საშინელ სიცივეს გამოსცემდა, ოთახი სამჯავროს გამოსატანად მზად იყო. საოცრად შემაურუოლა, სიცივემ ამიტანა და ვიგრძენი, რომ ცუდად გახდომა არ ამცდებოდა.

—ნაზი, აქ წამლები გაქვთ?

—რა შენ ცუდად ხომ არა ხარ? ეხლავე წადი! მე ეხლა ხელების დაბანას რომ მოვრჩები, ხელის მოკიდების უფლება აღარ მექნება.

—ღმერთო! — გავიფიქრე, მეგონა დამამშვიდებდა და პირიქით... ნუთუ არ გრცხვენია, თავს ვერ უნდა მოერიო?! — ვკიცხავდი საკუთარ თავს. სანუკვარი ოცნება აგისრულდა და შენ... აბა, საოცერაციო მაგიდას შეხედე, აგრ სასუნთქი აპარატი, ეხლა ნელ-ნელა ოთახშიც სითბო დაისადგურებს, აი ასე. ეხლა კი ფანგარასთან დადექი — ვუბრძანე ჩემს თავს. ოპერაცია რომ დაიწყება, სისხლი თუ შეგაშინებს — პირდაპირ კარია შეგიძლია გახვიდე.

ავადმყოფი შემოიყვანეს. ოპერაცია დაიწყო. ლანცეტი, აი სისხლიც. ფეხები თავისით გადაადგილდა და მაშინ გამოვერკვიე, როცა ექიმმა მითხრა — აი მანდ კარგია, შეგიძლია მაქედან ადევნოთ თვალიო.

—დედა!.. როგორი ყოფილა...

შემდეგ არაფერი არ მახსოვს, არავინ შემიმჩნევია ირგვლივ, მე ჩემი სამყარო მქონდა და ბედნიერი ვიყავი.

- რა ბედნიერი ვარ! გადავიტანე.
- ასე ძალიან გიყვართ ეს სპეციალობა?
- ძალიან, ყველაფერს დავთმობ, დამთავრებულ სამუშაოს, საავტოროს და თავიდან დავიწყებ, ოღონდ ექიმი ვიყო.
- საკვირველია! რად გინდათ ყველაფრის დატოვება, ინუინერი ხართ, დისერტაცია დაიცავით და მერე მობრძანდით საავადმყოფოში, ლაბორატორიაში, ამასობაში შეისწავლით, მერე კვალიფიკაციას გაივლით და ასრულდება თქვენი ოცნება.
- არა, არა ეს შეუძლებელია. არ მინდა ავყვე ამ ოცნებას და მიზნად ვაქციო, რადგან უკან დაბრუნება ძალზე ძნელი იქნება. ჩემი ნაკვერჩხალი გულის კუნჭულში ნაცრით არის დაფარული და თუ გაღვივდა, ძნელი იქნება მისი ხელახლა ჩაქრობა.
- არა, მე მეგონა თქვენ მართლა გინდოდათ, თორემ მანდ შეუძლებელს ვერაფერს ვხედავ.
- თუმც განუხორციელებლად მიმაჩნდა, მეუღლეს მაინც ვუთხარი და მისგანაც მხარდაჭერა რომ მივიღე, დავიწყე ფიქრი იმდენად, რომ თავი ექიმად წარმოვიდგინე. გავცოცხლდი, თვალებგაბრწყინებული დავდიოდი. ცაქუდად არ მიმაჩნდა და დედამიწა ქალამნად. მორალურად უკვე ვემზადებოდი სამსახურში წასასვლელად, თუმც ჩემი ცუდად ყოფნა კვლავ გრძელდებოდა.

როცა ანალიზების პასუხი შეგვატყობინეს, ექიმის კაბინეტში ვიჩექი, ვუსმენდი მის საუბარს ტელეფონზე და პიროვნება, რომელიც კატეგორიულად მოითხოვდა, რომ წამალი მიმეღო, რათა სიმსივნე არ გამჩენოდა, ეხლა კი – დაუინებით, თითქმის კივილით მოითხოვდა: არავითარ შემთხვევაში ჰორმონები არ მისცეთ, ვინაიდან ანალიზი რაღაც გადაგვარებაზე მიგვითითებსო.

– კი მაგრამ ყველა წამალი რომ მიმეღო, მაშინ რა მოხდებოდა-მეთქი? – ვიკითხე და სასწრაფოდ გავეცალე იქაურობას, რათა ჩემი სისუსტე იმ წუთში არავის შემჩნია. შევედი პალატაში, საწოლზე პირქვე დავემხე, თავი ბალიშში ჩავრგე და ტირილი დავიწყე.

თხუთმეტი წუთის შემდეგ თავს მოვერიე, ცოტა დავმშვიდდი, მივედი ექიმთან და მე გადავწყვიტეთქო, ვუთხარი.

– კი მაგრამ, ექიმი მე ვარ და ოქვენ რა გადაწყვიტეთ?! – მკითხა ოლიმპიური სიმშვიდით მკურნალმა ექიმმა, თუმცა თვითონ კარგახანია იგივე აზრი მომწიფებოდა.

– ოპერაცია! ვთქვი და დავასაბუთე, რომ ჩემი სიმშვიდისათვის ასე სჭობდა.

ვინაიდან არ მიყვარს როდესაც ვინმეს ვეცოდები, მეუღლესთან შეთანხმებით გადავწყვიტე არავისთვის არ შემეტყობინებია ჩემი ოპერაციის დღე. რას ვიფიქრებდი შემთხ-

ვევა მეუღლესაც არ დაასწრებდა ამ ჩემთვის უძინეს დღეს და საბოლოოდ აბსოლუტურად მარტო აღმოვჩნდებოდი.

პრემედიკაციაზე უარი განვაცხადე და საოპერაციოში საკუთარი ფეხით შევედი.

საოპერაციო მაგიდაზე ჩემით დავწეჭი. როცა ანესტეზიოლოგმა დავიწყეთო სთქვა, გავსწორდი, თვალები დავხუჭე და თვლა დავიწყე.

—ერთი, ორი...

—შემეღვიძა, უფ, ეხლა რა დამაძინებს? იქნებ დამთავრდა ოპერაცია?-ხელი ძლივს ჭრილობისაკენ გავაცურე და როცა მორგვს შევეხე, მიხვდი, რომ ყველაფერი მოთავებული იყო. თვალი მძიმედ გავახილე, ბინდში თეთრი ქუდიანი სილუეტები დავინახე და ისევ ჩამთვლიმა.

—რატომ წევხარ?

—ოპერაცია გავიკეთე.

—იტყუილები.

—აი ჭრილობა.

—როდის?

—გუშინ.

—უცნაური ხარ, არაფერი გეტყობა ისე კარგად გამოიყურები.

—დღეს მესამე დღეა. რა იქნება რომ ავდგე? უნდა ავდგე! ძალიან ცხელა, ონკანთან უნდა მივიდე. წამოვდეჭი და როდესაც პალატის ექ-

იმმა წელს ზემოთ გახდილი ღრუბელით ხელში დამინახა, შემაძრწუნებლად იკივლა.

— ნუ გეშინია, ფილტვების ანთება არ დამე-მართება.

მეოთხე დღე მშვენივრად დაიწყო. უსაზღვ-როდ ბედნიერი ვიყავი, მოუთმენლად ველოდი მეცხრე დღეს, რომ გავწერილიყავი და ჩემი მიზნის განხორციელებას შევდგომოდი.

საღამოს 5 საათი იქნებოდა, მკურნალი ექიმი რომ შემოვიდა პალატაში.

—რაშია საჭმე? დღეს თვალს რატომ მარიდებთ? გეძნელებათ მითხათ, რომ შეუძლებელია რაც დავგეგმეთ მისი განხორ-ციელებაო?

გაკვირვებულმა კითხვის თვალებით შე-მომხედა.

—რას იზამთ, გამოსავალი არ არის, ყველა გზა დაკეტილია, თქვენ ვერ იქნებით ექიმი!!! სადისტური ტონით მიპასუხა.

—მე მაინც გავხდები ექიმი!! — დაუფიქრებ-ლად ვუპასუხე იმედის ნიშანწყლის გარეშე. თვალები ცრემლებს ვერ იტევდა, მათი შე-ჩერება ვერ მოვახერხე, ამიტომ ფანჯრისკენ ზეცას მივაპყრე თვალები, წამიერად გონება აბსოლუტურად გამოითიშა, გონს რომ მოვედი, რაღაც მითხრა და გავიდა.

როგორ ვერ ვიტან ადამიანს უმწეო მდგო-მარეობაში რომ შეასწრებენ.

— მივრბივარ... მივრბივარ... საყდრის კარებ-ში შევვარდი და ღვთისმშობელთან მუხლებზე დავემხე, დავიჩოქე, ცრემლები უწყვეტად ოპა-ლუპით მოდის.

— ღმერთო! გევედრები, მიშველე, მომეხმარე, ძალა მომეცი, რომ ჩემი ოცნება განვახორ-ციელო, რათა ხალხს ვემსახურო.

— გოდებით მოვთქვამ...

არ ვიცი რამდენი წუთი გავიდა... როცა გონს მოვედი, ოთახი ცარიელი იყო, მე კი ლოგინზე ვიწევი. საოცრებაა, ასე, როგორ გამოვითიშე. სიცხე ხომ არა მაქვს ნეტავ? — არა.

საკვირველია.

მე კი „დაცემისაგან“ მუხლები ეხლაც მტკი-ვა.

ნუ ღელავ, შვილო, შენი სული მე მივიყვანე საყდრამდე და უკან დავაბრუნე. კურთხეულ ხარ ჩემგან!!! — ჩამესმა უფლის ხმა.

კიდევ სამი დღე გავიდა..

გავხდი, საშინლად შევიცვალე.

დაიკარგა ჩემი სიხარული, ჩემი გაბრწყ-ინებული თვალები ჩაქრა. თითქოს დამთავრდა სიცოცხლე.

მოუთმენლად ველი მეცხრე დღეს.

პრინციპულად გადავწყვიტე მოსკოვს გამგაზვრება, რათა საკუთარი ყურით მინდოდა მომესმინა, რომ ჩემი ოცნების განხორციელების საშუალება ამოწურული იყო.

მეცხრე დღეს გამოვეწერე, ვინაიდან ფრენა
არ იყო სასურველი ახალი ნაოპერაციებისთვის, მესამე დღისათვის მატარებლის ბილეთი
ავიღე. ამ დროს ერთმა ნაცნობმა დამირეკა და
მითხრა: ეს რა ჩაგიდენია, ოპერაცია ვის გაა-
კეთებინე, მეორედ ასე არ მოგივიდესო. მერე
უცებ გამოერკვია და მომიბოდიშა. მე კი ამ
სიტყვებმა ძლიერ ჩამაფიქრა. მივხვდი, ჩემი
ოცნების ასრულების გამო სხვის რეპუტაციას
საფრთხეში ვაგდებდი. კიდევ ერთხელ მოვერიე
ჩემს თავს და ბილეთი დავაბრუნე.

თვენახევარმა წამებაში გაიარა. პირველ
სექტემბერს ბავშვები სკოლაში მივიყვანე და
მოსკოვს გავფრინდი, მეორე დღეს უმაღლეს
სასწავლებლების სამინისტროში მივედი.

ჩემს წინ საოცრად თეთრი, სიცოცხლის
უნიშანწყალო შენობა იდგა. კარი შევაღე და
ნერვიულობისაგან სულ დავიბენი. ვინაიდან
არცერთ კარზე არაფერი არ იყო მინიშნებული,
გაუბედავად ერთ-ერთ კარზე დავაკაკუნე. იქ
მიმითითეს ოთახზე და დიდი მობილიზების
შემდეგ შევედი.

— მე მეორე სპეციალობის თაობაზე გაწუ-
ხებთ.

ქალმა მრავალმნიშვნელოვნად შემომხედა
და წამოდგა.

— ვაიმე, გავიფიქრე. ასე მეგონა მან იცოდა, რომ
საავტოროს მფლობელი ვიყავი, რომ დისერტა-

ცია თითქმის დამთავრებული მაქვს და მეხის გავარდნასავით ველოდი უკმერ პასუხს – თქვენ ჰქუაზე როგორ ხართო. მაგრამ ყველაფერმა მოლოდინს გადააჭარბა, მან მშვიდად გამოილო კარადიდან ინსტრუქცია და მომაწოდა. რაკი რაღაც საიმედო გამოჩნდა, ხელის კანკალით გამოვართვი და მოვემზადე რომ მეორე შეკითხვაზე მივიღებდი უარყოფით პასუხს. მაგრამ... –რაც შეეხება ასაკს, ვინაიდან გამოცდების პერიოდისთვის ოცდაჩვიდმეტი წლის იქნებით, ამიტომ ნებართვისათვის განცხადება უნდა დაწეროთ.

სიხარულისაგან აღარ ვიცოდი რა გამეკეთებინა. ფრთებშესხმული გამოვარდი და ისიც დამავიწყდა მეკითხა, როდის შეიძლებოდა განცხადების დაწერა. მეორე დღეს ეს შეცდომა გამოვასწორე, განცხადება დავწერე და სახლში დავბრუნდი. ჩემს მღელვარებას საზღვარი არ ჰქონდა, სულ ამაზე ვფიქრობდი და ვლაპარაკობდი.

– თამარ, რომ ვერ შეძლო... რამდენი წელი გავიდა, რამდენი რამ შეიცვალა – მეუბნებოდა ოთარი.

–რას ნიშნავს, ვერ შევძლებ, ინსტიტუტი და-მიმთავრებია, რამდენი რამ შემიძენია...

–არა, განა იმიტომ, რომ შენი გონიერება მაეჭვებს, შენს ჯანმრთელობაზე ვფიქრობ... შეცვალა საუბრის მიმართულება ოთარმა.

—არა! შევძლებ, ჯიუტად ვიმეორებ. გულში
კი ვფიქრობ. არა თამარ, არ შეგიძლია, ძლივს
დგახარ ფეხზე, თითქმის ღაფავ სულს. გარეგ-
ნულად ასე ძალიან თუ არ გეტყობა, ეს ხომ არ
ნიშნავს, რომ შეგიძლია.

—როგორ არ შემიძლია, ნახავ თუ არ შევ-
ძლებ.

რამოდენიმე დღეში მოსკოვს გავემგზავრე,
სასწრაფოდ პედაგოგები მოვიძიე. პირველი
ფიზიკაზე მივედი. ვუამბე ყველაფერი და
ვუთხარი: პირველ რიგში ჩემი მიზანია სა-
კუთარ თავზე გამარჯვება, ეს მე მორალურად
მჭირდება.

დაიწყო მეცადიენობა. გაკვეთილი დამთავრ-
და, სახლში ვბრუნდები. თავი მისკდება, როცა
დავწექი ვიგრძენი, ფეხის თითებიდან თმის
ძირებამდე ყველაფერი მიფეთქავს. მიჭირს,
ფიზიკურად მიჭირს.

ვერა ვერ შევძლებ, ჯანმრთელობა არ მიწ-
ყობს ხელს.

არა!! უნდა შეძლო!! უნდა შეძლო!!.. მეძახის
ჩემი ორეული. მაშინ რაღაც უნდა მოვიფიქრო,
გადავწევიტე და შესრულებას შევუდექი.

ყოველ დილით გარგიში, შხაპი, რვა საათზე
საუზმე და მერე ღამის 12 საათამდე მაგიდასთან
მუშაობა. ცოტა ფორმაში მოვედი, იმდენად,
რომ მთელ სხეულში ფეთქვას აღარ ვგრძნობ,
მეცადინეობის საშუალებას მაძლევს, მაგრამ

კრიზები არ მეშვება.

ბავშვები უცვლელად გულშემატკივრობენ.
დამპირდნენ: – დედა, ჩვენ ივნისში შენთან
ერთად ვიქწებით, ხელს შეგიწყობთ, შენ კი
იმეცადინეო.

– დედა, როგორ ხარ?

– არა მიშავს ვახტანგ, სულ ცოტაც და კარგად
გავხვდები, ხომ იცი ღებინების მერე ყოველ-
თვის ასეთი კანკალი ამიტყდება ხოლმე. ახლა
წამლები, ცხელი წყალი ბოთლში ჩამისხით.
ერთს ფეხებზე დავიდებ, მეორეს ხელებზე.
– აბა, იქნებ იმ ექთანს დაუძახოთ თუ სახლშია...
ესეც ნემსი გავიკეთე..

– მორჩა, ეხლა ავდგები.

– ცოტა მოიცა, დედა! ჭერ კარგად გახდი.

– არა, არ არის დრო ნახევარ საათში გაკვეთილი
იწყება.

მაისის ბოლოს ჰორმონალური ანალიზის
პასუხი გამაგებინეს. გაირკვა, რომ ანალიზი
ერთი მაჩვენებელი ოცხერ იყო მომატებული,
მეორე თორმეტჯერ. წიგნში ამოვიკითხე, რომ
ამ დროს ურიგო არ იქნებოდა კომპიუტერული
ტომოგრაფია, რათა ნათელი იყოს თურქული
კენის და ჰიპოფიზის მდგომარეობა. ესეც ჩემს
გეგმაში შევიტანე და ორ დღეში შევასრულე.
– როგორ არის საქმე?

– არა, თქვენ ჰიპოფიზი არა გაქვთ გადიდე-
ბული...

—აბა რაშია საქმე, შევეკითხე, რაკი ვიგრძენი რომ პასუხი არ იყო დასრულებული.

—თუ მოვედავებით, ცარიელ თურქულ კეხზე შეიძლება შეეჭვება. დაუმთავრებელი წინადაღებები იქეთ მიღიოდა, რომ რაღაც საშინელება შეიძლებოდა ყოფილიყო.

—ჩემს ცხოვრებაში, მეორე ამოვარდნა მქონდა. თავს ვერ მოვერიე. ბავშვებთან ერთად ვიჭექი და ცხარე ცრემლებით ვტიროდი. ვტიროდი, რომ შვილები გასაზრდელები მრჩებოდა, ხოლო ოცნება განუხორციელებელი.

მაშინ გამოვერკვიე, როცა შვილებმა მითხრეს:

—დედა, იქნებ არ იყოს ის, რასაც ფიქრობენო... მათმა სასოწარკვეთილმა სახეებმა გამომაფხიზლა და გავიფიქრე — ეს როგორ მომივიდა, რომ მოვკვდე, ჩემს შვილებს დაბეჩავებული დედის სახე უნდა ჩარჩეთ გონებაშითქო. რამდენიმე წუთში მობილიზებული და ბედნიერი ვიყავი ჩემს შვილებში.

ივნისში მეცადინეობა დავამთავრე და გამოცდების წინ ერთი თვით ერთხელ კიდევ ჩამოვედი სახლში.

თხუთმეტ დღეში ისევ დაისვა ჭანმრთელობის საკითხი და ერთი დღით ინსტიტუტის დირექტორთან შესახვედრად გავემგზავრეთ მე და ჩემი მეგობარი. როცა ჩავთრინდით გზად ენდოკრინოლოგთან შევლა გადავწყვიტეთ.

კარი თოჯინასავით მოხატულმა ქალმა გაგვიღო, ოთახში შეგვიპატიუა და ცივი სახით გვითხრა: აქ რომ რაღაც არის, ორი აზრი არ არის, მაგრამ საჭიროა დიფერენცირება. ცარიელი თურქული კეხია, ადენომა თუ კისტა. ამისათვის კი აუცილებელია სტაციონარში დაწოლა, რადგან ხერხემალში ამიპაკის შეყვანა ამბულატორიულად არ შეიძლება.

მაშინ იმას ვფიქრობდი, როგორ მომივიდა, რომ წინასწარ არ ვიკითხე, ამხელა ადამიანი შევაწუხე და ეხლა უნდა უთხრა, რომ არ მცალია ერთი თვით დასაწოლად, რადგან თხუთმეტ დღეში გამოცდები მეწყებათქო.

სასტუმროში გვიან მივედით. ჩემს მეგობარში რაკი საკუთარ მეს ვხედავ, ამიტომ ჩემს ორ ორეულთან თავს უფლება მივეცი, ჩემი სისუსტე გამომემულავნებინა. 14-დან 15-ზე ღამე თენდებოდა. ჩემი მეგობრის დაბადების დღე დგებოდა. სასოწარკვეთილებაში მყოფი იმას ვფიქრობდი, თუ ხვალ დადებითი პასუხით გამომისტუმრეს 15 ივლისი ჩემი დაბადების დღეც იქნებათქო.

მეორე დილით შევხვდით ნეიროქირურგიის ინსტიტუტის დირექტორს საშუალო ტანის, გამხდარ, ასკეტური ტიპის საოცრად ძლიერ პიროვნებას. რომელმაც სურათს შეხედა და მძიმედ დასძინა: ჩემის აზრით ეს აპარატის ცდომილებაა და თუ არა, მაშინ იმდენად

მცირეა, რომ ჭერ ქირურგიულ ჩარევას არ მოითხოვსო. დაბრუნებისას ჩემს მკურნალ ექიმს ვთხოვე შეერჩია წამლები, რომლებიც გა-მოცდების ჩაბარების საშუალებას მომცემდა.

27 ივლისს უკრაინის დედაქალაქს გავემგზა-ვრე. ჭერ კიდევ არ ვიცოდი, სად გადავწყვეტდი ჩაბარებას. კიევში გავიგე, რომ შედარებით ნაკლები კონკურსი ქ. ვინიცაშიაო და მაშინვე გავემგზავრე.

გამოცდები დაიწყო. პირველ ექვსეულში შევდიგარ. პირველი-5, მეორე-3, მესამე-4, მეოთხე-5: 21,5 ქულა დავაგროვე და იმ დღესვე სახლში დავბრუნდი. ყველა მილოცავს. ჩემი გული კი სიხარულს ვერ გრძნობს. დადგა 27 აგვისტო, არაფერი არ ისმის. გავთავისუფლდი სამსახურიდან, ამოვეწერე თბილისიდან და გავემგზავრე. როცა ჩავედი ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, სიაში საკუთარი თავი ვერ აღმოვაჩინე, მივაშურე რექტორს.

ჩვენ სპეცსტაუით ოც ქულიანებიც კი ჩავ-რიცხეთ, თქვენ კი არ გქონდათ, ამიტომ...

როგორ? ასაკი, ჩვიდმეტი წლის სტაუი, საა-ვტორო... – ნუთუ ამას არაფერს მნიშვნელობა არ ჰქონდა? – ვეკითხები გაკვირვებით.

ერთადერთი ვარიანტი გაქვთ, 10 სექტემ-ბრამდე მოიცადოთ და ბედის გალიმებას დაე-ლოდოთ.

თოთხმეტი დღე საუკუნედ იქცა, ჯოჯოხეთი

იყო. ნელ-ნელა ძალას ვკარგავდი, ვგრძნობდი, რომ ვერ გაუძლებდი ამდენ განცდებს.

10 სექტემბრამდე სული ძლივს მივითანე. დილით წამალი მივიღე, შევემზადე უარისათვის. კარი რომ შევაღე, რექტორს არაფრისმთქმელი სახე ჰქონდა. ამიტომ ვერაფერი ვიგრძენი.

ჩვენ გადავწევიტეთ... – დაიწყო მძიმედ რექტორმა. გული აფრთხიალდა განაჩენის მოლოდინში.

– დაგიშვათ ლექციებზე, ხალათი თუ გაქვთ შედით ეხლავე.

– არა, ხალათი არა მაქვს თან – ვთქვი ჩუმად და წამოვდექი. სიხარულის აღქმის უნარიც კი დაკარგული მქონდა. სახლში მივირბინე, ხალათი წამოვიღე და პირველ ლექციაზე შევედი.

ლექცია დამთავრდა, ბიბლიოთეკიდან შეკრული წიგნები წამოვიღე, სახლის კარი შევაღე, წამლებითქო დავიძახე და ლოგინზე დავწექი. დაიწყო, ეს წყეული კრიზი დაიწყო, როგორ ცუდად ვარ. აკი, გული მიგრძნობდა, სულ ვამბობდი – რა დღესაც პირველად თეთრ ხალათს ჩავიცმევ იმ დღეს მოვკვდებითქო. და აი ვკვდები კიდეც.

ვწევარ, ვყლაპავ მიმდევრობით წამლებს, ვცდილობ, როგორმე მე თვითონ გამოვიყვანო ჩემი თავი მდგომარეობიდან. ტელეფონის ზარი... თბილისი...

—რას გვეტყვი დედა?

—ჩამრიცხეს, მაგრამ ყველაფერს ვტოვებ და
მოვდივარ.

—როგორ! მერე არ ინანო!!

—არა, არ შემიძლია-ძლივს ვლულლულებ.

24 საათში მეუღლე და ჩემი მეგობრები უკვე
ჩემთან იყვნენ. ბარგი შეკრული მქონდა, მეორე
დილითვე გადავწყვიტეთ წამოსვლა.

თვითმფრინავი თბილისის აეროპორტში
დაჭდა. სახლში წამოვედით. მოვემზადე საა-
ვადმყოფოში დასაწოლად. შემოსვლისთანავე
ბარგი დედას მივაწოდე და ვუთხარი:

ხალათი, რომელიც ერთხელ მეცვა, არ
გარეცხოთ, ასევე იყოს პარკში და როცა
მოვკვდები, თუნდაც ღრმა მოხუცი, აუცილებ-
ლად ჩამატანეთ.

ერთ საათში საავამყოფოში მივდივარ. თეა
ჩამეხუტა და ტირის, გულში ვიფიქრე, ალბათ
ჯავრობს რომ ისევ ცუდად გავხდი.

—რატომ სტირი შვილო, მალე ისევ კარგად
გავხდები.

—გთხოვ დაბრუნდი სასწავლებლად!

იმ დღესვე ნერვოპათოლოგი მოიყვანეს.

—ერთი შეკითხვა მაქვს თქვენთან, მივმართე
მორიდებით.

—ბრძანეთ!

—შემიძლია თუ არა წამლების ფონზე სწავ-
ლა?

—რა თქმა უნდა. ის კი არა, ჩემი სტუდენტიც
იქნებით.

გამსინჯა, მომისმინა და გავიდა. გაიგო რა,
რომ ვინიცაში ვსწავლობ და რაკი ვერავინ
ამიკრძალავდა სასწავლებლად დაბრუნებას,
გადაწყვიტა განაჩენი თვითონ ეთქვა ჩემთვის.
—თქვენ წახვალთ ვინიცაში და გახდებით ინ-
გალიდი!! — მითხრა კატეგორიულად. დანარ-
ჩენი აღარ გამიგონია. დასასრულს მაღლობა
მოვუხადე და წავიდა.

განაჩენი გამოტანილი იყო, ცხოვრება
დამთავრებულად მეჩვენებოდა. საოცრად გა-
ნადგურებული ვიყავი. იმით, რომ რაღაც ვერ
შევძელი და დავმარცხდი. ჩუმად საკუთარ მეს
ვტიროდი. მერე გონებაში რაღაც განათება
მოხდა, — კარგი, რომ მეუბნება — „თუ წახვალ
ვინიცაში ინგალიდი იქნებითო“. კი მაგრამ,
რომ დავრჩე, გამოჯამრთელების გარანტიას მაძ-
ლეს? — არა, — მაშასადამე უნდა წავიდე!!!

ბილეთი ავილეთ და ორი დღე სახლში
მოძლიერება დავაპირე. გათენდა წასვლის
დღეც. ორი საათით ადრე, ძლივს ავლასლასდი
ლოგინიდან. თავი ჩავჭინდრე, ხელები დაუშვი,
გეგონებოდა სულს ვლაფავდი როგორც ჩიტი.
დედა გაოგნებული შემომცეკვეროდა.

—მიდიხარ შვილო?

—არ ვიცი.

—რჩები?

- არ ვიცი. ძლიერს ისმოდა ჩემი ხმა.
 —დედა, თუ მიღიხარ, ჩაცმის დროა, დამაწია
 სიტყვა თეამ.
 —არ შემიძლია, დააგეთ ლოგინი, უნდა
 დავწევ.

წუთი წუთის შემდეგ ლოგინში ვიწექი,
 მორალურად განადგურებული და უკვე ღრმა
 ავადმყოფი. მეუღლე გაოგნებული მეუბნება:
 —რაშია საქმე, ნუთუ ეს შენ ხარ თამარ, ვერც
 კი გცნობ! გემუდარები წადი.

- არ შემიძლია. ვთქვი მტკიცედ.

უეცრად რაღაც აზრმა გამიელვა და ვთხოვე
 ოთარს ექიმი მოეყვანა, მაინტერესებდა მე-
 კითხა, რამდენად შემეძლო ამ რისკზე წავსუ-
 ლიყავი, რომელიც ჩაფიქრებული მქონდა.

საღამოს მოვიდა ექიმიც, რომელიც მიც-
 ნობდა და იცოდა მთელი ჩემი ისტორია.

- რა მოხდა თამარ? არ გრცხვენია? შენგან არ
 მოველოდი. ცუდად, რომ იყავი ვინ გამოგი-
 ყვანა მდგომარეობიდან?

—მე.

—ჰო, და ამაზე საშიში არაფერი მოხდება. უნდა
 წახვიდე! მერე დედას მიუბრუნდა.

—ქალბატონო, ეს რომ ეხლა დარჩეს, სწორედ
 ეხლა გახდება ინვალიდი. წარმოგიდგენიათ,
 როგორი იქნება ამდენი წლის ოცნების დამსხ-
 ვრევა?!..

ორ წუთში ფეხზე ვიდექი, სუფრა გავშალე,

თითქოს ფრთები შემესხა.

ერთ დღეში, გამგზავრების დროს, ისევ შიშმა შემიპყრო, გამუდმებით მესმის ყურებში – „თუ წახვალთ ინვალიდი გახდებით“ – ისევ ცუდად შევიქენი და ის იყო გადავწყვიტე დარჩენა, როცა ზარი გაისმა და ექიმი შემოვიდა. გამსინჯა და კიდევ ერთხელ დამაჯერებლად მითხრა:

უველაფერი რიგზეა, უნდა წახვიდე! – ნათქვამი რჩევაზე უფრო ბრძანებას ჰქავდა.

გავფრინდი. როგორც ჩავედი იმავე ღამეს ცუდად შევიქენი, იმდენად რომ სასწრაფო დახმარების ექიმმა გამომიყვანა მდგომარეობიდან. მეორე დღეს ვერ შევძელი ინსტიტუტში წასვლა და ექიმი გამოვიძახე.

– თქვენი მდგომარეობა რთულია და მოითხოვს თქვენს სტაციონარში მოთავსებას. მე სამ დღე-ღამეზე მეტი ცნობის მიცემის უფლება არ მაქვს, თქვენ კი მეტი გესაჭიროებათ.

ძლიერ დავღონდი, ჩემს ბედზე შაბათი და კვირა დაემოხვა და შევეცადე ცოტა მდგომარეობიდან გამოსვლა. ორშაბათს კეთილმსურველების მეშვეობით მოვხვდი სტაციონარში. დაინახეს რა ჩემი ასეთი შემართება, შევიდნენ მდგომარეობაში და თვალს ხუჭავდნენ, როდესაც ლექციებზე ვიპარებოდი.

ყოველი დილა ჩემი კრიზით იწყებოდა, გავიკეთებდი ნემსებს, ცოტა გამოვიდოდი

მდგომარეობიდან და გავრბოდი ლექციებზე. სულის სიმწრით ვცდილობდი სემესტრის დამთავრებას. სული კბილით მეჭირა მაგრამ ვიცოდი გამოსავალი არ იყო, რადაც არ უნდა დამჯდომოდა უნდა გამეტანა ლელო.

ერთი თვის შემდეგ გამოვეწერე საავადმყოფოდან, ჩათვლები ვადაზე ადრე დავამთავრე და იანვარში სესიაც დავხურე.

მორჩა! გავიმარჯვე! ე.ი. არის შანსი გამოჯანმრთელების. მაშასადმე ბრძოლაა საჭირო, ბრძოლა...

ამ სიმწრის, მაგრამ გამარჯვების სამას-სამოცდახუთმა დღემ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ თუ სულით ძლიერი ხარ, და თან გდევს სურვილი, მონდომება და მისწრაფება, ჟველა ოცნება ასრულდება.

16.04.84

თბილისში მწველი გაზაფხული იდგა.

የክፍናሳሳ ዘመንኛ

የክፍናሳሳ ዘመንኛ በፌዴራል ከፌዴራል የኢትዮጵያውያን ስምምነት ይረዳል ተብሎ መስጠት እንደሚሸጠል ነው ይህንን የሚከተሉት ዝርዝር ይዘሩታል
የክፍናሳሳ ዘመንኛ በፌዴራል ከፌዴራል የኢትዮጵያውያን ስምምነት ይረዳል ተብሎ መስጠት እንደሚሸጠል ነው ይህንን የሚከተሉት ዝርዝር ይዘሩታል

რამაზი სახლიდან გამოვიდა. მიმართულება სკოლისაკენ აიღო. ჩქარობდა, გამოსაშვები საღამოს ბოლო დეტალები რომ დაეზუსტებინა. ქუჩის კუთხეში მრგვალ ქონგურიანი სააფიშო ანონსი შეამჩნია, რომელიც თეატრის სეზონის დახურვას იუწყებოდა. ის იყო აფიშის წაკითხვას შეუდგა, რომ მეზობლის, ვაჟას ხმა შემოესმა.

— გამარჯობა, შენი რამაზ!

— გაგიმარჯოს!

— „ბედნიერება“ — მ დაგაინტერესა? ბედნიერება ნიღბის მიღმა..

— რატომ ასე ირონიულად?

— იმიტომ, რომ „ბედნიერება“ კატეგორიული ნათქვამია. საინტერესოა რით განსაზღვრეს ბედნიერება, რომელიც სრულყოფილი არა-სოდეს არ არის.

თუ შენ გეგმებს გადადებ, შეგვიძლია აგერ ბალში ჩამოვსხდეთ და ვისაუბროთ, ეს დიდი თემაა და ორი სიტყვით ვერ გადმოვცემ.

— დიდი სიამოვნებით, თუ კი შენ მოიცლი?

— აი, ასე. მოვკალათდით. ეხლა შეგვიძლია ვისაუბროთ, —

როგორც შეამჩნიე თეატრი არ მიყვარს, დუბლს ვერ ვიტან, მითუმეტეს თუ თავისი პირადი ხელწერა არ გააჩნიათ, საშინლად გამოიყურებიან, როცა ცდილობენ სხვებს დაემგვანონ.

— ვერაფერი ვერ გავიგე, რა დუბლი, რა თეატრი?

— ცხოვრებას თუ დააკვირდები, იგი თეატრია. და ეს თეატრი გალაქტიკიდან იწყება, იქედან დედამიწა ჩანს მრგვალი, ლამაზი. ნარნარი ქალივით, — თითქოს მიცურავს ეს ციური სხეული, მიუხედავად იმისა, რომ ორგვარ ბრუნს ახორციელებს, — მზის გარშემო და თავის ღერძის გარშემო. უყურებ და ფიქრობ, — ასეთივე ნაზი, მშვიდი ცხოვრებაა მის ზედაპირზე. ახლოს რომ მიუახლოვდები, მაშინ ხვდები რა სიძლიერით ბობოქრობს, გმინავს მასზე სიცოცხლე. ხედავ, საიდან იწყება თეატრი? თუ კი მას საზამთროსავით, პოლუსების მიხედვით ჩამოვჭრით ისე, რომ ამფითეატრის ფორმა შეინარჩუნოს, გამოვა ოთხი ამფითეატრი. კიდევ ორი წილი რჩება, — იგი ფორმით ამფითეატრს არ მოგვაგონებს, მაგრამ ისიც თეატრია.

— ზეციურ სამყაროში? — რომელიც სამოთხედ და ჭოჭოხეთად არის დაყოფილი.

— აქაც თამაშობენ?

— რა თქმა უნდა.

— რატომ?

— ჭოჭოხეთში რომ არ მოხვდნენ...

— სიკვდილის წინ?

— სიკვდილის წინ?

— ჰო, — მაშინაც თამაშობენ, — ვუპასუხე დამაჭერებლად, ისე როგორ გგონია, რატომ

ტირიან?

— იმიტომ, რომ აქ დარჩენა უნდათ?

— არა, მათ გაქცევა უნდათ ამ თეატრალურ სამყაროდან.

— მაში, რატომ ტირიან?

— განიცდიან, — ვაი თუ სამოთხეში ვერ მოხვდნენ და იქაც თამაშის მსხვერპლი გახდნენ, მაგრამ იქ სხვაა, უფალი ყველაფრის დამნახავი და გამგებელია.

სულ შვიდი გამოვიდა, ეს შვიდივე მოძრავ სცენასავით ბრუნავს. ხან მზისკენ შებრუნდება, ხანაც მთვარისაკენ, ხან გაათბობს, ხან გააცივებს, რომ ზომიერება შენარჩუნდეს; ხან შეანგლრევს მიწისძვრის სახით, ხან წარღვნას მოიყვანს, რომ ზოგიერთი ულირსი, სარეველა ბალახივით ამოიძირკვოს. მაგრამ არა და არა, ვერა და ვერა. უცნაურია, ზოგი ადამიანი აკუ-მულატორივით დაიტენება სითბოთი, ზოგს აისბერგივით ვერაფრით ვერ გაალლობ, ზოგი მინდვრის ბალახივით ამოიძირკვება და ზოგი ისეთ ფესვებს გაიდგამს, აბა თუ ბიჭი ხარ დაეჭიდე. მისი ფესვი ხანდახან დედამიწის ღერძს აღწევს და შენგლრევისაგან შეიძლება მის მოძრაობას მიმართულებაც კი შეაცვლევინოს.

— კი მაგრამ კულისები? საგრიმიორო?

— კულისები სხვადასხვა ფორმით არის გამოხატული, სადაც ფარდა, — ეზოს ჭიშკრით, სადარბაზოს კარით არის წარმოდგენილი, საგ-

რიმიორო კი – ბინებია.

აი, ისინი კი, ნამდვილად იზოლირებული და კარგადაა ჩაკეტილი. ისე ჩვენთან უმეტესობა რკინის კარით არის ჩარაზული და დალუქული. ხომ შეგიმჩნევია სეიფის გასაღებებით არის შემკობილი.

ადრე ყველა ერთად ცხოვრობდა, კულისებში გამოსასვლელი ერთი ჰქონდათ და ისეთი კონტაქტი იყო დამყარებული, რომ არ აძლევდა „გრიმის“ წასმის საშუალებას. ამდენად ყველა პიროვნება კარგად იყო გამოვლენილი. შესაბამისად დრამატული თეატრი კი ძლიერი მსახიობებით იყო დაკომპლექტებული, მათ შორის იშვიათად შეგხვდებოდა ორპირი...

–რატომ?

–იმიტომ რომ ერთი ნიღბით იფარგლებოდნენ. ეხლა? ეხლა კი გრიმს ყველა მშვიდად და ნელა ისმევს მისთვის იზოლირებულად გაკეტილ სახლში; თუ ვერ ასწრებს ყოველ შემთხვევაში სახელდახელო „ნიღბებიც“ აქვს შეძენილი... აიფარებს და გამოვა.

–თეატრში?

–თეატრში მოდის უკვე ერთი ნიღბით, რომელიც მუდმივად აქვს აფარებული, რომ მოხსნა და თავისი თავი დაანახო ვერ იცნობს ჰოდა ამას, რომ კიდევ სპექტაკლისთვის საჭირო ნიღაბი ემატება ყალბი ხდება. ეს ორი ნიღაბი ერთმანეთზე ისე სრიალებს მსახიობი ფოკუსში

მოუხვედრელ საგანს ჰერი, რომელიც რამდენიმე გაორებას იძლევა.

ამ თეატრალურ სამყაროში ადამიანები დასცილდნენ ერთმანეთს. გაიკეტნენ... ერთმანეთის პრობლემები არ აწუხებთ. მარტოობასაც ვერ ეგუებიან; ამიტომ ცხოველებისკენ იბრუნეს პირი. ამჩნევ,?! როგორ მომრავლდნენ ცხოველები კორპუსებში? ეს იმიტომ, რომ ადამიანს თავისი არსებით მარტო ყოფნა არ ძალუს. თვით არა ერთგულ ადამიანს, ერთგულება სწყურია, ამიტომ კავშირს ეძებს ძალლთან, კატასთან, ცხენთან, რომლებიც საოცრად ერთგულები არიან, უსიტყვოდ გრძნობენ მის ცუდად ყოფნას, უგუნებობას და სატკივარს უნელებს, განტვირთვას აძლევს. საერთოდ, საზოგადოებიდან მოწყვეტილი ადამიანები სულ სხვაგვარად გამოიყურებიან. წამოდი, წამომყევი და შენ თვითონ ნახავ.

ამ სიტყვებით მივუახლოვდით დადიანის ქუჩაზე საცხოვრებელ სახლს. პირველ სართულზე ფანჯრები ჩვეულებისამებრ ღია იყო.

... ეს გოგონა ბებიასთან ცხოვრობს, ხედავ როგორი ნაღვლიანია?

სწორედ იმიტომ მოგიყვანე აქ, რომ შენი თვალით გენახა თვით სუფთა არსება როგორია, როცა საზოგადოებიდან გამოეყოფა.

—საზოგადოებაში როგორია?

—როგორია და მხიარული. ეხლა კი, შენ

თვითონ ნახავ დანარჩენს.

ის ყოველ საღამოს, ძილის წინ, უხმობს დედის სულს. გესმის? ერთსართულიანი კერძო სახლის ფანჯრები იმდენად მისაწვდომი იყო ყურთასმენისთვის. რომ გარკვევით ისმოდა გოგონას ჩურჩული, — დედა! დედაა!..

—ცრემლიანი დიდრონი თვალები, სევდიანად შეჰქონიერებდა, მომღიმარ დედის სურათს,—

როგორ მენატრები, როგორ მაკლიხარ. გულის კუნჭულში მეამაყები, ხმამაღლა კი ვერ მითქვამს მეშინია აუგი არ მითხრან. ამიტომ სულ ვცდილობ ამაყად და მხიარულმა ვიარო, რომ ვერავინ ვერაფერი შემომბედოს.

სულ კი მეუბნები, — ძლიერ პიროვნებებს ვერაფერს უბედავენო, მაგრამ მაინც ვშიშობ, ცოდვა გამხელილი ჭობია და ვერ გპატიობ, რომ დაგვტოვე.

შენი ხმა კი სულ მესმის, — რას იზამ ბავშვი ხარ. ცხოვრება არ იცი რა რთულია. ფრთხილად უნდა იყო. დაიმახსოვრე: — ადამიანი სათნოა და ხალხი მკაცრი, უყვარს დაბეჩავებული ადამიანის დანახვა. მიჭირავს ეს შენი რვეული და ამდენი ხანია ვერ გამიბედავს წაკითხვა. ეხლა კი აუცილებლად წავიკითხავ.

—ამიხსენი რა ხდება.

—ახლავე გიამბობ ყველაფერს. ყველაფერს რაც ამ გოგონას დედას, მეგის შეეხება.

1923 წლის ივნისის ბოლო იდგა ქუთაისში;

როგორც ყველა სკოლაში, გიმნაზიაშიც გა-
მოსაშვები საღამო იწყებოდა. საუბედუროდ
მეც გახლდით იქ. გიმნაზიელები მოუთმენლად
ელოდნენ თავისი თანაკლასელის, მეგის გამოჩე-
ნას და გაუჩერებლად იმეორებდნენ: – როგორც
ყოველთვის ორიგინალურად მოგვევლინება
ალბათ-ო.

– ის ეხლა ალბათ თავის ამპლუაშია, საკუ-
თარ კარადასთან დგას და ეძებს რითი მორთოს
თავის მეგობრები. ხომ იცი როგორი კეთილი
და ემოციურია.

– ხომ არ დააგვიანებს ნეტა?

– ზოგიც პასუხობდა, – არ არსებობს იგი ძა-
ლზე პუნქტუალურია და სიტყვის პატრონი.

– აგრე ისიც – მომესმა, რა საოცრებაა

– აბა, აბა დამანახე, – ერთმანეთს ასწრებდნენ
თანაკლასელები.

მართლა საოცრება იყო, ვერცხლისფრად
ბზინვარე კაბაში სრულიად ანათებდა, – ღვთა-
ება იყო.

– რა ღვთაებაა, ვინ არის? – შემეცითხა ჩემი
მეგობარი ვახტანგი, რომელიც თან მახლდა.

– ოო... ეს მეგი ჭიჭინაძეა გიმნაზიისა და
ამ მასკარადის დედოფალი. ჩვენი პედაგოგის
ქალიშვილი.

– ხომ არ გამოვცნაურებოდით?! – შემეცითხა
ვახტანგი.

– ეს არ არის ძნელი, რაკი კარგად ვიცნობ.

იცი დედაჩემის მეგობრის – ანა დემეტრაძის ქალიშვილი გახლავს; მაგრამ შენ ვის გულისთვისაც ჩამოხვედი იმას მოუარე. ვთქვი და შევბრუნდი.

–ანა დემეტრაძის? ოთარაანთ ქვრივს რომ ვეძახდით?

–ხომ გახსოვს? ულამაზესი ქალია. განათლებული, ჭკვიანი, იუმორით სავსე, – მაგრამ კერპი, სიტყვაზე გადასვლა არ უყვარს თუ თვალში არ მოუვიდა ვინმე, მტრისას... ეს სიკვდილამდეა.

–შვილი კი ღვთაება ჰყავს... არ ოკდებოდა ვახტანგი.

–ნუ იტყვი. გარეგნობის გარდა, საოცრად განათლებულია, უკრავს, მღერის, კერავს, არაფრისაგან საინტერესო რაღაცას შექმნის. ძალიან უყვარს მარტობა.

ამ საუბარში ვიყავით, როცა მეგი მეგობრებს მიუახლოვდა. – ხომ არ დამაგვიანდა? – იყითხა მოკრძალებით.

–მეგი! რა ლამაზი ხარ! როგორ ბზინავს, – არ ცხრებოდნენ მეგობრები, და გაოცებული შეჰქურებდნენ მის კაბას და ხელის შეხებას ლამობდნენ.

–ფრთხილად ხელი არ იტკინოთ. გუშინ მთელი ღამე არ მიძინია, ვკერავდი.

–ღმერთო ჩემო, ქინძისთავებით შეუკერია! აკი, ვამბობდი ჩვეულ ორიგინალობას

გამოიჩენსთქო. არ ცხრებოდნენ ბავშვები.

გამოცხადდა „თეთრი ცეკვა“.

—მეგი! ვის ამოირჩევ — ერთხმად შეეკითხენ მეგობრები.

—მოითმინეთ და ცოტა გამეცალეთ. თუ არ მომეჩვენა, შემოსვლისას სამხედრო პირი შევამჩნიერ. ამბობენ სამხედროები კარგად ცეკვავენო. მინდა ჩემი პირველი „თეთრი ცეკვა“ მას უძღვნა.

...ის იყო გავიფიქრე, ხომ არ მომეყურათქო, როცა ვახტანგთან პირისპირ მდგარი მეგი დავინახე, გაოცებისგან თვალები გამიფართოვდა.

—უკაცრავად, სურვილი მაქვს არჩევანი თქვენზე შევაჩეროო.

ვახტანგს გაოგნებისა და ბედნიერებისაგან ფეხები შეებორება. ყურს არ უჭერებდა, რომ მისი სურვული ღმერთმა ისმინა და ასე მალე აუსრულა. ორივე საოცრად მსუბუქად და პროფესიონალურად ცეკვავდნენ.

—მე თქვენს შესახებ ყველაფერი ჩავაზუსტე. დედათქვენს ბავშვობიდან კარგად ვცნობ.

—თქვენ სტუმრად ხართ ქუთაისში?

—მე?, — დაიბნა ვახტანგი, — დიახ, სტუმრად ვარ ჩემს მეგობართან, — დაუფიქრებლად იცრუა.

—ვაუასთან?

—დიახ.

—ჩვენ მეგობრების შვილები ვართ, — დაა-

ფიქსირა მეგიმ.

— გმადლობთ დიდი სიამოვნებისთვის რო-
მელიც მომანიჭეთ, — ამ სიტყვებით მიაცილა
მეგი მეგობრებთან ვახტანგმა.

— თქვენც მადლობთ.

— როგორი აზრის ხარ? — შევეკითხე ვახ-
ტანგს.

— ძალიან მომწონს!! იმდენად, რომ შეიძლება
შემიყვარდეს კიდეც.

— ფრთხილად!.. მრავალმნიშვნელოვნად
გავაფრთხილე.

— მე კი გთხოვ, დამეხმარო, შენ თვითონ იცი
რასაც გეუბნები.

ეს ვახტანგისგან თხოვნაზე მეტი იყო. მუდა-
რას უფრო ჰერცი.

მეორე დღეს დილით მეგი დავინახე ქუჩაში
მიმავალი და შევძახე: მეგი! მეგი!

— ვაუა? როგორი კარგი მეგობარი გყოლია.

— მოგეწონა?

— ძალიან.

— შენ წარმოიდგინე, მეც იმიტომ დაგიძახე
რომ მეთქვა, — მასაც ძალიან მოეწონე, იქნებ,
საქმე გაგვეჩარხა, ჰა?

— პირველი სიტყვა მისია, მერე ვნახოთ.

— თუ ნებას მომცემ წარმოგიდგენ, — რას
იტყვი?

— ნება მომიცია! — ეშმაკურად გაიღიმა და
გაიქცა.

— საღამოს სად იქნები? — ძლიგს მივაწიე
სიტყვა.

— თეატრში... სთქვა და თითქოს მიფრინავდა
ისე გარბოდა.

მე კი, სასწრაფოდ ვახტანგისკენ
გავეშურე...

თეატრის ბილეთები ავიღე.

სახლში მივედი, წამოვწექი და საღამოს
მოლოდინში სასიამოვნო ოცნებების მოჩევში
გადავეშვი

ამ დროს ჩემი ოთახის ფანჯრიდან, ჭიშკართან
მოსაუბრე დედაჩემი და მეგის დედა დავინახე.
ფანჯარასთან ავიტუზე და გადავწევიტე მათი
დიალოგისთვის მომესმინა.

— ანა, ჩვენსკენ მომავალ იმ ყმაწვილს კარგად
დააკვირდი!

— ვინ არის?

— ვახტანგ განელიძე.

— რომელი ვახტანგ განელიძე, ფილიპოვას
ქალს რომ ჰყვარობს?

— სწორედ ის არის, მგონი, შენი მეგის ხელი
უნდა რომ გთხოვოს.

— მეორედ არც გაიმეორო! ჩვენს მეგობრობას
გაფიცებ, — უთხრა ანამ დედაჩემს კატეგორი-
ულად. მომივიდა ხმები, მის მერე რაღაც შიშმა
ამიტანა. მეც გამიკვირდა, რომ მომიახლოვდა
დენმა დამიარა ტანში, ხომ იცი ჩემი წინათ-
გრძნობის ამბავი, რაღაც ცუდის მომასწავე-

ბელი არ იყოს მისი გამოჩენა.

—მეგის რომ შეუყვარდეს?

—მხოლოდ ჩემი სიკვდილის შემდეგ, ვაუას გადაეცი ამ ამბავს სასწრაფოდ ბოლო მოუღოს,
— თქვა და სასწრაფოდ წავიდა.

მიუხედავად იმისა, რომ მისი ტონისგან ტანში ურუანტელმა დამიარა, საღამოს ისინი მაინც წარვუდგინე ერთმანეთს.

ვახტანგის წასვლიდან ერთი თვის შემდეგ მეგი სახლთან დახვდა ვახტანგის ძმას.

—გამარჯობათ! მე მეგი ვარ ვახტანგის მეუღლე, — მოხერხებულად იცრუა, — მე ის ძალიან მიყვარს, და ძალიან გთხოვთ წამიყვანოთ მასთან თბილისში.

—გამარჯობა მეგი, მე შენზე ბევრი მსმენია, თუ კი მეუღლე იყავი, ეს როგორ მოუვიდა ვახტანგს, როგორ დაჲყვა დედაშენის ნებას. შენ არ იჯავრო! დღეს საღამოს 8 საათზე სადგურთან გელოდები. მე ვიღებ ჩემს თავზე ყველაფერს.

დილით, როცა თბილისში ჩავიდნენ, სახლში მხოლოდ დედა დახვდათ.

— დედა გაიცანი, ვახტანგის მეუღლე — მეგი.

— მოდი, დედა შვილო! აწი რა მომკლავს რაკი ამ დღეს მოვესწარი. ვახტანგი დილაადრიან სამსახურში წავიდა, მაგრამ არა უშავს; მანამდე თავს შეგაქცევინებ.

სალამოს შინ დაბრუნებულ ვახტანგს დედა
მიეგება, ნახე, ვინ არის ჩვენთან.

—ვინ?! — მეგი! — გაოგნდა, — საიდან გაჩნდი?
თქვენებმა იციან? დაბნეულმა მიაყარა შეკითხ-
ვები.

—მე, შენი ცოლი ვარ და რაკი არ მომაკითხე
გადავწყვიტე მე თვითონ მოვსულიყავი... და
დიდრონი თვალები მიანათა.

—არა დედა. მეგი ჯერ არ არის ჩემი მეუღლე.
მას ეხლა ოჭახი ეძებს ალბათ.

—ვაიმეეე!.. მოიცა!.. შენ გიყვარს, გინდა
ცოლად?..

—დიახ, დედა!

ბედნიერების გააზრება ვერ მოასწრეს, რომ
კარებზე კაკუნის ხმა მოესმათ. კარი გააღეს
და კარის ზღრუბლზე გაშმაგებული ანა იდგა..
მისალმების გარეშე მკაცრი, ბრძანების ტონით
მიმართა მეგის.

—მე გთხოვ!! ეხლავე წამოხვიდე სახლში!!

—არ წამოგალ! ჯიუტად უპასუხა მეგიმ.

—არ წამოხვალ?! მაშინ, კარგად დაიმახ-
სოვრე! ეს სახლი უბედურების მომტანი იქნება
შენთვის.

—რატომ ასე მწარედ?!

—რატომ? იმიტომ რომ გული ტირის.

—ანა, შემობრძანდით, მივყვეთ მათ ნებას
და ხელი შევუწყოთ. ერთ კვირაში ვახტანგი
ჩინის ასამაღლებლად წავა პეტერბურგში. რომ

დაბრუნდება ქორწილი გადავუხადოთ, მერე
შვილიშვილები გავზარდოთ.

— მწარედ ცდებიან! არ არის სწორი, მათი
გადაწყვეტილება თქვა და წავიდა.

— დამშვიდით შვილებო! ორთავეს გიყვართ
ერთმანეთი. მაშ რაზეა ლაპარაკი? ჩემი ქალი-
შვილი იქნები, სანამ სული პირში მიდგას
შენზე მლოცველი ვიქნები. ამასობაში დედაც
გაპატიებთ და შეგირიგდებათ.

გავიდა რამდენიმე დღე.

ვახტანგი პეტერბურგს გაემგზავრა.

დილით კაკუნი გაისმა კართან უცნობი
იდგა, რომელმაც მეგის წერილი გადასცა.

— დედა ყოფილა ცუდად, უკანასკნელ დღეე-
ბში ჩემი ნახვა უნდა, — უთქვამს გაფითრებულ
მეგის, — დედა, თუ არ გეწყინებათ წავალ დე-
დაჩემთან და როგორც გამოკეთდება მაშინვე
ჩამოვალ.

— რა თქმა უნდა შვილო, მითუმეტეს ვახტან-
გიც არ არის, ძალიან გამიჭირდება უშენოდ,
იცოდე მოუთმენლად გელოდები.

— მეც ძალიან გამიჭირდება უთქვენოდ, —
სთქვა და სასწრაფოდ მზადებას შეუდგა. მომზა-
დებულა და გაჟყოლია წერილის მომტანს.

ქუთაისში, როცა სახლის ჭიშკარს მოუახ-
ლოვდა ახლობლებს შორის მე და დედაჩემიც
იქ ვიყავით.

რა ამბავია? ხომ მშვიდობაა, — იკითხა

შეშინებულმა მეგიმ და თავის დას ჩაეკრო.

— მოხვედი? რაც შენგან დაბრუნდა დღითი-დღე გაურესდა მდგომარეობა. ვერაფრით ვერ შეეგუა შენს ბედს. ეხლა სძინავს. სულ-მოუთქმელად გელოდება.

— ვერაფრით ვერ გამიგია, რატომ ვერ შეეგუა ჩემს ბედნიერებას?

— შენც რა მოიკალი თავი?

— მიყვარს და მასაც ვუყვარვარ.

— შენ რომ გიყვარს გასაგებია, მაგრამ მას რამდენი სიყვარული შეიძლება ჰქონდეს?

— რატომ, რატომ ამბობ ასე? რამდენჯერ წაგვიკითხავს, რომ ერთ პიროვნებას სიცოცხლის მანძილზე რამდენიმე სიყვარული აქვს, რატომ ხდება, როგორ გვონია?

— არ ვიცი! არასოდეს არ დავფიქრებულვარ შეუძლია თუ არა ერთ ადამიანს რამოდენიმე სიყვარულის განცდა და რატომ?!

— მე კი, დავფიქრებულვარ, იმიტომ რომ თვითეულში რამდენიმე ადამიანი ცხოვრობს, რომელთაგანაც თვითეულს რაღაც იყლია ცხოვრებაში, რომელიც სხვადასხვა ადამიანებშია და ამიტომ, ილტვის მათკენ.

— მაშინ ისმის კითხვა — არის თუ არა სიყვარული ერთი.

— რასაკვირველია ერთია. თითოეული სიყვარული ერთია და განუმეორებული.

— აკი, ამბობენ ნამდვილი სიყვარული ერ-

თიაო? აბა მითხარი რას გულისხმობ ნამდვილ
სიყვარულში?

—აქ, ნამდვილი კი არა, დაუვიწყარი უფრო
მისადაგებული იქნებოდა. რაკი დაუვიწყარი
ერთია, განუმეორებელი კი — მრავალი.

—ესე იგი შენ ფიქრობ, რომ სიყვარული
მრავალნაირი არსებობს?

—სიყვარული მრავალნაირი არსებობს,
ხორციელი, სულიერი. ზოგჯერ ორივე ერთად,
როდესაც ორივე ერთად არის, ალბათ სწორედ
ის არის დაუვიწყარი, ანუ როგორც ხალხი ეძა-
ხის, — ნამდვილი სიყვარული.

მამაკაცებს ხორციელი სიყვარული უფრო
ხშირი აქვთ, ამიტომ მათი არევა შეუძლებე-
ლია.

—მე კი მაინც მგონია, რომ სიყვარული ერ-
თია, — არ ცხრებოდა მეგის და.

—რას ნიშნავს სიყვარული ერთიაო. რატომ
ფიქრობ ასე? სიყვარული ფართო მცნებაა,
მასში შედის დედ-მამის, და-ძმის, სამშობლოს,
მეგობრების და პიროვნების სიყვარული, რო-
მელიც არცერთ ზემო ჩამოთვლილში არ შედის.
ყველა ეს, სიყვარულია და განსხვავებული
ერთმანეთისაგან. თუ ერთდროულად ადამი-
ანს შეუძლია ჩაიტიოს ამდენი სიყვარული,
რატომ არ შეიძლება, რომ პიროვნებების
მიმართაც იყოს რამდენიმე წარსული გრძნობა,
რომელიც მის შემეცნებაშია დიფერენცირე-

ბული. მაგალითად, ჩომ არ შეიძლებოდა, რომ ვახტანგს ქვეცნობიერად სცოდნოდა, რომ მე გამოვჩინდებოდი მის ცხოვრებაში და წინასწარ უარი ეთქვა ფილიპოვას ქალთან ურთიერთობაზე, რომელთანაც ხორციელი სიყვარული აკავშირებდა.

—ჰოო.. რა ვიცი, ლოგიკურად სწორი ხარ, მაგრამ ეს ისეთი ფილოსოფიაა, რომ მე და შენ ვერ გადავჭრით.

—და რაკი ვერ გადავჭრით, ამიტომ ყველაზე იოლია გაჩიუმდეთ და სხვები გავკილოთ?

—კარგი, მოდი ნუ ვიკამათებთ, ერთს გთხოვ მხოლოდ, — ირაკლი ახვლედიანს ცუდად ნუ შეხვდები. ხომ იცი, როგორი განათლებული, კეთილი და ბუნებით რბილი კაცია. უყვარხარ, და გულს ნუ ატკენ.

—რა დროს მაგაზე ლაპარაკია!

—რატომ არ არის დრო, შვილი არ გყავს, მხოლოდ ერთი კვირის გათხოვილი ხარ, ოლონდ შენ გაყევი და ყველაფერზე თანახმაა.

—გაჩიუმდი! გემუდარები გაჩიუმდი!

—დღე და ღამე ჩვენთანაა. ნახე, როგორი ერთგულია ჩვენი ოჯახის.

—რაში გამოიხატება?

—ლხინში მხარში გვედგა და ამ გაჭირვებისას გადაყვა დედაჩვენს. დღეს თუ სული უდგას, მხოლოდ მისი წყალობით. ნუთუ ეს ცოტას მთქმელია?

—ჭირში და ლხინში მხარში დგომა ჩვენი ადათ-წესის მაჩვენებელია და არა ერთგულების.

—უზომოდ უყვარხარ, თანაც ბავშვობიდან.

—არ შემიძლია! არ შემიძლია!

—ნუთუ დედის ხათრითაც არ შეგიძლია, ნუთუ გახტანგი უფრო გიყვარს?

—მაგას როგორ მეუბნები, რას ნიშნავს უფრო გიყვარს, დედა, საყვარელი ადამიანი და შვილი. ადამიანის გრძნობის სამი პიკია, რომლებიც ერთმანეთის მაგივრობას ვერ გაწევენ. მხოლოდ გაჭირვების დროს შეიძლება მსხვერპლზე წასვლა, რაც პრიორიტეტზე არ მიუთითებს.

—ჰო და მერე, მერე!.. ნუთუ არ შეგიძლია ეს პრიორიტეტი მომაკვდავ დედას მიანიჭო და უკანასკნელი თხოვნა შე უსრულო?!

—რატომ მამწყვდევ ჩიხში? ნუთუ არ გეცო-დები?

—რატომ?! — გაკვირვებით შეეკითხა. წამოდი, დახედე შენს საყვარელ დედას.

მეგი გაჭყვა და როდესაც საწოლში სიცოცხლის ნიშანწყალს მოკლებული დედა დაინახა, შიშით ხატის წინ დაიჩოქა და თვალცრემლიან-მა მუდარით წარმოსთქვა:

—ღმერთო შენ უშველე. ღმერთო გადაარჩინე, ღმერთო მაპატიე ყველაფერზე თანახმა ვარ, ოღონდ გადაარჩინე.

დამ მომენტით ისარგებლა და უთხრა, —
დაიფიცე! ხატის წინაშე დაიფიცე, რომ აღას-
რულებ დედის თხოვნას მის სიკვდილამდე.

—ვფიცავ! რომ მსხვერპლად შევწირავ ჩემს
თავს, ჩემს სიყვარულს, ჩემს სიცოცხლეს — ო...
ღმერთოო!.. გადაარჩინე, გემუდარები.

დამ მომენტით ისარგებლა და მეგის
თხოვნით მიმართა, — რაკი დედის მდგომარეობა
მძიმეა და დრო არ ითმენს ირაკლის შენთან
მოლაპარაკება სურს. ოთახის კარი გააღო და
თვითონ გავიდა.

ირაკლი მორიდებით შემოვიდა. კარებთან
ერთმანეთს გვერდი ავუარეთ და მეც გავედი,
კარი კი შეღებული დავტოვე.

—დაბრძანდით, იძულებითა და მორიდებით
მიმართა მეგიმ.

—მეგი! მე თქვენ უზომოდ მიყვარხართ!

—დიალოგების დრო არ არის. დედის მდგო-
მარეობა არ ითმენს. მხოლოდ ერთი შეკითხვა
მაქვს.

მიპასუხეთ! თითქმის ბრძანების ტონით
უთხრა მეგიმ — მე ერთგულად შევასრულებ
მეუღლის მოვალეობას, მაგრამ იცოდეთ, —
მჩისხანება სჭვივოდა მის ტონში, — სული-
ერად მე თქვენი არასოდეს არ ვიქნები. და
კიდევ ერთი, ამ სახლიდან არ წავალთ, სანამ
დედა კარგად არ გახდება. ამ პირობით თანახმა
ხართ?

—უველა პირობაზე თანახმა ვარ! — მტკიცედ,

მაგრამ მორიდებით უპასუხა ირაკლიმ.

მიღიოდა დღეები. მეგი ძილში ტიროდა თურმე.

ბავშვივით კრუსუნებდიო – დრო და დრო ეტყოდა ხოლმე მეუღლე.

ვაჟიც შეეძინათ. ოჯახი მყუდრო ჰქონდათ და ეს ანუგეშებდა ირაკლის.

მეგი კი, ღმერთს ევედრებოდა, – ღმერთო მიშველე. ღმერთო ძალა მომეცი, გაუძლო ამ შველაფერსო.

ერთხელ შემთხვევით ქუჩაში შემხვდა. შეწუხებული სახით მოდიოდა.

–რამ შეგაწუხათქო? – ვკითხე.

–ცოდვებმაო, – მიპასუხა და მრავალმნიშვნელოვნად შემომხედა.

–რა ხდება?

–ძალიან მიჭირს ცხოვრება... ვერ ვიტან სიყალბეს, სიცრუეს.

–რას ცრუობ? შენ ხომ არ დალატობ?

–მას ისევ ძლიერ ვუყვარვარ. მე კი – არა, რომ არ შემიყვარდებოდა, თავიდანვე იცოდა. არ მიყვარს, მასთან ურთიერთობა წამებაა. შეძეგ ჩუმად ვტირი, დღეს მითხრა – თურმე სიზმარშიც ვტიროდი. ვერ ვიტან რომ სიმშვიდეს ვთამაშობ. ეს სიმშვიდე სიყალბეა, სიცრუეა, მაშინ როცა ყვირილი მინდა, ყვირილი.

მეზიზლება, მეზიზლება ისიც და ჩემი თავიც, ერთადერთი შვილია ჩემი ცხოვრების ნათელი

წერტილიო, — თქვა და ტირილი აუვარდა.

— დამშვიდდი. ეს შენი მძიმე ჭვარია, რო-
მელიც შენ აირჩიე. შენ ხომ მსხვერპლად
შეეწირე შენს დედას, ჰოდა, ყოველ დილა-
სალამოს ღმერთს შესთხოვე ძალა მოგცეს. მე
კი აქ ვილოცებ შენთვის.

როცა გაგიჭირდეს ყოველთვის შეგიძლია
მომმართო.

ერთ მშვენიერ დღეს მეგი ბავშვს ასეირნებ-
და თბილისის ქუჩებში. ის იყო ბავშვს, რაღაც
შეუსწორა, რომ მოპირდაპირე მხრიდან მისკენ
მომავალ ფაეტონში ვახტანგი დაინახა.

—ღმერთო ჩემო! თქვა და იქვე უგონოდ
დაეცა.

ვახტანგი ეტლიდან ჩამოხტა. შემოსეული
ხალხი გაწი-გამოწია, ბავშვი და მეგი ეტლში
ჩასვა და სახლში მიიყვანა.

სახლში მისულმა დედას შველა სთხოვა და
პირველი, ბავშვი მიაწოდა.

—ვისია ეს ბავშვი?

—ეხლავე აგიხსნი ყველაფერსო, — თქვა და
გულწასული მეგი შეიყვანა.

—მეგი? შვილო, მეგი, რა მოუვიდა!

—აგერ, ახლოს, შემთხვევით შემხვდნენ, რომ
დამინახა გრძნობა დაკარგა...

—ეხლავე. ეხლავე ყველაფერს გავაკეთებ;
ღმერთო ჩემო, რა ცოდვა იდო დედამისმა. ბუტ-
ბუტებდა და თან ვახტანგს ეხმარებოდა.

—დედაა? აქ საიდან გავჩნდი, — იკითხა გაკ-
ვირვებულმა მეგიმ.

—კარგად რომ გახდები ყველაფერს გიამბობ.
გახტანგი ეხლავე მოვა, — აი ისიც.

—მადლობა ღმერთს. როგორ შემაშინე, ჩემო
სიყვარულო, როგორ ხარ?

—არა მიშავს, შენ, შენ როგორ ხარ? როდის
ჩამოხვედი?

—გუშინ ჩამოვედი, მთელი დღეა ქუჩაში
დავძრწივარ, თითქოს გული მიგრძნობდა, რომ
შეგხვდებოდი.

—ბავშვი სად არის?

—დედაჩემთან.

—რომელი საათია? დამაგვიანდა. უნდა წა-
ვიდე, — გაიძახოდა შეშინებული მეგი.

—ვერსადაც ვერ წახვალ! — ბრძანების ტონით
გამოცრა გახტანგმა.

—რას ამბობ გახტანგ?

—რა, აღარ გიყვარვარ?!

—როგორ არ მიყვარხარ!

—მაშ, რაშია საქმე?!

—მე ხომ დედა ვარ..

—მერე შვილიც აგერ არის..

—ხალხი გაგვკილავს! — არ ცხრებოდა მეგი

—ხალხმა მაშინ რატომ ის არ გაკილა, როცა
ცოლი „ქურდულად“ წამართვა?

—რას იზამ, ბედი ჩვენს საწინააღმდეგოდ
მოქმედებს.

— არავითარ შემთხვევაში. ბედის წარმართველი ძალა ჩვენ თვითონ ვართ!

— გამიშვი ვახტანგ, ჩემი გაჭირვება მეყოფა.

— არსადაც არ გავიშვებ. ეს ხომ არის შენი სიტყვები თუ იქნებ, სხვამ დაწერა. ან იქნებ უკვე ასე აღარ ფიქრობ?!

— ვახტანგმა ამოიღო უჯრიდან სასოებით შენახული წერილი.

— გემუდარები არ წაიკითხო!

— კარგი, ვახტანგ, ნუ აწამებ! — გამოექომაგა დედა.

— არა! წავიკითხავ! მომისმინე, კარგად მომისმინე.

— „პატიებას გთხოვთ ჩემი საქციელისთვის. მე ჩემი თავი სამსხვერპლოზე მოვუტანე დედას, ჩემს დედას. იცოდეთ! ჩემი უმწიკვლო სიყვარული, სული, სიწმინდე, ბედნიერება მანდ დავტოვე, ნუ დამწყევლით. მე ისედაც დაწყევლილი და დასჭილი ვყოფილვარ. დაჩოქილი ვითხოვ პატიებას, გეამბორებით კაბის კალთაზე და გადაეცით ვახტანგს, რომ მე მეუღლე ერთი მყავდა და მყავს, ჩვენ სულით ერთნი ვართ, ამიტომაც მასთან დარჩა ჩემი გული და ჩემი დაუვიწყარი სიყვარული“.

— აი, მე ამდენსანს, მხოლოდ ამით ვსულდგმულობდი.

— ღმერთო რა დაგაშავე? ღმერთო გადმომხედე!

— და ყოველივე ამის შემდეგ უარი ვთქვა

ჩემს სიყვარულზე, რომ ხალხმა არაფერი თქვას?

ეს არ მოხდება! მე უკვე შევატყობინე და თუ მოვა, სათანადო პასუხსაც გავცემ.

— შეატყობინე? ვის? — გაოგნებული და შეშინებული გაიძახოდა მეგი, — შვილი? შვილს რა ვუყო? თუ არ დამითმო? კანონი და საზოგადოება ჩემს წანააღმდეგ იქნება.

— შვილის საქმეს მოვაგვარებ! ხომ ხედავ, შენს ოთახში არაფერი შემიცვლია, შენ გელოდება ყველაფერი.

ტელეფონის ზარი გაისმა.

— მეგი, შვილო შენ გთხოვენ — უთხრა ვახტანგის დედამ.

მეგიმ ყურმილი აიღო, —

მეგი, ნუ დამიწყებ ნურაფრის ახსნას. კარგად მესმის ჩემი შეცდომა, რომელიც დავუშვი; უნდა მცოდნოდა, რომ მსხვერპლად მოტანილი ბედი არ გაამართლებდა. მე ვიცი, როგორი სუფთა და კეთილშობილი ხარ. უზომოდ მიყვარხარ. გთხოვ რამდენიმე დღეს, კიდევ აწონო და თუ ჩემს საწინააღმდეგოდ გადაწონი, გული ნუ დაგწყდება, რომ თენგიზს წავიყვან, ნუ გამამტყუნებ, რადგან შენი სხეულის ნაწილი მაინც იქნება ჩემთან, რომელსაც მოსაბრუნებელ და შენი ნახვის საშუალებად ვიტოვებ ეგოისტურად.

—ოჰ ღმერთო. თქვა და სკამზე დაეშვა.

— ვინ იყო? — გაშმაგდა ვახტანგი.

— ირაკლი.

— რაო? მოვდივარო?

— არა, რამდენიმე დღე მომცა..

— მადლობა ღმერთს, მგონი მიხვდა — თქვა და შვებით ამოისუნთქა ვახტანგმა, — ჰოდა აი შენი ოთახი, აი ბავშვი და ვიდრე შენ თვითონ არ მიხმობ მე, არ შეგაწუხებ, — თქვა და გავიდა ოთახიდან.

— ნუ დარდობ შვილო, ვახტანგს ყოველ-თვის არც გავაგებინებ, მე ისე შეგიწყობ ხელს და ბავშვს ყოველდღე ნახავ. როცა შვილი შეგეძინებათ დარწმუნდება რომ ყველაფერი დამთავრებულია და ირაკლიც დათმობს თენ-გიზს.

— თქვენც ასევე ფიქრობთ? უღრმესი მადლობა ერთგულებისათვის.

ვახტანგის დედა მოეხვია და დამშვიდება დაუწყო, — ნუ გეშინია, შვილო, ყველაფერი კარგად იქნება.

— ბევრი ვიფიქრე. ჩემი წასვლა გამორიცხულია. ისევ და ისევ შვილის გამო. მიბრუნებული მე ვერ შევძლებ ძველი სიმყუდროვის შენარჩუნებას და ბავშვი დაძაბულობაში იქნება. სასამართლოს წესით ვერ მოვიგებ. იქნებ ისევ მისმა კეთილშობილებამ მიშველოს და დათანხმდეს ბავშვის დაბრუნებას.

— შენ ისეთი სულგრძელი ხარ, ღმერთი

იქნება შენი მფარველი.

—ღმერთო, ღმერთო შენ მიშველე, — ჩურ-
ჩულებდა მეგი.

—როგორ დაიხოცეთ, ნერვიულობით შენ
აქეთ, ვახტანგი იქეთ. აბა შენ იცი ჩემო გოგო,
ჩვეულად ძალა მოიკრიბე. ააწყვეთ ურთი-
ერთობა შენ და ვახტანგმა. ნუ ჩააქრობთ ამ
დიდ სიყვარულს განცდებით, თორემ მერე
ყველაფერი კარგად იქნება და სიყვარული კი
ჩაფერფლილი შეგრჩებათ.

—სწორი ხარ დედა. ეხლავე გავალ ვახტანგ-
თან.

ოთახში მიმავალმა თავისთვის ჩაილაპა-
რაკა, — მწარე ყოფილა შვილი.

* * *

მალე ქალიშვილი შეეძინათ, თენგიზი კი
მამასთან იზრდებოდა; ამასობაში კიდევ ერთი
წელიც გავიდა და როცა გურანდა წლის უნდა
გამხდარიყო, ვახტანგის დედასთან მოლაპარა-
კებით მეგიმ სთხოვა ვახტანგს ქუთაისში წას-
ვლა დედასთან. მათდა გასაკვირად ვახტანგი
დათანხმდა. ვახტანგის დედა ხშირად უმეო-
რებდა მეგის: — იმაზე კი არ ნერვიულობს რომ
ირაკლის ხვდები. არა თენგიზზეც და თავის
საკუთარ შვილზეც ერთნაირად ეჭვიანობს,

რომ შენს სიყვარულს უყოფენ. ასეა, კაცმა
თუ ბავშვივით გულუბრყვილოდ და უაზროდ
შეგიყვარა, ვერ იტანს დროებით ყურადღების
მოდუნებასაც კი.

ორი დღის შემდეგ ქუჩაში მომავალს ვახ-
ტანგი შემხვდა. მივესალმე და სად იყავითქო
ვკითხე.

მეგი გავაცილე ქუთაისშიო.

—როგორ ეს წუთია ფაეტონში ბავშვით
დავინახეთქო ვთქვი და ენაზე ვიკბინე, მაგრამ
გვიანი იყო.

ვახტანგი მოსწყდა ადგილიდან და გაიქცა,
მეც არ დავაყოვნე და უკან გავეკიდე. სადარ-
ბაზოში აირბინა და კარებზე ისეთი ბრახუნი
ატეხა, შუშაბანდის ფანჯრებმა ზანზარი და-
იწყო. კარი მეგიმ გაალო. ირაკლი კედელთან
იყო მიყუდებული. ბავშვები თვალებაზვეული
დარბოლნენ მაგიდის ირგვლივ. ვახტანგი შე-
ვიდა; სილა გააწინა ირაკლის ისეთი ძალით, რომ
სისხლი შადრევანივით შეესხა კედელს.

—აღარ გეყოფა?! — თქვა, ხელი დაავლო
გურანდას და გავიდა.

—ვახტანგ, მოაძახა მეგიმ.

ვახტანგი შეჩერდა მოიხედა და კბილებში
გამოსცრა: — სახლში გელოდები.

სახლში სამარისებული სიჩუმე სუფევდა.
ვახტანგის დედამ ბავშვი დასაძინებლად გა-
იყვანა. ვახტანგი შევიდა ოთახში. მეც შევყევი

და გარინდული ვუსმენდი მის ხშირ სუნთქვას.
უეცრად მომიბრუნდა და მითხრა:

—რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე, როგორ
გამოუვალ მდგომარეობაში ვარ. ერთი თვეა
ვებრძვი ჩემს თავს, ჩემს საქციელს არა ვაჟკა-
ცობაში მითვლიან. ვერ ვიტან ცინიკურ სახე-
ებს, შეიძლება ზოგჯერ მელანდება კიდეც. რა
უბედურია ეს ცხოვრება. სრულყოფილი ბედ-
ნიერების საშუალებას არ გაძლევს, არა უნდა
გაგაჭახიროს, დაუძაბოს, გაგაბოროტოს.

საზოგადოების აზრი?! არა არ მაინტერესებს
საზოგადოების აზრი მე. ვიცი ვინც მიყვარს, და
რას წარმოადგენს იგი. მე ის უზომოდ მიყვარს.
არ შემიძლია მის გარეშე, მას კი ჩემს გარეშე.

—არა! არა! ვინ გაძლევს მოსვენების საშუ-
ალებას. ავი სულები დაძრწიან, დათარეშო-
ბენ. მაინცდამაინც მათებრ უნდა იცხოვრო. გ
კილავენ, როგორ შეიძლება რომ გესმოდეს
ცხოვრებაში ყველაფერი. როგორ შეიძლება
გესმოდეს, რომ ის ადამიანია და თავისი შვილი
უყვარს. არა! უნდა დაახრჩო, ჩაქოლო, ჩაკლა
მასში და შენშიც სიყვარული.

რატომ? გეკითხებით რატომ? გეკითხებით
თქვენ, ხალხნო? — საზოგადოებად წოდე-
ბულნო.

თითოეულ ადამიანისთვის ცალ-ცალკე
რომ მომეულა ჩემი გაჭირვება, უსათუოდ
გამიგებდნენ, მხარში ამომიდგებოდნენ, გამო-

საგალის ძებნას დაიწყებდნენ. ყველას ერთად კი რატომლაც არ შეუძლიათ.

რატომ, ადამიანებო? რატომ? ყველა ერთად ხომ მეტი ძალა ვართ? ხომ ვამბობთ ძალა ერთობაშიაო?

არა, გვიჭირს, გვიჭირს ყველას ერთად სიკეთის კეთება. ბოროტებაში კი ყველა ერთად ძლიერები ვართ. აი! აქ არის სწორედ ძალა ერთობაში.

რას ერჩით ამ სათნო, ერთგულ და კეთილშობილ ქალს, მის სიყვარულს? მაინცდამაინც უნდა იხილოთ ფეხმორთ-ხმული, ძაძებში, მტირალი? – მაშინ თქვენ ძლიერები ზემოდან უპირატესობით გადმოიხედავთ. პრიორიტეტი გინდათ, პრიორიტეტი? საიდან გაქვთ ეს პრიორიტეტი, საიდან? იქედან, რომ მალავთ თქვენს სისუსტეებს დღეს?

სახე, სად არის სახეები? თქვენი ნამდვილი სახეები? ჰმ... ნიღბებს, ნიღბებს დაუფარავთ.

ვინც მეგობარი არ იყო, – გასაგებია, მაგრამ ვინც მეგობრები მეგონა? – ზოგი აშკარად ხატავს, ზოგი მალულად ამჟღავნებს, აგერ შენ, შენც კი უნებლიერ გაჰყიდე. გაჰყიდე ეს საცოდავი. რა ჩემი ერთგულებით? კი მაგრამ მერე რომ ვიტანჯები. სად არის ეს ჩემი მეგობარი, ერთგული მეგობარი. რატომ ვარ მარტო?

უცნაურია, თუ ქალი ლამაზია გარყვნილება უნდა დააბრალონ, კაცს ცუდი სენი: კი მაგრამ

ხომ შეიძლება ყველანი კარგი იყვნენ მაგრამ, ორს სხვაგვარად უყვარდეთ ერთმანეთი?

ეგოიზმი. რა საშინელებაა ეს ეგოიზმი, ვის-იც არ უნდა იყოს იგი. განსაკუთრებით საზოგა-დოების ეგოიზმია საშინელი და დაუძლეველი. ჩვენ, ქართველებს ხომ გამოხატული გვაქვს დედის, ქმრის, ცოლის და შვილების ეგოიზმი. სწორედ ეს ეგოიზმი გვღუპავს ხოლმე. ნუთუ არ შეიძლება თავი დავადწიოთ ამ ეგოიზმს?! არა! არ შეიძლება ეტყობა.

მომშორდი! მომშორდი! – გაშმაგებული ყვი-როდა და ყურთან ხელს იქნევდა. თითქოს რაღა-ცას იგერიებდა – შენ რაღას დამდევ, რა, შენც ჩემი მეგობარი ხარ? რომ მიკიუინებ სიკვდილი, სიკვდილიო, ეს მეც კარგად ვიცი, რომ ორი გამოსავალი მაქვს, ან ვინმე უნდა მოვკლა ან თავი უნდა მოვიკლა. პირველი არ შემიძლია, მეორე კი არ არის ძნელი, მაგრამ მიჭირს მასთან განშორება. ესეც რომ არ იყოს მას დამატებითი ტანჯვის მიყენება უნდა კიდევ?

რამდენად ეგოისტები ვართ მამაკაცები. ვიდრე მოვიყვანთ ყველაფერზე თანახმა ვართ ყველა განსაცდელზე, გილიოტინაზეც კი ავალთ თითქოს მათი გულისთვის; როგორც ჩვენად დავიგულებთ, ვაწამებთ რაც შეგვი-ძლია, გვიჭირს თავის დაჩაგვრა. სხვადასხვა გასასამართლებელ საბუთებს ვიშველიერთ. ირაკლი შვილს ებლაუჭება, მე მის ჩემდამი სი-

ყვარულს. ჩემი საბუთი მე უფრო მყარი მგონია, რაკი ორივეს გვიყვარს ერთმანეთი, ირაკლი კი ცალმხრივ გრძნობას ეპოტინება. რა ქნას მეგიმ, ამ სუსტმა არსებამ, რომელ ერთს გაუძლოს.

სუსტი არსებაო? ვინ არის სუსტი, ვინ გაუძლებდა ცხრა წელი ამ ტანჯვას, რომელი ძლიერი მამაკაცი? განა შეიძლება ისეთმა არსებამ, როგორიც მეგია, რომელიმე შვილზე, სოჭვას უარი? ეტყობა მისმა განცდამ კულმინაციას მიაღწია, მთელი ღამეები ძილში ბორგავს, ხან თენგიზს ეძახის, ხან მე, ხან ირაკლის თხოვნით მიმართავს.

უსუსურები ჩვენ ვართ, ორ მამაკაცს ერთი საქმე ვერ გადაგვიჭრია და ამ სუსტ არსებას ჩამოვეკიდეთ. ველოდებით ის როგორ გადაჭრის, სად მიგვიჩენს ადგილს.

არა, ისე რა უბედურია მეგი, გაგიგონიათ რომ ორ ადამიანს უსაზღვროდ უყვარდე, ამას კიდევ ორი შვილის სიყვარული ემატებოდეს და რაღაც უჩინარი მსაჭული არ გაძლევდეს სრულყოფილი ბედნიერების საშუალებას?!

უჩინარი მსაჭული! აი, ვინ არის მტერი! აი, ვინ მყავს მოსაკლავი! მაგრამ უძლური ვარ, რადგან ერთ სიტყვაში გამოხატული, ერთი ნიღბით წარმოდგენილი – საზოგადოება – მრავალს აერთიანებს მას ერთი ხელის მოსმით მუსრს ვერ გაავლებ. სამაგიეროდ! იმ ერთი ნიღბიდან, გაერთიანებული სხივთა კონა მაგიური ძალით

მოქმედებს აი!, სად არის ერთიანი ზემოქმედების ძალა, აი სად არის ძალა ერთობაში.

აი, აქ რწმუნდები, რომ უსუსური ხარ! არა-რაობა ხარ, დაძრწიხარ ცხოვრების გალიაში და არ იცი სად გაარღვიო იგი.

ისევ შენ ხარ?! – გამეტებით მოიქნია ხელი ყურთან.

ოჸ... ღმერთო, ღმერთო მომეხმარე, გამოსავლის პოვნაში.

ამ დროს მეგი შემოვიდა ოთახში. ვახტანგი მიუბრუნდა.

– მეგი, ძალიან მიყვარხარ, მაგრამ ეს არ მიშლის ხელს გავიგო შენი მდგომარეობა. მაგრამ მეც შემიცოდე, როგორმე არჩევანი გააკეთე და დაამთავრე

– არჩევანი უკვე გავაკეთე – უპასუხა მეგიმ. ამიტომ შევახვედრე და გავაცანი ბავშვები ერთმანეთს ერთი თვის წინ.

– აბა მითხარი რა არჩევანი?

– გერ მიპასუხე გიყვარვარ?

– ძალიან, ძალიან! – აღელვებული, და მოუთმენელი თვალებით შეხედა.

– არა მაინც როგორ?

– უგონოდ, უდვთოდ მიყვარხარ.

– დამთანმხდები რაც არ უნდა გითხრა?

– ორი აზრი შეიძლება არ გქონდეს.

– მაშინ, მოიწიე ჩემსკენ ახლოს – და ჩურჩულით რაღაც უთხრა...

— იდეალური გადაწყვეტილებაა, თანახმა
ვარ! — დამაჯერებლად უპასუხა ვახტანგმა.

— რა იყო რა ბედნიერი სახეები გაქვთ? რამე
მოიფიქრეთ? — შეეკითხა შემოსულმა ვახტანგის
დედამ.

არაფერი მომავალ გეგმებზე და ქორწილზე,
ვსაუბრობთ, რომელიც ვერაფრით ვერ გადა-
ვიხადეთ.

— აბა, აბა ერთი რა მოიფიქრეთ?

— ქორწილის ორიგინალური გადაწყვეტილე-
ბა. რასაკვირველია თუ შენ საწინააღმდეგო
არ გექნება და როგორც ყოველთვის ისე
ამოგვიდგები მხარში.

— კი დედა, როგორც გინდათ. აბა მით-
ხარით.

— არაფერი. ერთკვირიანი „თაფლობის
დღეები“ მოგვაწყობინე. გურანდა წაიყვანე
სახლიდან და მარტო დაგვტოვე მე და მეგი.

— უფ, მეც არ ვიფიქრე. ეს რა ძნელი საქმეა.
თქვენ დღე მითხარით. დანარჩენი ჩემზე იყოსო.
თქვა და გავიდა. მეც დავემშვიდობე და სახლი-
საკენ გავეშურე.

ერთ ლამაზ გაზაფხულის დილას ელსმენის
ხმა გაისმა. გაოცებულმა ყურმილი დავკიდე და
ვახტანგის სახლისკენ გავქანდი. ოთახში შეს-
ულმა გაოგნებულმა ჭერ მაგიდაზე დადებული
ჩანახატი „თეთრი ცეკვა“ დავინახე.

ყველა რაღაც ფურცლებს კითხულობდნენ

და მეც ამ ჩანახატის კითხვას შევუდექი. თავიდან მალ-მალ გადავფურცლე, მივხვდი მეგი თავის ცხოვრებაზე წერდა და დასასრულისკენ როცა მიგადექი „თეთრ ცეკვას“, დავეწაფე კითხვას ვინაიდან „გასაღებს“ ვიპოვიდი მეგონა. დიალოგს ვახტანგი იწყებდა.

—ძლივს მარტო დავრჩით, არავინ არ მეცილება შენს სიყვარულში. მე ძლიერ ბედნიერი ვარ, — შენ?

—მეც, მეც. მაგრამ შვილები რომ ვერ...

— შვილები! ისევ შვილები რა არ გიყვარვარ?

—მიყვარხარ, ძალიან, უგონოდ მიყვარხარ!

—ერთი კვირაა სულ მარტო ვართ, მე ბედნიერი ვარ შენ თუ ხარ ბედნიერი ჩემთან, მხოლოდ ჩემთან, მარტო.

—შენთან ყოველთვის ძალიან ბედნიერი ვიყავი, ვიდრე საქმე ბავშვს შეეხებოდა. მაგრამ მაშინაც საოცრად იცოდი მხარში ამოდგომა, მომავლის იმედს მინერგავდი.

—თავიდან ვფიქრობდი. — შვილი შენი რომ არ იყო ამიტომ აყენებდი შენს გრძნობას წინ. მერე როცა გურანდა შეგვეძინა, რომელიც ძალიან გიყვარს, მაშინ მივხვდი, რომ უზომო გრძნობა გამოძრავებდა ჩემს მიმართ.

—მერე, მერე არა ხარ ბედნიერი?

—ვარ, ვარ! ამით ძალიან ბედნიერი ვარ!

—კიდევ კარგი!!

—შენ შემოგევლე, შენ გენაცვალე, ოოგორ
გაირბინა ამ ერთმა კვირამ.

—ბედნიერი წამები სწრაფად გარბიან.

—სამწუხაროდ.

—ათი წუთი დარჩა, ერთი კვირის შესრულე-
ბამდე არა?

—კი, გადავავლოთ თვალი ჩვენს გეგმას,
ხომ არაფერი დაგვავიწყდა. მეგობრებს დავუ-
რეკეთ, სურვილები გადავეცით.

—ვაიმე, გუშინ მეც ხომ დამირეკეს! — გამიელ-
ვა თავში.

—არაფერი, არაფერი არ დაგვვიწყებია.
მოდი ამ სადღეგრძელოთი „თეთრ ცეკვას“
გაუმარჯოს!

—მე გიწვევთ!

—რა ბედნიერები ვუვლით გარს ამ მაგი-
დას.

—თორმეტ საათამდე ხუთი წუთი დარჩა. მე
ვითვლი ერთი, ორი... მხიარული ხმით, ტრი-
ალით ნელ-ნელა სცილდებიან ერთმანეთს...
სამი, ოთხი, ხუთი.

—ბოლო შემობრუნება და გასროლის ხმა.
მეგი შეტორტმანდება და ნელა დაეშვება
იატაკზე. ვახტანგი უახლოვდება, ხელით თავს
აუწევს.

მეგი! მეგი!

—რა ბედნიერი დღეა. ბედნიერება დაიწყო
და დასრულდა „თეთრი ცეკვით“. არაფერი

არ დაგავიწყდეს. ყველაფერი მოლაპარაკების
თანახმად გააკეთე.

—ძალიან გტკივა?

—მოიწე ახლოს, ძალიან ცუდად გხედავ. აი
ასე ცოტა გავთბი. მაღლობთ. ამ სიტყვებით
თვალები ნაზად მილულა და მშვიდად დალია
სული.

—მოდი გენაცვალე, მოგროთო... აწვენს სა-
წოლზე თვითონაც წვება. ეხლავე... ეხლავე
მოვდივარ.

გაისმა ორი გასროლის ხმა...

ეს ხმა შეუმჩნეველი აღარ დარჩა, მეზო-
ბლებისთვის. ისმოდა შემზარავი ყვირილი,
ზოგი ფანჯარას ეცა, ზოგი ტელეფონს. ზოგი
მაგიდაზე დაგდებულ წერილებს და სწორედ ამ
აურზაურში ამ საოცრების მხილველი გავხდი.
სულ თვალწინ დამიდგა, ერთი კვირით ადრე,
მათი დედისადმი თხოვნა და ბედნიერი სახეები.
ყველაფერი ნათელი იყო, მაგრამ სამწუხაროდ
ძალიან გვიან...

—ფანჯრები ჩაურაზავთ.

—ალო, ალო ექიმი, სასწრაფოდ ექიმი..

—გვიანღაა მეგი უკვე ცივია. მას კი ორივე
ნასროლი გულში აქვს. არ ცხრებოდნენ მეზო-
ბლები.

ერთმა მეგის წერილის ხმამაღლა კითხვა დაი-
წყო, — „დედა! მაპატიე, რომ ასეთი ტკივილი
მოგაყენე მაგრამ სხვა გამოსავალი ვერ ვიპოვნე.

ჩემი შვილების სიყვარულს, ერთმანეთისგან
მოშორებულს ვერ ავიტანდი. მიმიხედეთ შვი-
ლებს. შენ ვახტანგზე კვლავ ნუ გაბრაზდები.
ეს ყველაფერი ურთიერთ შეთანხმებით მოხდა.
დამიჭერე, რომ ბედნიერი ვარ, რომ მასთან
ერთად ვასრულებ ცხოვრებას. ეხლა მაინც ნუ
დაგვაცილებ ერთმანეთს“.

მეორემ ვახტანგის წერილი გაშალა, —

„დედა! ჩვენი ცხოვრება ჩვენი ქორწილით
დავასრულეთ. შედეგი მრავალჯერად აწო-
ნილია. ბავშვებს მიხედეთ. ნუ დაგვაცილებთ.
წინასწარ ბოდიშს გიხდი მძიმე ჭაპანისთვის.
მშვიდობით“.

—არა! არა!.. მკვლელთან ვერ დავტოვებ ჩემს
შვილს. მე ვგრძნობდი, ვგრძნობდი. მოაცილეთ,
მოაცილეთ მას.

—მაშ, წინ უდგები მათ იმქვეყნიერ ბედ-
ნიერებასაც? — გაოგნებულმა შეეკითხა ვახ-
ტანგის დედამ. იყოს ნება შენი. ღმერთი იყოს
შენი გამგებელი.

ხალხი გაოცებული იყო მისი ჰუმანურო-
ბისაგან მაგრამ აღშფოთებას არ ფარავდა მეგის
დედის მიმართ.

—კი მაგრამ ხედავ მეგის დედა როგორი
კერპი, ქედმალალია? აკი გეუბნებოდი ცოდვა
და მადლი პარალელურად ვითარდებიან
ცხოვრებაში.

— მიჸყავს, მიჸყავს! — ნუთუ არავინ აღუდგე-

ბა – არ ცხრებოდნენ მეზობლები.

აღუდგება? აღდგომა ჩომ სდომოდათ გაკილ-ვას არ დაუწყებდნენ და არ დაუშვებდნენ ამ ტრაგედიას.

ზოგიც ამტყუნებდა:

– სულელები, ეს რა ქნეს, სიკვდილში ნახეს გამოსავალი. ახია მათზე.

– ეთქვათ იქნებ რამე გამოსავალს ვიპოვნიდით არა? ნახევრად ცინიკურად.

ამ რეპლიკებიდან გაოგნებულს შემომესმა: „მეგი მიჰყავთ“!.. ვახტანგის დედას არ ძალუძღა, გაშმაგებული ოთარაანთ ქვრივივით, კლდეთ ქცეული ანას შეჩერება.

დიახ, ასე დასრულდა ეს ლამაზი სიყვარული. ამ ბავშვებისთვის საზოგადოებას არ მოუცლია, უფრო მეტიც დაავიწყდათ. გურანდა მეტადრე დაიჩაგრა. ანა მას საერთოდ არ გაკარებია; დარჩა ვახტანგის დედის ამარა და სულ ამ სახლში ცხოვრობს. ეხლა ისევ მიუახლოვდეთ ფანჯარას და ვნახოთ დაასრულათუ არა კითხვა.

– დედა! დედა! მივხვდი. მივხვდი: – ადამიანი სათნოა და ხალხი მკაცრი... – სინანულით წარმოთქვა.

ეხლა კი როგორ მეზიზდება საზოგადოება, რომელმაც წამართვა შენი თავი. მათ უნდოდათ დაბეჩავებული ენახე. შენ ამაყი ადამიანი აშას ვერ აიტანდი, არც ერთი შვილი არ გამოარჩიე.

რაკი საზოგადოებამ ერთად ყოფნის საშუალება
არ მოგვცა, ორივეს ერთნაირად, არაეგოის-
ტურად წაგვართვი შენი თავი და შეგნებული
ვაჟკაცური სიკვდილით მოკვდი. შენ გმირი
ხარ! საზოგადოების მსხვერპლი, ჩემთვის კი
მარადისობის ანთებული კელაპტარი ხარ,
ძლიერების სიმბოლოდ ქცეული.

წამოდი, წამოდი არ შემიძლია ამის ატანა.
მინდა ვიყვირო, რომ ექო მოედოს მთელ სამ-
ყაროს:

—ოო... დედამიწავ, როგორ მებრალები!
წარლვნავ!! სად ხარ წარლვნავ?! იქნებ გა-
დალეკო, ჩამორეცხო ეს ზედაპირები თეატრად
ქცეულები, ჩააღწიო მის წიაღებში, ჩამორეცხო
გრიმები, საღებავები, წალეკო ნილბები, ჭოჭოხე-
თი სინათლედ, დედამიწა ედემის ბალად და
სამოთხედ აქციო.

7.11.87

ცხელი საგი

თუ მოვარდი მოვარდი მოვარდი

თუ მოვარდი მოვარდი მოვარდი

თუ მოვარდი მოვარდი მოვარდი

99 17 07

თუ მოვარდი მოვარდი მოვარდი

თუ მოვარდი მოვარდი მოვარდი

თუ მოვარდი მოვარდი მოვარდი

თუ მოვარდი მოვარდი მოვარდი

მე ოთარ გერსამია სამოცდარვა წელია ვცხოვ-
რობ თბილისის ერთ-ერთ უძველეს უბანში; ხოლო კერძოდ ორი წელი ამ იტალიურ ეზოს
სტილში აშენებულ ახალ მრავალსართულიან
სახლში. ვცხოვრობთ მე და ოთხმოცდაექვსი
წლის დედა, რათქმაუნდა ღარიბულად და კვე-
ბაც შესაბამისად გვაქვს. თითქმის მთელ დღეს,
დიდ ოთახში, ტელევიზორთან ვატარებთ.
მითუმეტეს ეხლა, როცა განსაკუთრებული
მიზეზი გამაჩნია. ოთახში მაგიდა, სკამები და
ხის ტახტია. მაგიდაზე წყლიანი გრაფინი და
ჭიქაა, რითაც შიგადაშიგ შიმშილს დავიოკებთ
ხოლმე. განმრთელობა შერყეული მაქვს, განსა-
კუთრებით ვლიზიანდები, როცა ტელევიზორი
ვხედავ წარწერას:

ცხელი ხაზი!

ვინც იცით საზოგადოებრივი
და სამსახურეობრივი მოვალეობის
დარღვევების შემთხვევები დარეკეთ

99 07 07

ანონიმურობა დაცული იქნება.

და განერვიულებული გავრბივარ ტელე-
ფონთან, რომელიც მხსნელად მიმაჩნია.

დამშვიდდი, დამშვიდდიო, — მომაძახებს
ხოლმე დედა.

როგორ უნდა დავმშვიდდე. 1937-ში ჭერ
მამა გადაასახლეს, ერთ ოთახში გადაგვი-
ყვანეს; მერე რამდენიმე თვეში მეზობლებმა
საერთო ტუალეტი დაგვიკეტეს. ნათესავებს
მოსვლა ეშინოდათ, რადგან სამშობლოს მოლა-
ლატეტებად გამოგვაცხადეს, მხოლოდ დეიდები
მოდიოდნენ, ისიც ღამით, რომ არავის დაენა-
ხათ. მერე რამდენიმე თვეში, როცა ერთი წლის
გავხდი, დედაც დაიჭირეს და მე დეიდებმა
წამიყვანეს. უმცროსი დეიდა ცამეტი წლის იყო
და უფროსი დის როლი ეკავა. მისი სურათი
ტახტის თავზე მამაჩემის გვერდზე ჰქიდია,
ხშირად ვესაუბრები ხოლმე, განსაკუთრებით,
როცა ძალიან მიჭირს. უფროსი დეიდა ორი
წლით უფროსი იყო დედაზე და მან დედის
როლი შეითავსა. დავრჩით ერთად უმწეოდ და
განადგურებული. მაგრამ ხანმოკლე აღმოჩნდა
ჩვენი ერთად ყოფნა. სულ ცოტა თხუთმეტი
წლის ვიქნებოდი, როცა ჩემს უმცროს დეიდას
მუცლის ტიფი დაემართა და გარდაიცვალა,
რაც ჩემთვის ძალიან დიდი სტრესი იყო, მძიმე
შედეგებით, რომელიც დრო-და-დრო დღესაც
მახსენებს თავს. მას შემდეგ შიშები დამჩემდა.
უფროსი დეიდა დედაჩემის ჩამოსვლიდან ექვს
თვეში გარდაიცვალა.

ოცდაერთი წლის ვიყავი, როცა დედა ჩამო-
ვიდა; იგი უცხო ადამიანი შეიქნა ჩემთვის,
მაგრამ სიტყვა - დედა-ს მნიშვნელობა იმდენად

ძლიერი მოთხოვნა იყო ჩემს შეგნებაში, რომ ძლიერ სითბოს მიღვივებდა მის მიმართ.

— აი, აი ისევ, ისევ ცხელი ხაზი..

— ახლავე. ახლავე დავრეკავ, დავრეკავ, აბა ხომ უნდა დავეხმარო ჩემს ქვეყანას.

— მოიცა, მოიცა, რაღაც ახალი ინფორმაციაა,

— დაიჭირეს შინაგან საქმეთა მინისტრი.

— აი, აი, ესეც ასე. ეხლა ხომ შეივსება ბიუ-
ჭიტი და ხალხსაც ეშველება...

ერთი წუთით ფანჯარას მივხურავ, — გამარ-
ჯობათ, როგორ ბრძანდებით? აი, აი ახლა
ნახე, რომ დაგიჭერენ და რომ დაგაყაჭინებენ
ფულს.

აი, ისევ ინფორმაცია, — აიყვანეს — სამცხე-
ჭავახეთის ერთ-ერთი რაიონის გამგებელი.
ვაიმე, როგორ არ ვიტირო?.. რატომ?.. ისეთი
კარგი კაცი იყო, ყურადღებიანი, რამდენჯერ
დამხმარებია როცა შემხვედრია.

დამშვიდდი სულო, დამშვიდდი, — უში ვერ
მოვიშორე ეს ხმა ყურიდან. როგორ ხარ? —
არამიშავს?! ვცრუობ, ვცრუობ დეიდა, საიდუმ-
ლოდ გეტყვი, ეხლაც კი თვალწინ მიდგას შენი
სიკვდილი და მეშინია; ვაი, როგორ მეშინია.
აქამდე ვურეკავდი და მაძლევდნენ წამალს.
ახლა კი ამბობენ, ალარ იქნებაო, აი მაშინ კი
არ ვიცი...

1953 წელს გავთავისუფლდით ტირანიდანო
და დაბრუნების ნებართვა მისცეს გადასახლე-

ბულებს. 1957 წელს ძლივს მოვიდა დედაჩემის რიგი და დაბრუნდა.

მოვაშურეთ ჩვენს სახლს. შემოვედით ჩვენს ძველ იტალიურ ეზოში, მერე ბევრი ვეცადე ბინის დაბრუნება, მაგრამ არაფერი გამოვიდა, და შევეგუე ბედს. ამასობაში დაანგრიეს ეს ჩვენი ეზო და ამ ახალ სახლში, რომელიც იგივე იტალიური ეზოს პრინციპით ააშენეს, როგორც დაზარალებულს, მომცეს ბინა ძველი ოდენობით, — სამი ოთახი და თანაც მეორე სართულზე. რაღა თქმა უნდა ძველი მთავრობის ჭინაზე, რაღად მინდოდა. დეიდაჩემი ამას ვეღარ მოესწრო. ისე სახლის პროექტი ძალიან მომწონს, რადგან ეზოში ხომ ყველას ვხედავ, მეორე მხრიდან ქუჩაში გამვლელ — გამოვლელსაც ვათვალიერებ. არაფერი მეპარება თვალიდან, — ვინ გადის და ვინ შემოდის ეზოში.

— აი, აგერ მეზობელი მოდის. — გამარჯობათ, გამარჯობათ, ხომ ხართ კარგად?

— შენ ოთარ?

— ყველაფერი კარგად იქნებოდა, რომ ჩემი ავადმყოფობა დროდადრო არ მაწუხებდეს. კარებზე დაკაკუნება მაკრთობს, ფიქრებს მირევს და მაფორიაქებს.

— აი ისევ ცხელი ხაზი. აი, ისევ ხმა მესმის,

— დარეკეთ ვისაც სამშობლოს სიკეთე ვინდათ, — როგორ მაფორიაქებს. მოიცა ეზოში გავიხედავ, მერე თავისით გამირბის ეს ხელი

ტელეფონისკენ. ამდენი ხანია უკეთესი მომავლის ძებნაში ვარ. ჩემში ორი ადამიანი ცხოვრობს. ერთი გარბის და აპროტესტებს, მეორე შედეგზე ტირის.

—დედა, დედა გესმის, ბიუჭეტს ვერ ვავსებთო, ხელფასებს და პენსიას ვერ ვიხდითო, ჰოდა. მეთუ შემიძლია დავეხმარო ხალხს, რატომ არ უნდა დავურეკო?

—სირცხვილია შვილო. მაგის გარდა, ყველაფერს მეორე მხარე აქვს; ესე ერთი ხელის მოსმით არ შეიძლება ხალხის გაწირვა.

—მე კი ყურში სულ მესმის, — ცხელი ხაზი. ცხელი ხაზი, — რა კარგია ეს ცხელი ხაზი. ანონიმურობა დაცულია. ის ვერ გაიგებს, მე კი ჩემს თავს მივეხმარები, კიდევ რამდენ სხვასაც...

არა, დედი. შენ ხომ ძალიან ჭირიანი და ნაკითხი ხარ; გამოდი გაჭირვების ჩარჩოდან, გაიხედე უკან, გადაათვალიერე ისტორია.

მოლი რუსეთი ნაციონალისტი, ნაციონალისტი. ჩვენს ხალხსაც მეფის მოწყალების იმედი ჰქონდა. გამოჩნდა ლენინი და უთხრა, — თქვენი უბედურების მიზეზი მეფეაო. მიწები გლეხებს და ქარხნები მუშებსო.

მოხდა რევოლუცია. ურა... ურა... ხალხმა ენ-თუზიაზმით დაიწყო ცხოვრება. კმაყოფილები იყვნენ. მერე ნელ-ნელა უკმაყოფილო ხალხი გამოჩნდა.

მერე 1937 წელი. ბიძია დომენტი, ვახტან-

გის მამა. შენ არ გახსოვს რომ დაიჭირეს? სამ-შობლოს მოღალატედ გამოაცხადეს. ეს ისეთი თავმდაბალი პატიოსანი ადამიანი იყო, ნამდ-ვილი კომუნისტი, რომელიც როცა გადმოიხე-დავდა ეზოში და დაინახავდა წყალი ტყუილად იღვრებოდა, დაიძახებდა, — დაკეტეთ გეთაყვა, ხალხს აკლდებაო. ხშირად უბრალო სადილზეც კი გადაივლიდა ხოლმე მისი ოჯახი. დაიჭირეს, — კრებაზე მენშევიკს სიტყვა მისცაო.

—ამბობენ მისი ძმა მენშევიკი იყოო.

—დიახ, რა თქმა უნდა ისიც დაიჭირეს.

—მერე, მეორე მსოფლიო ომი. ხალხი ყვი-როდა — „სტალინ, სტალინ!“ — სტალინისთვის და სამშობლოსთვის ძახილით ეცემოდნენ ბრძოლის ველზე. ვინც ტყვედ ჩავარდა, ისინიც ხომ გადაასახლეს უნდობლობის გამო. მერე, დაწყნარდა ქვეყანა და.. ცხოვრობდა ხალხი. მიუხედავად იმისა, რომ ბინები უფასო იყო, სწავლა უფასო, სამედიცინო მომსახურეობა უფასო, მაინც გამოჩენდა უკმაყოფილო ხალხი, ჩუმად დაიწყო ანტიმოძრაობები, ისარგებლა ამით გარეშე ხალხმა და შეიქმნა ეროვნული მოძრაობა. რა თქმა უნდა ხალხი აფორიაქდა.

—ხალხი ყოველთვის ცვლილებების მოყვა-რულია, ჰოდა იფიქრეს შევცვლით წყობას და უკეთესი ცხოვრება გვექნებაო.

—ჰო, გამოვიდა ხალხი ქუჩაში ყვირილით ზვიად! ზვიად! ზვიად!.. ზვიად!.. და...

მერე კომუნისტები დაიჭირეს, რომლებმაც ომის შემდეგ ქვეყანა ააყვავეს, ქარხნები, ბანკები აამუშავეს. აი ის ბანკის მართველი. 1944 წელს ოცდახუთი მანეთის გულისფრის ციმბირში გადაასახლეს ოცდახუთი წლით. თორმეტ წელიწადში ჩამოვიდა, დაავადებული.

—ეროვნულმა მოძრაობამ, ხალხის გულის მოსაგებად გაკილა კომუნისტები ამის გამო. შემდეგ ხომ ნახე, რა მოხდა?

—შემდეგ? კომუნისტების თაობაში წარმოჩინდა ის სამი ბიჭი, აი აქ, ჩვენს სახლში მე-4-5 სართულზე და მესამე გვერდზე სადარბაზოში რომ ცხოვრობდნენ, — სამივე მოკვდა.

—ხომ ნახე რა მოყვა ამას?

—ერთი—ძმათა ომს შესწირეს, მეორე — მტრის ხატს, მესამეს უმუშევრობით გაუხეთქეს გული. ამ ბოლომ ვერ გაიგო ასე პატიოსნად მომუშავე ახალგაზრდა, რატომ არ ჭირდებოდა მის ქვეყანას, რომელსაც ასე ერთგულად ემსახურა.

—მოიძია ვინმემ ეს პატიოსანი ბიჭები?! რომლებიც საკმაოდ იყვნენ?

—აკი პატიოსნების დასაცავად მოვიდა ეროვნული მოძრაობა.

—ჩვენმა ნაციონალურმა გმირმა სულ ერის მოღალატეები ეძახა ყველა კომუნისტს, განურჩევლად პატიოსნებისა.

თუმცა ზოგი კი ამოარჩია, ვინც მატერიალუ-

რად დაუდგა გვერდით.

—ის პატიოსნები კი ერთ წნებში გაატარეს,
რაკი ფული არ ჰქონდათ?

—ხალხი ფსიქოლოგიური ზემოქმედების
გამო ეიფორიაში იყო. უკეთესი ცხოვრება
გვექნებაო და ყვიროდნენ

ზვიად!.. ზვიად!.. ზვიად!..

ერთი წელიც არ იყო გასული და გამოირკვა,
რომ მათ, გაცილებით დიდი თანხები მიუ-
საკუთრებიათ და გაიქცნენ. გაიქცნენ თავის
საყვარელი ქვეყნიდან.

მალე ხომ ჩამოყალიბდა „უშიშროების
საბჭო“ სადაც ერთი პროფესორი იყო, მეორე
მხატვარი და მესამე ძველი კომუნისტი.

ამ სამ შორის, მე მგონი კომუნისტი უფრო
სუფთა იყო. მე, სიმართლე გითხრა ხმა მხატ-
ვარს მივეცი, უფრო უვნებელი მეგონა.

ჰო, მახსოვს ხალხი შევარდნაძეს! შევარდ-
ნაძეს! ყვიროდა.

მერე პირველი ორი დაიჭირეს და ხალხს
უთხრეს ისინი მექრთამეები და საზოგადო-
ებისთვის საშიში პიროვნებებიაო.

მერე ისევ შევარდნაძის იმედი გაგვიჩნდა
არა? — ბაბუ! ბაბუ! — ვყვიროდით.

ჰო, დღეებმა და წლებმა გაიარა მოლო-
დინში. ჩვენს გაჭირვებას არაფერმა არ უშვე-
ლა. ხალხი ყველაფერთან ერთად ქვეყნის
გაერთიანების მოლოდინში იყო.

ჰოდა, ამ წიაღში აღმოცენდა ახალი თაობა, რომელიც სოროსმა დააფინანსა და მოამზადა ქვეყნის გადასარჩენად. მოვახდინეთ მსოფლიოში პირველებმა „ვარდების რევოლუცია“ . ეს განმარტება პირველად ისმის. მაგრამ მეორე დღეს ტელევიზორში გვაჩვენეს, – ჩვენდა გასაკვირად თურმე იუგოსლავიაშიც ასევე მომხდარა, რომელიც ორი წევთი წყალივით ჰგავდა ერთმანეთს, ისინიც სოროსს დაუფინანსებია და მთავარი ძალა „კმარა“ ყოფილა. ერთი წლის მერე უკრაინაშიც ზუსტად ისევე განვითარდა მოვლენები. ვინმემ კი ვიფიქრეთ სამ სხვადასხვა ერში როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები ზუსტად ერთი სცენარით? ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობაც ხომ საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებშიც განა ერთი სცენარით არ მიმდინარეობდა?!

კი, მაგრამ, აი, ის ხომ კომუნისტებთანაც, ზვიად გამსახურდიასთან და „ვარდების რევოლუციის“ მომტანებთანაც თანამშრომლობდა და ყველას ერთგულად ემსახურა, მაგრამ იქნებ ამ ადამიანებისთვის მთავარი ხალხის სამსახური იყო და არა ვისაც ემსახურებოდა?!

–რა თქმა უნდა შვილო. განა შეცდომა ყოველთვის უგუნურობით, ბოროტებით ხდება. არა, დიდ როლს გამოცდილებაც თამაშობს, ხასიათიც. დიპლომატიის და დათმობის უნარიც. ყველა ლიდერი ფიქრობს, რომ საუკეთესო

უნდა თავისი ქვეყნისთვის, მაგრამ ყოველთვის არ ამართლებს მათი ბრძოლის გზები. გარე-მოცვა ისეთი ხოტბის ტყვეობაში აქცევს, თუ დროზე არ შემოირტყა დამცავი სარტყელი, განდიდების მანიით შეიძყრობა ხოლმე. მერე ვეღარ აღწევს „ხმა მდაღადებლისა შინა“. სწორედ ამ მომენტიდან იწყება მისი დამარცხება. იწყება ახალი ძალის მომწიფება და მიდის ასე უწყვეტად.

ეხლა, დავიწყეთ ძახილი მიშა!.. მიშა! მიშა!..

რა არის ეს? ე.ი. მართვადია ყველაფერი არა? თუ ყველა პერიოდი ერთმანეთს ჰყავს?!

ეს არის მასებზე ზემოქმედების ხერხი. ეს ცნობილი თეორიაა, რომლითაც სარგებლობს ყველა ლიდერი. ადამიანი კი, ყოველთვის მარიონეტია. ადამიანს ცვლილება უყვარს და ყველა ცვლილებიდან ცხოვრების გაუმჯობესებას ელის, და უნებურად ხდება მარიონეტი.

—სად ქრება ჭკვიანი, განათლებული ხალხი?

—ამიტომ გეუბნები, ჭკვიან ადამიანებს როგორც ხალხად აქცევ, უმაღვე ბრბოს სახეს იღებს და ბრბო უჭკუო ცხვრის ფარას ემს-გავსება და ემოციებით მოქმედებს. აქ ვაცის როლი წინამძღვარს აქვს. სადაც წინამძღვარი წავა, ისიც იქით მიდის. ან გადაიჩება ან გადარჩება.

—დედა, შენ რევოლუციის პერიოდებიც ხომ
გახსოვს?!

—მახსოვს აბა არ მახსოვს?!

1921 წელს საქართველოში შემოჭრილ წი-
თელ არმიელებს, ნესტორ გარდაბხაძემ თავის
იუნკერებთან ერთად ობილისის მისადგომებთ-
ან სერიოზული დარტყმები მიაყენა. ნესტორი,
მუშნი და ოთარ დადიანები მოტყუებით
თბილისში ჩამოიყვანეს და დახვრიტეს. აგა-
ნუების ერთ-ერთ მეთაურს, — ბიძინა პირველსაც
იგივე ბედი ეწია. მან სასამართლოზე საოცარი
სიტყვა თქვა:

მან განაცხადა: — „მე მზად ვარ, ჩემი მოქ-
მედებისათვის პასუხი ვაგო. აი, ჩემი გული,
სამ ტყვიას გააცივებს მაინც. აი, ჩემი სხეული,
გინდათ ჩამაგდეთ ბნელ სარდაფში და ამკუწეთ,
დამგლივეთ, მაგრამ მაინც ვიტყვი, მე მამოძ-
რავებდა გულწრფელი სურვილი, გადამერჩინა
ჩემი ერი. მე ვემსახურებოდი ჩემს ქვეყანას,
ჩემს სამშობლოს. ოთხი წელი ვებრძოდი იმ
მთავრობას რომლის იდეური და პოლიტიკური
მოწინააღმდეგე ვიყავი“...

—მერე რა მოხდა?

—ამ სიტყვის მერე დახვრეტას გადარჩა, მა-
გრამ გადაასახლეს სამარაში, საიდანაც 1936
წელს დაბრუნდა და ერთი წლის შემდეგ, 1937
წელს ისევ დაიჭირეს და დახვრიტეს.

—დედა, გუშინ აღშფოთებული მოვედი.

კანცელარიასთან ჩამოვიარე, კანცელარიის რკინის მესერთან ბერიკაცი იდგა. წინ დიდი აბრა ეკიდა წარწერით: „დამიბრუნეთ ჩემი ფული!..“ ფიცრის სიმძიმეს მეტად მოეხარა გაჭირვებისაგან დალეული მოხუცი. უცებ გადაბორძიკდა, ხელი შევაშველე და ვკითხე, — თავბრუ ხომ არ გესხმის, ჩამოჯექითქო.

—არა აღარ შემიძლია შვილო, მთელი სიცოცხლე შრომაში გავატარე, კუბოს ფული მქონდა ბანკში შეტანილი და ისიც დავკარგე... ახლა აღარავინ მყავს და აქ გამოვდივარ ხოლმე ეგებ ვინმე ლვთისნიერმა იფიქროს ჩვენზე, ჩემსავით გაუბედურებული ბევრია.

ჸო, და მოვედი თუ არა, შენ რომ გეძინა, „ცხელ ხაზზე“ დავრეცე და ვუთხარი, — ფულად-საკრედიტო პოლიტიკისა და ანაბრების გაუფასურების შესახებ რომ საუბრობთ, რატომ არ იჭერთ იმ ადამიანებს?

—გენაცვალე, თქვენ კონკრეტული გვარები მოგვაწოდეთ და მაგას ზემდგომი ორგანოები გადაწყვეტენ.

—მივაწოდე, აბა არ მივაწოდე?! მერე რა, წაიყვანეს, სამი თვე მიუსაჭეს და გამოუშვეს. ამბობენ დიდძალი ფული გადაიხადესო.

იძახიან „ფინანსური ამინისტრია“ გამოვაო. კი, მაგრამ რას ნიშნავს ეს ფინანსური ამინისტრია, თუ დემოკრატიულ ქვეყანას ვაშენებთ, ერთს ეხება და მეორეს არა?

ძალიან დაბნეული ვარ, ერთი ვიცი რომ
ნამდვილად ძალიან უჭირს ხალხს. აუ, ისევ
შუქი ჩაქრა, მოიცა ერთი გავიხედავ ეზოში.
რამდენიმე ოჯახს გენერატორის ხარჯზე აქვთ
შუქი. მოიცა, ვკითხავ, — ქალბატონო თამარ
გენერატორი გაქვთ ჩართული? ახალ ამბებს
ხომ არ უყურებთ?

— კი, ოთარ, გინდოდა რამე?

— რას ამბობენ შეივსო ბიუჭეტი? შეივსო?

— არა, ოთარ, არ შეივსო.

— არ შევსებულა დედა, არ შევსებულა, —
ვთქვი და ცრემლიანი თვალები მოვიწმინდე.

ეხლა თელასში დავრეკავ, — ქალბატონო,
ჩაირთო მეათე ბლოკი?

— არა, არ ჩართულა. დიდი ავარია და არ
იციან როდის ჩაირთვება.

— დედა, სანთელი, სად არის სანთელი?
ბნელა, ციგა, გაზიც გამოურთავთ.

უი, სინათლე მოვიდა. ტელევიზორი ჩარ-
თულია, — მოიცა, მოიცა ინფორმაციას მოვუს-
მინოთ.

— რუსეთმა შეაფერხა გაზის მოწოდება, —
ცხინვალში მძიმე მდგომარეობაა. რუსეთი
გეგმავს ტერორისტულ აქტებს.

ახლავე, ახლავე დავურეკავ ჩვენს ნათე-
სავებს რუსეთში, — რა გინდათ ჩვენგან? რა
გინდათ?

— თქვენი სიკეთე ჩემო ოთარ,

—ახლა „ცხელი ხაზის“ ნომერი ავტოფო!
—დიახ, ბატონო ოთარ.

—ბატონო, მოსკოვში გორკის ქუჩაზე ცხოვ-
რობს ივანოვი. იგი საქართველოს მოღალატეა,
გთხოვთ ჩაინიშნოთ.

—არა ბატონო, ჩვენ მაგას ვერ დავიჭერთ. ის
ჩვენი მოქალაქე არ არის.

—ვაიმე! ვერ დავიჭერთო, აბა რა ვქნათ რა
ეშველება საქართველოს?!

—დედა, გუშინ ერთი მეზობელი ამბობდა,
სამოცდათხუთმეტი წლის ჩვენი მეზობელი
აუყვანიათო, ლოგინიდან ააყენეს და როგორც
საშიში რეციდივისტი ისე წაიყვანეს სახლიდან
რა ხდება კაცო ჩვენივე კანონმდებლობის საწი-
ნააღმდეგოდ ვიქცევით? სად გაგონილა ამ ასა-
კის ადამიანის დაპატიმრება, ზოგი მკვლელები
არიან, ზოგი ყაჩაღები, ქურდები. მერე.. რაღაც
თანხას შეიტანენ ეკლესიის მშენებლობაში
და ეხსნება ყველა ცოდვები. მან კი რა ქნა
ამისთანა... ერთმა სასულიერო პირმა სთქვა
კაცმა სამების ეკლესია მისი მხრებით ააშენა
თვითონეული ქვა და ჭანჭიკი იცისო და ნუთუ
რა ცოდვა ჩაიდინა ისეთი, რომ ამან არ უშველა
და ორი დღე არ ვაცალეთ რომ მისი ქმნილების
გახსნით დამტკბარიყო?!

—უფალი იყოს ყველას გამგებელი შვილო,
ჩვენ ადამიანები ცოდვილები ვართ და შეიძლე-
ბა რამე გვეშლებოდეს განსჯაში...

— დედა, დედა, აგერ ნახე, ვის აჩვენებენ
ტელევიზორში. ეს ხომ ჩვენი მეზობელია,
უშიშროების საბჭოში რომ მუშაობდა. უცე-
მიათ, უწამებიათ. რა ვქნა ახლა არ ვიცი რა
კარგი ადამიანია?! უველა გაჭირვებულს ეხ-
მარებოდა. მაგაზე მე არ დამირეკავს ეტყობა
სხვამ დარეკა, ის რა უკეთ იცნობდა? არა და
რას იზამ, გვიჭირს, ბიუჭეტს უჭირს და რა ქნან,
— ვეკითხები ხოლმე ჩემს თავს.

— კი, მაგრამ შვილო, პატიმრის უფლებების
დაცვაზე ტყუილად ლაპარაკობენ? რა იყო
შვილო, სად გარბიხარ?

— მოიცა, მოიცა დედა, არ დამავიწყდეს ენერ-
გეტიკის მინისტრზე მაქვს დასარეკი.

როგორი აღზევებით შეხვდა ხალხი ამ „ვარ-
დების რევოლუციას“, იმედით ხელფასის, პენ-
სიის მომატებით, სამუშაო დასაქმების.

— პო და მერე რა უთხრეს ამ ხალხს, თქვენი
სიდუხჭირე იმის ბრალია, რომ ჩინოვნიკებმა
მოიპარესო.

— დიახ, მოიპარეს და თქვენი ფული დაიტა-
ცეს. მეც გამეხარდა, მიზეზი რაკი აღმოვაჩინეთ,
რატომ არ დავუდგე მთავრობას და არ დავუ-
რეკო და არ ვუთხრა — დიახ, ჩვენს სახლშიც
ცხოვრობს ასეთი ადამიანებითქო.

დავრეკე — ბანკის მმართველი დაიჭირეს.

დავრეკე — მოსამართლე,

შინაგან საქმეთა მინისტრი,

პროკურორი,

მშენებელი, — ყველა დაიჭირეს.

— დედა, შვილო, როდის ჩაიდენე ეს?!

— მთელი სახლია თითქმის დაჭერილი. ყველას ფული დაადებინეს. მაგრამ რა?!!.. — ჰოდა, ახლა ვფიქრობ, — კი მაგრამ რომ არაფერი შეიცვალა? რომ არ ეშველა ჩვენს გაჭირვებას?

— ჰო, და მაგას არ გეუბნებოდი შვილო? დაწყნარდი, დაწყნარდი, დაფიქრდი, დაჭერა, ხალხისათვის გასართობი საკენცია და ხელისუფლებისათვის დროის გაყვანის ტაქტიკა, ქმედების სისწორის მსაჯული დროა, მხოლოდ დროს შეუძლია თქვას, — რა იყო სწორი. მთავარი ის არის, რომ ნებისმიერ ლიდერს თავისი იდეების განხორციელება სურს და ხალხს იყენებენ ამისთვის; რომელშიც მამოძრავებელი ძალა ახალგაზრდობაა, გამოუცდელი და მიამიტი.

— დედა, ეს ხომ დიდი მორალური ტვირთია ახალგაზრდებისათვის.

— რა თქმა უნდა შვილო. ადამიანები ღვარძლს ანთხევენ და ხალხს იყენებენ, თორემ იგივე ხდება. „ახალი კარგად მივიწყებული ძველიაო“ ეს ფრაზა კარგად იცის ხალხმა და მაინც არაერთხელ უშვებს შეცდომას, რადგან, მხოლოდ ილუზიებით ცხოვრობს და უკეთესს ელოდება. ხოლო ლიდერები როცა შეეჭიდებიან სირთულეებს და მიხვდებიან,

რომ სახელმწიფო მოწყობა არც ისე იოლი საქმეა, — მერე დაჭერებით და მოხსნებით ართობენ ხალხს უკეთესის მოლოდინში.

— ეს ხომ მასებზე ზემოქმედების მეთოდია. ეს მთელი მეცნიერებაა. ეს ხომ უხილავი ჰიპნოზია, რომელიც ყოველთვის ამარ-თლებს.

— მითუმეტეს შვილო, თუ ადამიანს ჩაუნერგე შენი გაჭირვება და უბედურება, იმ უზრუნველყოფილი ადამიანის ბრალიაო. თვითეული ლიდერი კი თვლის, რომ მისი ხედვა უკეთესია და უკეთეს ცხოვრებას შეუქმნის ხალხს, ვიდრე წინამორბედმა გააკეთა ეს.

როცა ეს არ ხდება შემდეგ მათ წინააღმდეგ ილაშქრებს ხალხი და ასე მუდმივი კარუსელია. ადამიანების უბედურების მიზეზს წყობაში ეძებენ. ყველა წყობაში არის დადებითიც და უარყოფითიც, პატიოსანი და არა პატიოსანიც.

— რომელი პატიოსნებაა ჭეშმარიტი?

— პატიოსნება, ეს ისეთი თვისებაა, ან აქვს ადამიანს, ან არ გააჩნია და იგი წყობის მიხედვით არ იცვლება.

— განა ჩვენ ხალხს, ჩვენს ერს, სჭირდება პატიოსნება, განა ვიცით რა გვინდა და რას ვაშენებთ?

— შვილო, კაცმა რომ გითხრას, — მოდი შენი ოჯახი დაანგრიე, მე უკეთესს აგაშენებინებო, ისე უნდა დაანგრიო არც დაფიქრდე? სა-

ხელმწიფო ასევე, ოლონდ ზომით უფრო დიდი ოჯახია.

—მგონი პატიოსნების მაძიებელს, რატომ-ლაც არ უყვარს სხვა პატიოსანი, რომელიც წინამორბედის იდეოლოგიას ემსახურებოდა და ერთად არის აღრეული პატიოსანიც და არაპატიოსანიც.

—შო, და ხომ იტყვის შემდეგი თაობა მაინც სულერთი ყოფილა და აწი მე როგორც ნასი-ამოვნები ვიქნები, ისე ვიცხოვრებო?!

—დედა, ვინ განსაჭოს ზღვარი სიკარგესა და სიცუდეს, სიკეთეს და ბოროტების, პატიოს-ნებისა და უპატიოსნების? ვინ არის ეს ზებუნე-ბრივი ადამიანი, ღმერთის გარდა?

—არავინ! ადამიანებს საკუთარი თავების ეშინიათ. თაგვებივით არიან, შუქს რომ აანთებ კარადას რომ ეფარებიან და იქედან შეშინებუ-ლი თვალებით იყურებიან.

—ისე თეატრივითაა ეს ცხოვრება, სპექტაკ-ლები და დეკორაციები იცვლება. გმირები იგივენი არიან სხვადასხვა ბუნებით.

—თეატრია შვილო მთელი ცხოვრება, აბა რა? თავისი გმირებით, თავისი კულმინაციებითა და ვარდნებით. ჩვენ ამ გმირების ერთ-ერთი ნაწილი ვართ. ცხვრებივით ვართ; ანალიზის გარეშე ვამსხვრევთ და ვაშენებთ, ცუდს კარგს ვაყოლებთ. იქნებ გადაგვერჩია? მოსავალს რომ ვიღებთ ხომ ვარჩევთ? რაციონალურ მარცვალს

ვიღებთ შემდეგი ხვნა-თესვისათვის, რომ უკე-
თესი მოსავალი მივიღოთ.

—აბა რა დაგვემართა, იგივე მოსავალი არ
არის ცხოვრება, იგივე ოჯახი არ არის სახელმ-
წიფო. რამ დაგვაძნია, ყველაფერს საძირკველ-
ში რომ ვანგრევთ და საქმეს რომ შევეჭიდებით
აღარ ვიცით როგორ მოვიქცეთ. ყველას ერთი
ცოცხით ვგვით. რა წყალს ვაყოლებთ კარგსაც
და ცუდსაც, ჩვენს ტრადიციებს და მერე ისევ
სხვაზე ვბრაზობთ, — რატომ არ შეგვიქმნა საა-
მური ცხოვრება.

—ბუნებაშიც ხომ გადარჩევა ხდება დედა?
კარგს, ძლიერს, გამძლეს არჩევს. ჩვენც იქნებ
ყველა პერიოდიდან აგველო რაციონალური
მარცვალი და გამოგვეყენებინა. სავსე ქარხნები
გავძარცვეთ, ისე რომ არ გვიფიქრია, — მთავ-
რობა რომ შეიცვლება რა, ახალ საწარმოებს
გიბით მოიტანდა? თუ უმუშევრობით შეიძლება
საამური ცხოვრების შექმნა?

—კარგია, გადასარევია ყველაფერი, მაგრამ
განა მოხერხდება რაიმე ხალხის დასაქმების
გარეშე? წარმოებები თუ არ ამუშავდა ხალხი
არ დასაქმდა კაცმა ოჯახი თუ ვერ არჩინა, რა
იქნება?!

—მგონი შუქი მოვიდა ჩავრთავ ტელევი-
ზორს.

—დედა! დედა! გაიგონე? — გოგლამ თავი
მოიკლა.

—ჩვენი მეზობელი რომ იყო ახალგაზრდა

ბიჭი თავი ჩამოიხრჩო.

კახეთში სოფელში კაცმა ცოლ-შვილი
დახოცა. დედა! პატარა, ძუძუ-მწოვარა შვილი
მოკლა!!!

—ერთმა, დედ-მამა დახოცა, დედა!

გაგიუდა ხალხი, დედა, გაგიუდა! ალბათ
უმწეობამ, შიმშილმა მოიტანა ეს!

—შვილო, გენაცვალე მოიკრიბე ძალა, შეე-
ცადე დამშვიდდე და მომისმინო. ეს მაშინ
ხდება, როცა მშიერი ადამიანი არ მუშაობს
და ვერც პერსპექტივას ხედავს წინ. იცის
თვითონაც განწირულია და რაც მთავარია
განწირულია მისი შვილი. ეს სასოწარკვე-
თილებაა, როცა გიჭირს, გშია, მაგრამ მუშაობ,
დამატებით სამუშაოზეც წახვალ. ოჯახს არჩენ,
წინ იმედი გიჩნდება, — შენ თუ არა, შენი შვილი
უკეთესად იქნება, — დღეს კი უიმედობაა.

ყველა პერიოდში, ხალხი, რომელიც გამო-
დის ქუჩაში, ეს ერთი ნაწილია მთელი საზოგა-
დოების, მეორე ნაწილი სახლში ელოდება
შედეგს, — პასიურია, თითქმის სძინავს. გამო-
სული ხალხი სულ ვიღაცის სახელს ყვირის, არ
აქვს მნიშვნელი, ეს ვინ იქნება, — მეფე, ზვიადი,
ედუარდი, თუ მიშა. მნიშვნელოვანი ის არის,
რომ არავინ არ ყვირის „სამუშაო“, „სამუშაო“,
მოგვეცი სამუშაო. ხალხი ცხოვრების ანაბარაა
მიტოვებული, როგორც გინდა თავი გადაირ-
ჩინეთო. „ჯუნგლების კანონი მეფობს“! იპოვა

თავის გადასარჩენი, – ჯიხური, ბაზარი, მიკ-
როავტობუსი. ახლა ზოგს გამოაცალეს და ზოგს
აცლიან. მაშინ, რაღაც დასაქმების ადგილები
ხომ უნდა შეიქმნას, რომ იქ წავიდნენ?!

– ჰოდა, ამიტომ ვეხმარები სახელმწიფოს
ზარებით. დავრეკავ! აბა არ დავრეკავ?! ახლავე
ავკრეფ ნომერს, ახლავე, – მათი შემცვლელი
მოვა და გააკეთებს.

– მოიცა, მოიცა, შვილო. დამატებითი
ოჯახების გაუბედურებით თქვენი ცხოვრება
არ გაუმჯობესდება. ფრთხილად იყავი, არ
დაფიქრებულხარ? იქნებ ცოდვას ჩადიხარ?

დაგავიწყდა რა გამოვიარეთ?

– ვაიმე, დედა, რა მართალი ხარ! მოიცა,
მოიცა, ვინ იცის ჩვენც მაშინდელ „ცხელ
ხაზს“ შევეწირეთ და ქვეყნის მოღალატეებად
მოგვნათლეს?!?

– ჰო, შვილო, მაშინაც ვიღაცამ უკეთესი
ცხოვრებისთვის იფიქრა. დამნაშავეებთან
ერთად ბევრი უდანაშაულოც ჩაყარეს. იცი
რატომ? ზოგმა მეზობელს, თანამშრომელს,
მეგობარს, ძმას და დას უღალატა და ა.შ.

– რა ვქნა, ყურში მაინც მესმის „ცხელი
ხაზი“, „ცხელი ხაზი“. აი, აი, შუქი ისევ მოვიდა,
ტელევიზორი აინთო. აი, ჩვენი პრეზიდენტი,
ყურადღებით მოვუსმინოთ:

ჩვენ დავიბრუნეთ აჭარა!

ჩვენ მოვსპეთ კორუფცია!

ჩვენ გავხსენით აუზი, კიდევ გავხსენით!

ჩვენ გავზარდეთ პენსია თოთხმეტიდან
ოცდარვა ლარამდე!

ჩვენ მივცემთ დამატებას ხალხს!

ჩვენ გავიყვანთ გზებს!

ჩვენ გავყიდეთ ფერო-მანგანუმი!

ჩვენ გავყიდეთ პორტი!

—შეხედე შენ! ისე დაგვაბნია ამ გაჭირვებამ,
რომ ამდენი რამ გაუკეთებიათ და ვერ შევამ-
ჩნიეთ ისე ჩავიარა მოვლენებმა. შეხედე შენ!
ვაცალოთ ბატონებო! ვაცალოთ! მივეხმაროთ,
გვერდში დავუდგეთ თუ არა და „ცხელი ხაზი“
აგერ არ არის?!

ვაი, ღმერთო ჩემო, რა უგნურები ვართ?
ვბორგავთ, ვეძებთ, ვეძებთ განა ვიცით რას
ვეძებთ?!

—ეჲ, შვილო; გული გახეთქვაზე მაქვს, სია-
მოვნებით დავიყვირებდი: ვაი, ვაი.. გამოფხი-
ზლდით ცოდვილნო ხალხნო! თქვენ ხართ
ამ ცხოვრების სპექტაკლის გმირები. თქვენ
უნდა გაინძრეთ, დასახოთ რა უნდა გაკეთდეს
პირველი, მეორე, მესამე.. თუ კარგ საძირკველს
არ ჩავყრით, კარგი ცხოვრება როგორ გვინდა
ავაშენოთ. ცოდვით შენებას სიკეთე არ მოუ-
ტანია არასდროს და ეხლაც არ გაამართლებს.
მიზეზი ჩვენშია, ხალხში!

გავიღვიძოთ! გავიღვიძოთ!

აკი თქვა ილიამ „ოჲ, ღმერთო ჩემო, სულ

ძილი, ძილი, როსდა გვეღირსოს ჩვენ გაღვი-
ძება“

—რა ვიცი, დედა, ისიც კი მიუიქრია ხალხს
იჭერენ, იძახიან ცხოვრების ეკონომიკური
დონე ამაღლდა მაგრამ სინამდვილეში ჭერ
არაფერი შეცვლილა და არაფერი დაგვტყობია.
შუქი პერიოდულად მოდის, გაზი საერთოდ არ
არის. პენსიები მოგვიმატეს, მე სახელმწიფოს
გუგებ, მან დიდი ხარჯი ნახა, მაგრამ ცალ-ცალკე
ჩვენთვის ოცდარვა ლარი რისი მაქნისია, პურს
ძლივს იყიდი და მორჩა.

მე რა ვქნა? ამ პენსიაზე როგორ ვიყოთ,
ეხლა წამლებიც თუ უფასოდ არ მომცეს, იმასაც
ვერ ვიყიდი.

ვაიმე, ვაიმე დედა ისევ შეტევა მაქვს.
ისევ ყურში მესმის, ტელეფონისკენ გამირბის
ხელი.

—დამშვიდდი შვილო, დამშვიდდი. უკვე
გვიანია წავიდეთ და დავიძინოთ. მოდი აგერ
დაწექი. ჭერ ბალტოები ჩავიცვათ და ზემოდან
დავიფაროთ რამე დამატებით.

აი, დაიფარე შვილო, დაიფარე არ გაიყი-
ნო.

—არა, დედა, ერთი შენ დაიმატე.

—არა შვილო, მე გადასახლებაში, გამობრძმე-
დილი ვარ; შენ დაიფარე, შვილო, შენ: აი
ასე.

—გძინავს დედა?!

—არა შვილო.

—გაძაგძაგებს?

—შენ?

—არა დედა, არა უკვე მალე გავთბები, გავთბები ოღონდ შენი თავი გადამირჩინოს ღმერთმა.

—დედი! თუ ასე გაუსაძლისი იქნება, ეკლესიას შევაფაროთ თავი.

—ჰო, შვილო, ჰო, მშვიდად დაიძინე.

დედა საცაა გათენდება. წარმოგიდგენია მთელი ლამე არც შუქი და არც გაზი არ მოსულა. პირადაპირ საყინულეა.

—დედა, დედა როგორ შეფუთულხარ. ნაჭრებში შენ სახეს ვერ ვხედავ. დედა ძლივს არ გამოგიჩინე სახე. დედა რატომ არ იღვიძებ?

დედა, როგორი გაყინული ხარ, დედა! დედა! ხმა ამოიღე, მითხარი რამე, გაიღვიძე დედა! გაიღვიძე! — მგონი მოკვდა, მოკვდა!! ხელები და ფეხები გაშეშებული აქვს.

მომკვდარა! მომკვდარა! როგორ მეძინა მე უბედურს. დედაა..! შენ არ იყავი, რომ მეუბნებოდი არ დარეკოო...რომ დამერეკა და ახალი აერჩიათ, იქნებ იმას გაეთბო ჩვენი ოჯახები? ეხლავე დავრეკავ, ეხლავე. სად არის ტელეფონი ვერ ვხედავ ამ სიბნელეში. „ცხელი ხაზი“, „ცხელი ხაზი“. ნომრები აგერ მიწერია, თითქმის ვერ ვხედავ.

— „ცხელი ხაზია?!!“ — „ცხელი ხაზია, “?!! —
მანანა ექიმო? თქვენ მანდ მუშაობთ?

— არა ოთარ, შენ ჩემი ნომერი აკრიფე. რო-
გორ ხარ?

— ცუდად ვარ, ცუდად ვარ, „ცხელი ხაზი!..“
„ცხელი ხაზი...“ მიშველეთ... დამეხმარეთ.

— ეხლავე, ეხლავე. მოვალ სასწრაფო დახ-
მარების მანქანით. შენ კარი ღია დამიტოვე,

— აი მოვედი, ოთარ.

— ჩემს დასაჭერად მოხვედით? ეხლა მე უნდა
წამიყვანოთ? — „ცხელი ხაზი“, „ცხელი ხაზი“.

— არა გენაცვალე, ჩვენ სამკურნალოდ უნდა
წავიდეთ.

— მანანა ექიმო, ეხლა კარგად ვარ, უკვე
კარგად ვარ.

— კარგი, ოთარ, მაგრამ ცოტა ხნით მაინც
წავიდეთ.

— კარგი წამოვალ, ოლონდ ფანჯარაში გამახე-
დეთ... ჩვენ ამგზით უნდა წავიდეთ?

— არ ვიცი ოთარ.

— არა წავიდეთ, წავიდეთ. დღეს სამების
დღესასწაულია, და მინდა სამების ტაძარში
მოვინანიო ჩემი ცოდვები, მინდა წმინდა სამე-
ბას ვუთხრა: — მაპატიე, ჩემი ცოდვები! მე ხომ
ჩემი საქართველოს და ჩემი ხალხის სიკეთე მინ-
დოდა. მე თუ არა? მთელი ჩემი ხალხი, მთელი
ჩემი ხალხი ხომ მიდის ამ ტაძრისკენ.

— აი, აი ისევ მესმის...

ერთი წუთით, ერთი წუთით,... ერთი ზარი
დამრჩა...

„ცხელი ხაზი“, „ცხელი ხაზი“.

29.11.04

სარკმლიდან
მომჩინეალი
ნამცირალუვი
თვალემი...

სიყვარულის თემა ჩემს ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანი იყო. უოველთვის სათუთად ვეპყრობოდი და მის მობრძანებას დიდი იმედით შევყურებდი. მახსოვს როცა „ხევისბერ გოჩას“ გავდიოდით სკოლაში მისი გარჩევისას ისიც კი დავწერე, – „სიყვარული რას არ ჩაგადენინებსო“ და ონისე გავამართლე, რისთვისაც ცხოვრებაში პირველად შეფასება „4“ დავიმსახურე. სკოლა დავამთავრე თუ არა, ჩემი პირველი სიყვარული ცოლად მოვიყვანე. ერთ საბედისწერო დღეს ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ჩემს მეგობარს და ჩემს მეუღლეს ერთმანეთი შეყვარებიათ. მიუხედავად იმისა, რომ უდიდესი ტრავმა იყო ჩემთვის, ჩემი ასაკისთვის საოცარი სიდინჯე გამოვიჩინე, მეგობარს ციხეში მივაკითხე, მერე სახლში მივედი, ცოლს შუბლზე ვაკოცე, კარი გამოვიხურე და გავერიყე სამყაროს. ბათუმში, ერთ სახლში დავიდე ბინა, სადაც დიასახლისის მეტი არავინ არ ცხოვრობდა და თვით გვემას მივეცი თავი. რამდენიმე თვის შემდეგ უფლის ნებით გადაგწევიტე დავბრუნებოდი ცხოვრებას. თავად მოვემზადე და უნივერსიტეტში ჩავაბარე. ნიღაბი ავიფარე და ლალი, მოქეიფე კაცის იმიგი დავიმკვიდრე. მას მერე არასოდეს, არავინ არ იცის რას განვიცდი და რას არა და საერთოდ პრობლემა მაქვს თუ არა. უამრავი ლამაზი და კარგი ოჯახის გოგონები მეხვეოდნენ თავს, მა-

გრამ არასოდეს არ შემიმჩნევია არავინ.

ერთ მშვენიერ დღეს უნივერსიტეტში
მივედი და ჩემს ჯგუფელებს ერთი გოგონა წა-
რუდგინე, — ეს ჩემი „ძმაა“ ... და, — ... ასე გავხდი
ცოლიანი.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ,
ხშირად მთაში ვიყავი. ეკლესია-მონასტერ-
ში დისერტაციისთვის თემას ვაკეთებდი
„ფრესკების სპექტრული შესწავლა“. პერი-
ოდულად ჩამოდიოდნენ პროფესორი — მასწავ-
ლებლები და სტუდენტები, მაგრამ ხშირად
მარტო ვიყავი და ეს განმარტოვებული
ცხოვრება ძალიან მომწონდა.

ერთ დღეს დაბაში ჩავდი, როცა მონას-
ტერში ამოვედი, ჩემს კელიამდე, კომპლექსში
შესვლა გადავწყვიტე. სამი საფეხური ჩავირ-
ბინე, უცებ ჩემი მეგობარი - ჯგუფელი დავინახე
თავის მეგობართან ერთად, რომელიც მოგვი-
ანებით შეუძენია და მე არ ვცნობდი.

გაიცანიო, რომ მითხრა, — არ შევიმჩნიე, რომ
მე უკვე თვალის შევლება მოვასწარი, — შავი
თეთრი კოპლებით კაბა, რომელსაც თეთრი
საყელო ამშვენებდა, საოცრად უხდებოდა
და გიმნაზიელის შეხედულებას აძლევდა.
მისი მეტად ღრმა და მეტყველი თვალები-
დან, საოცარი სისუფთავე სჭვივოდა. ვერც
კი წარმოვიდგინე, რომ უნივერსიტეტი უკვე
დამთავრებული ჰქონდა და იგივე საკითხით

იყო დაინტერესებული რითაც მე.

ეს ქალი ჩემი უნდა გახდესთქო – გავიფიქრე. მიუხედავად იმისა, არც კი ვიცოდი მეორედ კიდევ მომეცებოდა თუ არა, მისი ნახვის საშუალება.

– ქრისტინე, მითხრა მშვიდად.

– ონისე, ვუთხარი და სასწრაფოდ ჩემს მეგობარს მივუბრუნდი, რომ მის გამჭოლ მზერას რამე არ შეემჩნია.

მონასტერთან დაკავშირებით რამდენიმე შეკითხვა მომცეს და წავიდნენ.

ერთი თვე არ იყო გასული, სუფრაზე მიმიწვიეს ჩემს მეგობართან. უკვე შეზარხოშებული ვიყავი. კარი რომ გაიღო და შემოვიდა ქრისტინე მეუღლესთან ერთად; ისინი ზუსტად ჩემი და ჩემი მეგობრის წინ დასვეს.

მოსვენება დაგარგე. სურვილი გამიჩნდა ლექსი მიმეძლვნა მისთვის, მაგრამ თავი შევიკავე. ბევრი ფიქრის შემდეგ, მივხვდი, – სჯობდა სიტუაციას გავცლოდი და წავედი.

ქრისტინეს არც მაშინ შეუმჩნევივარ.

დაახლოებით წელიწადნახევრის შემდეგ, ერთ მშვენიერ დღეს, კარი გაიღო და ჩემს მეგობართან ერთად ქრისტინე შემოვიდა.

– რამ შეგაწუხათქო? – ვკითხე ჩემს მეგობარს.

– აი, ჩემი მეგობარი მოვიყვანე. აგერ იმ მთის კენწეროზე რომ სოფელია იქ არის გათხოვილი,

მრავალშვილიანი დედაა, უნიჭიერესი ადამიანია, არ მინდა რომ დაიკარგოს და ვაიძულე მეცნიერებას მოჰკიდოს ხელი, ჰოდა შენ მინდა რომ ჩაგაბარო. შენი კვლევის მეთოდები შენზე კარგად არავინ იცის. ჰოდა, შენ იცი...

კარგახანს გაოგნებული ვიჩექი, თავჩაქინდრული, იმდენად რომ ჩემმა მეგობარმა მკითხა, – თუ არ შეგიძლია არ არის პრობლემაო...

– არა, რას ამბობ, – სასოწარკვეთილად აღმომხდა. ის კი არ იცოდნენ, რომ ჩემს თვალებს და ყურებს არ ვუჭერებდი, რომ უფალმა ჩემი თხოვნა შეისმინა, მასთან შემახვედრა და ნატვრა ამისრულა. თუმცა მოგვიანებით ცხვირში ამომადინა..

მივეცი ჩემი კოორდინატები, – დამიკავშირდი და შევთანხმდეთქო, – დამემშვიდობენ და წავიდნენ.

ერთ თვეზე მეტი ვაწვალე, არც ერთ მის ზარს არ ვუპასუხე. არ ვიცი, თავს ვიფასებდი? – არა, რა თქმა უნდა არა, ალბათ გაუცნობიერებლად ვუფროთხოდი.

საბოლოოდ კიდევ ერთხელ მოვიდნენ კონკრეტული შეკითხვით, ვიფიქრე მეტისმეტი მომივიდათქო და სასწრაფოდ შევუთანხმდი, რომ მთელი კვირა ვიმუშავებდით, შაბათკვირის გარდა.

პირველი დღიდან მოსვენება დავკარგე. სულ აფორიაქებული ვიყავი. სამუშაოს რომ

მოვრჩებოდი, ნერვიულ მოძრაობებით სასწრაფოდ ვალაგებდი ყველაფერს და ვიშლებოდით, რომ კონტაქტში არ შევსულიყავი. ყოველდღიურად უფრო და უფრო ვგრძნობდი, რომ მოჭადოვებული ვხვდებოდი, გაუსაძლის სიყვარულს ვგრძნობდი, ხან თავს ვეკითხებოდი, — იქნებ დიდი გატაცებაათქო, — ამიტომ გადავწევიტე გავცლოდი იქაურობას და ორი კვირით კონფერენციაზე წავედი.

იქიდან სრულიად ჩამოყალიბებული ჩამოვედი, რომ სიყვარულის სენით ვიყავი შეპყრობილი. არ ვიცი, როგორ მაგრამ ისე მოხერხებულად ვფარავდი, რომ მას ეჭვიც კი არ შეპარვია.

ერთ დღეს სამუშაოდან ცოტა დრო მოვიტოვე და ლექსი ვუთხარი. რეაქცია არ ჰქონია, როგორც მერე გამომიტყდა, უფიქრია, — ლექსის წაკითხვა უყვარს, — ისე რომ შინაარს არც კი ჩაწვდომია.

დრო გადიოდა.

ჩემი გრძნობები ყველა საზღვარს გადავიდა. ისიც კი ვუთხარი შაბათ-კვირას ვერ ვიტანთქო, — მეგონა მიხვდებოდა — რომ მას ვერ ვხედავდი.

მიუხედავად მისი გონიერებისა, საოცრად ბავშვივით სუფთა და მიამიტია, ეშმაკობას მოკლებული, რაკი თვითონ ყოველთვის იმას ამბობს და აკეთებს რასაც ფიქრობს.

ერთ დღეს კოპლებიანი კაბით მოვიდა. ვაიმე, როგორ მიყვარს ეს კაბა-თქო. გაჭვირვებულმა შემომხედა რადგან პირველად ეცვა. მე კი სიყვარულისგან დაბნეულს ისიც კი არ შემიმჩნევია, რომ ამ კაბის ფონი ლურჯი იყო, ხოლო ის კაბა, რომელიც მთელი ორი წლის მანძილზე ჩემს მეხსიერებაში იყო ჩარჩენილი – შავი. თავისთვის დაჯდა და რაღაცის კითხვა დაიწყო.

უცებ შევხედე და ვეუბნები: – გუშინ ცვეიგის „24 საათი ქალის ცხოვრებიდან“ გადავიკითხე და შენ წარმოგიდგენეთქო. უეცრად სახე შეეცვალა, მრავალმნიშვნელოვანი კითხვის თვალებით შემომხედა და ისე გაჩუმდა, პასუხი რომ შემოგიგვიანდება ხოლმე. მოგვიანებით კიდევ გავიმეორე. ცოტა ხანში დავიშალეთ. ღამეებს ვათენებდი მასზე ფიქრებში. განმარტოვებას ვცდილობდი, რომ ამ ფიქრებთან მარტო ვყოფილიყავი.

თურმე გაოგნებულს ჩვენი საერთო მეგობრისთვის მიუმართავს და უთქვამს, – ეტყობა ჩემზე კარგი აზრის არ არისო, – იქნებ უყვარხარო, – უკითხავს მეგობარს, – რას ამბობ, გამორიცხულია, ერთმანეთს საქმის გარდა არც კი ველაპარაკებითო.

– არ ვიცი, თუ არ ვნახე ვერაფერს გეტყვი. რადგან უნივერსიტეტში რჩეული გოგონები გარს ეხვეოდა და არასოდეს არავისკენ უდი-

ერად არც კი გაუხედავსო.

მეორე დღეს ეს ჩვენი მეგობარი გვეწვია, სიმართლე გითხრა, მე ეჭვი არაფერზე არ შემპარავია. ყოველთვის, როცა ვმუშაობდით და დასკვნას ვწერდით, უკან დავუდგებოდი და წინადადებას არ ვამთავრებდი სპეციალურად, — მერე, მერე? — მეკითხე-ბოდა, — მე ვდუმდი, რაკი მოუთმენლად ველოდი მის ზემოთ ამოხედვას, რომ მის თვალებში მოციმციმე ათინათები დამენახა, ამ მდგომარეობაში მისთვის ძნელი შესამჩნევი იყო ჩემი მზერა. ამ წამებისთვის მზად ვიყავი ნახევარი სიცოცხლე მიმეცა. არც ეს დღე იყო გამონაკლისი.

ეს მომენტი შეუმჩნეველი არ დარჩა ჩვენი მეგობრისთვის. — ჭკუაზე არ არის ისე უყვარხარო უთქვამს — როცა გაცილება სთხოვა.

შეძრწუნებულა.

მეორე დღეს სამუშაოს დამთავრების შემდეგ, გაცილებისას, მანქანაში ზურგით მჯდომარეს მეუბნება, — დღეს პარასკევია, მერე შაბათი და კვირა, ჰოდა ეს დღეები იფიქრე, კარგად იფიქრე.

—როგორ? შენ რომ გაწყობს ისე, თუ მე რომ მაწყობსთქო? ისე ვუპასუხე, რომ არც მიკითხავს, — რას. გულისხმობთქო? — რაკი კარგად ვიცოდი რასაც გულისხმობდა.

—არა, შენ როგორც გაწყობს. ოლონდ ფიქრს ნუ შეწყვეტ ბოლომდე გაყევი ფიქრებსო და

მერე ორშაბათს ვიღლაპარაკოთო.

დადგა ის ორშაბათი დღე. დაჯდა. მე მის წინ სკამს როგორც ცხენს შემოვაჭექი, თავი ჩავ-ქინდრე და რაც ძალი მქონდა სკამის საზურგეს შემოვეხვიე და გარინდული ველოდი... მე თვი-თონ არ ვიცი რას.

—ონისე, მე რამე შემეშალა? — მკითხა.

—ვაიმე, არა! — სასწრაფოდ ავწიე თავი.

—აბა რა მოხდა?

—არაფერი, უბრალოდ ძალიან მიყვარხარ! —
მტკიცედ ვთქვი.

უცებ გაშრა მოულოდნელობისაგან.

—გეჩვენება, ნამდვილად გეჩვენება!

—არა, არა! ჯიუტად ვიმეორებდი. ნეტა
მეჩვენებოდეს, აგერ თვეზე მეტია ვებრძვი ჩემს
თავს და შენს ქმარს და ვერაფერი მოვახერხე.

—შენი ცოლი ხომ გიყვარდა, ვიდრე მოიყ-
ვანდი?! — და უნდოდა ამაზე აევო საუბარი.

აი, ერთადერთი შეკითხვა, რომელიც არ
მინდოდა შემკითხვოდი. ღმერთს ვევედრებოდი
ეს არ გეკითხა. ამ სიტყვებით კითხვა პირზე
შევაშრე.

მაშინ! მე უნდა წავიდეო! — მითხრა.

შიშისგან სასწრაფოდ წამოვდექი, დავიჩოქე
მის წინ. ამხელა კაცი ვტიროდი, ისე ვევე-
დრებოდი, — არ წახვიდე, გემუდარები, მე ხომ
არაფერს გთხოვ, არ გაწუხებ... იმდენად უმარ-
თავ და გაუწონასწორებელ მდგომარეობაში

ვარ, სახლში მოვალ, შენს ქმარს ვეტყვი, როგორ მიყვარხარ და ვინც ჩვენს შორის გაიმარ-ჭვებს მისი იყოსთქო. ან სახლთან ძალლივით გაჭვზე დავებმებითქო.

თვალებში შევატყვე მიხვდა, რომ საქმე სერიოზულად იყო და ამის გამკეთებელი ვიყავი. შეშინდა. იმდენი ვეხვეწე, სანამ არ დავითანხმე, რომ არ წავიდოდა.

მეორე დღიდანვე ჩემი გრძნობების გამუღავნება დავიწყე, ცოდვა გამხელილი ჭობია და ალბათ ვცდილობდი მასაც შევყვარებოდი.

გამუღმებით ვუმტკიცებდი, რომ ცხოვრებაში ადამიანები სულ თავის რეალურ მეორე ნახევარს ეძებენ და ეს მე და შენ ვართქო, ხან რუსეთში გაქცევას ვთავაზობდი. სულ მიმტკიცებდა, რომ ეს ყველაფერი გეჩვენება. მე გაუთავებლად ვიმეორებდი, — მიყვარხარ, მიყვარხარ!

ერთხელაც პატარა ქალალდი მომაწოდა, სადაც ეწერა, — „მე შენ არ მიყვარხარ!!!“

ვიცოდი, მაგრამ მაინც გულზე მომხვდა და ვთხოვე ჩემთვის დაეტოვებინა.

ჩემი მდგომარეობა დღითიდლე კონტროლს არ ექვემდებარებოდა. იმდენად ძლიერი იყო ჩემი გრძნობა, რომ მთელი ლამეები არ მეძინა და ვცდილობდი მემუშავა; მაგრამ ამაოდ საათობით ვიწერი ჭერზე თვალაბყრობილი, უმოძრაოდ.

მაისი იყო. ჩვეულ პოზაში ვიწექი. შვიდ საათზე უცებ წამოვდექი და წერა დავიწყე. ჩემი გრძნობების უხილავ ძაფებს ისიც გაუღვიძებია, რომელსაც ჩემს მიმართ არანაირი გრძნობა: არ გააჩნდა და წერა დაუწყია. ვწერდით ორივე ერთდროულად; მე მისდამი სიყვარულზე, პასუხს სიტყვებზე „მე შენ არ მიყვარხარ“. ის კი ჩემს გრძნობებს აღწერდა. წარმოგიდგენია, სულების ესეთი ერთიანობა, ერთდროული ფიქრი, ერთდროული არსებობა?! – ეს ჩემი ძლიერი გრძნობის შედეგი იყო. აი, თუ არ შეიძლება მანძილზე ზემოქმედება. სხვაგვარად როგორ ამეხსნა, როცა ჭერ ჩვენი შეხვედრაც არ ყოფილა, არც პირველი კოცნა და არც პასუხი ჩემს ამ გიჟურ, დაუოკებულ სიყვარულზე.

მეორე დილით ერთმანეთს, რომ შევხვდით ორივემ ერთდროულად ერთმანეთს ვუთხარით: – იცი, რა უნდა წაგიკითხოთქო?! ჭერ მე, ჭერ მეო, ერთმანეთს გასწრებდით. ბოლოს მე დავუთმე. კითხვა, რომ დაიწყო თავი ჩავქინდრე და გავირინდე. ისე რომ გაკვირვებულმა შემეკითხა – „არ მოგეწონა?“

—არა, როგორ არა, უბრალოდ, ზუსტად ეს დაწერილი მაქვს მე და ვფიქრობდი, —ამას ვერ ნახავდათქო და ასეთი დამთხვევისგან ვარ გაოცებული.

ესეც იმის დასტური იყო, რომ ჩვენ ერთნი ვიყავით...

საოცრება იყო, მე თავშეკავებული, გა-
წონასწორებული ადამიანი სრულიად ამო-
გარდნილი ვიყავი კალაპოტიდან. იგი არ იყო
სექსუალური, არც კეკლუცი.. რომლებიც მა-
მაკაცებს იძყრობს, — არა, ეს იყო ჭეშმარიტი
სიყვარული, რომელიც სპონტანურად მოდის,
კონკრეტული საბაბის გარეშე.

მანაც მოსვენება დაკარგა. აღარ იცოდა
რითი ეშველა ამ საქმისათვის, რომ ჩემგან
საშიშროება აღარ ჰქონდა, გადაწყვიტა მე-
გობრის სახლში შევხვედრილიყავით.

მაისის საოცრად ლამაზი დღე იყო. მან
ჩვეული ლაპარაკი დაიწყო, რომ გაექარწყლე-
ბინა ჩემი გრძნობები უცებ, მოულოდნელად
ვაკოცე. ეს ჩემი პირველი კოცნა იყო. უცებ
წამოდგა და წავიდეთო მითხრა. ბევრი ვეხვეწე,
— დავრჩეთთქო, მაგრამ მისი ნათქვამი კატეგო-
რიული იყო და წამოვედით სასწრაფოდ.

დრო გადიოდა ჩემი გრძნობები უფრო და
უფრო აფრებს შლიდა. მეტად ვცდილობდი
მასში სიყვარული გამომეწვია. თავს სასმისში
ვიოკებდი. ნასვამი კი სულ მისი ქუჩისკენ გავრ-
ბოდი. ერთხელ მეგობრის აივნიდანაც ვხტე-
ბოდი, სარეცხის თოკებმა გამომაფხიზლეს.
მის ლანდს ვეამბორებოდი. ვერ ვიტანდი მის
ქმარს, რომელიც მართმევდა ჩემს რეალურ
ნახევარს. სარკეში რომ ვიყურებოდი, ჩემი
სახის მაგივრად მის სახეს ვხედავდი. ერთხელ

ცოლსაც კი ვუთხარი, — მიყვარს ერთი ქალი, ვგიუდებითქო. ველოდი მეტყოდნენ წადიო, — სურვილი არ ამისრულეს.

ზაფხულის დასაწყისი იყო და იმდენად ბევრი ხალხი მოძრაობდა, ვერ მოახერხა ჩემთან დალაპარაკება რომ საკუთარი თავისთვის ეშველა. ამიტომ გადავწყვიტეთ ქალაქად ჩავსულიყავით, სადაც ნაკლებ გვიცნობდნენ და ერთხელ და სამუდამოდ გაგვერკვია ურთიერთობა.

მე ვფიქრობ, ის მაინც გულუბრყვილოდ მოგვარებად საკითხად უყურებდა ამ მდგომარეობას. თავის ბავშვობის მეგობარიც კი წამოიყვანა. ისინი უფრო ადრე მივიდნენ დათქმულ სახლში. ყველას ჩვენ — ჩვენი ოთახი და საწოლი გველოდებოდა. კარები მან გამიღო. ისეთი მოწყურებული ჩავეხუტე, კარიც კი ღია დარჩა, როგორიც წარმომედგინა, ისეთი იყო ჩვენი შეხვედრა. ძლივს მომეცა საშუალება ჩემს სიყვარულს ჩავხუტებოდი. ამისრულდა ოცნება და ბედნიერებისგან განცხრომაში ვიყავი. მანვე მომაფხიზლა კარები დავკეტეთ. ვინაიდან მთელი დღის მშიერი ვიყავი საჭმელად სამზარეულოში შევედით. უკვე გვიანი იყო და ამიტომ შემომთავაზა, — ხვალ ვისაუბროთო. საუბარზე მეტად მისი შეხება და მოფერება მწყუროდა და ამიტომ ვთხოვე არ წახვიდე დარჩი ჩემთან, დამელაპარაკეთქო. რომ არ

გამქცეოდა, მაშინვე ჩავეხუტე, თვალები დავუკოცნე, ტუჩებიც, სანამ გონზე მოვიდა ჩემს ლოგინზე იწვა. მის სხეულს და მკერდს რომ შევეხე, მთელი სხეულით ცახცახებდა. ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ ჩვენ ერთი მთელი ვიყავით.

ეს არ იყო ვნების შედეგი, ეს სიყვარული იყო, — სულის ერთიანობა. ჩვენ არცერთი არავის არ ვღალატობდით.. ეს ორი სული, თავისუფალ ერთ ასტრალურ სხეულად იყო შეკრული; თითქოს და დიდი ხნის ძებნის შემდეგ ისინი შეხვდნენ ერთმანეთს. მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს. და არც მას მივეცი განმარტოვებისა და ძილის საშუალება. მთელი ღამის განმავლობაში ექვსჯერ შედგა ჩვენი ურთიერთობა. მეორე საოცრება ის იყო, რომ ორი კვირით ადრე ჰქონდა დედათა წესი და მაინც სისხლის დენა დაეწყო, სიმბოლურად, თითქოს ქალწულობა დაკარგა. არა, ეს იყო მისი სიწმინდის დასტური უფლისაგან; ის დღესაც ასეთივე სუფთაა.

თურმე ამ ჩვენი დიდი სიყვარულისთვის არამცთუ არ უღალატია, უფრო მეტიც — რაკი მეგობარმა ქმრისთვის სიმართლის თქმა აუკრძალა, რომელიც მის დაკარგვას ვერ აიტანდა, — საწოლი ოთახიც კი დაუთმია. განრიდებია მეუღლეს, რითაც რიდი გამოხატა მისდამი და თავისი მორალის ერთგული დარჩენილა. მე კი,

სამუდამოდ მიმატოვა და დამცილდა.

მე ამის შესახებ არაფერი ვიცოდი, ერთხელაც არ უთქვამს, შენ მე სულიერი ცხოვრება დამინგრიეო. კმაყოფილი ყოფილა რომ მე ოჯახი შემინარჩუნა. მე კი მხოლოდ ჩემს თავზე გფიქრობდი, ჩემს განცდებზე და ერთხელაც არ მინახავს და არ მიკითხავს, — შენ როგორ ხარ. ალბათ მეგონა, რომ კარგად იყო. შეიძლება გეჭვიანობდი და ვბრაზობდი კიდეც.

ოთხი დღე ერთად ვიყავით. მაგრამ ასტროლოგიურ ოთხ დღეს არ შეესაბამებოდა, — ეს ერთი მთელი ცხოვრება იყო, რომელსაც დედამიწაზე ალბათ ერთეულები გადიან თავისი განცდებით, მომავალზე ფიქრით.

ცოტახანში თითქოს ორსულობის ნიშნები ჰქონდა. თან მინდოდა ჩვენი სიყვარულის ნაყოფი გაჩენილიყო, თან ჩვენი მომავალი მაშინებდა. ესეც განგებამ გადაწყვიტა.

მალე დასასვენებლად წავიდა. ვინაიდან სულ მის ნაკვალევს დავეძებდი, ისე რომ მას არ შეემჩნია, ამჯერადაც გავყევი უჩუმრად. ტრასაზე დავეწიე, მანქანიდან გადმოსულს საყვირი მივეცი, ტანზე ის სარაფანა ეცვა, რომელიც ჩვენს მთელ ცხოვრებასთან იყო დაკავშირებული. ისე გავნერვიულდი ავარიაშიც კი მოვყევი.

ქალაქში დაბრუნდა თუ არა, ისევ ვცდილობდი მომებრუნებინა, ვიბრძოდი ჩემი დიდი სი-

ყვარულისთვის. მიჭირდა მასთან განშორება.

ჩემს საკუთარ დაბადების დღეზე რგოლის ბეჭედი მივუტანე, კაბაც კი შეიკერა ჭვრისწერისთვის, მაგრამ... ბევრ რამეს პასუხი ვერ გასცა. ძალიან ბევრი ინერვიულა. არასოდეს თავის სასარგებლოდ არაფერს არ წყვეტს და არ ითხოვს. არასოდეს არ უთხოვია ოჯახი დაანგრიეო, თუმცა ამისთვის მე მზად ვიყავი. როცა გაიგო ბავშვი ავად გამიხდა. ცხვარი უყიდია ეკლესიაზე შემოუტარებია, ჭანმრთელობის პარაკლისი გადაუხდია და წმ. მარიამისთვის უთხოვია, - მას ცოდვები მიუტევე და პირმშო გადაურჩინეო.

იმდენად დიდი იყო მისი განცდები, რომ მისთვის მიუღებელი მორალისთვის სავადმყოფოშიც კი მოხვდა საბოლოოდ. ძალიან მძიმედ იყო, ყოველდღე ვნახულობდი საგადმყოფოში. ნერვიულობისგან არ ვიცოდი რა გამეკეთებინა. ვინაიდან გამბედაობა არ მეყო, ჩემი სურვილი ამესრულებინა... მივაშურე მონასტერს, - სადაც ჩემმა ბედნიერებამ ფრთები შეისხა. წვერი მოვუშვი, განმარტოვდი და თვით გვემას მივეცი თავი.

ერთ დღეს ბეჭედი უკან დამიბრუნა. ძალიან მძიმედ შელევია. არ უნდოდა მასთან გაყრა. ალბათ იმ ოთხი დღის „საფასურად“ აღიქვამდა. მე კი, ვერ მივხვდი, რომ შევხვედროდი, უკან დამებრუნებია და მეთქვა, - ეს ჩემი დიდი

სიუვარულის ნიშანიათქო. აკი ვეუბნებოდი ჩემი ცოლი ხართქო. დიდი ბედნიერება მინდოდა მიმეცა და გამოვიდა რომ შეურაცყოფა მივაყენე. რა მნიშვნელობა აქვს ვინმემ იცოდა თუ არა; მთავარია, ის რომ ასე ფიქრობდა და აღბათ დღესაც ასე ფიქრობს.

ერთი წლის შემდეგ 15 მაისს განშორების დღე ავღნიშნეთ. ექვსი სადღეგრძელო თვითონვე სთქვა. მე კი მადლობის ნიშნად ვუთხარი, — ყველაფერი ლამაზი რაც ყოფილა ჩვენს ცხოვრებაში ყველაფერი შენი დამსახურებაათქო და შევპირდი, რომ თავადაც მოვაწყობდი ასეთ ლამაზ დღეს, და დავუმატე, უფლება მომეცი, როცა დიდი — სიხარული და დიდი გაჭირვება მექნება დაგირეკოთქო. არა მარტო პირობა არ შევასრულე, არამედ განშორებიდან პირველი დაბადების დღის გარდა არასოდეს არაფერი არ მიმილოცია, ისე გაუხარდა, რომ ბეჭედის დაბრუნება მოხოვა, რაზეც ვუპასუხე ეკლესიას შევწირეთქო და კიდევ ერთხელ ვატკინე გული. მე ხომ ვიცოდი მიზეზი, მაგრამ ნუთუ არ მაინტერესებდა რას ფიქრობდა იგი ჩემზე, როგორც კაცზე?!

თითქმის ოცი წლისთავზე დამირეკა და მითხრა, — ვიცი, ვინდა იუბილე მომილოცოო. — მე კი შენი დაბადების დღე სულ მახსოვსთქო. შეხვედრა მოხოვა, მე რაღაც მოვიმიზეზე და უარი ვუთხარი. სხვათა შორის ერთხელ, ერთ-

ერთი მეგობრის იუბილეზე მითხრა, — ეხლა რომ
თავს იკავებ, მაშინ შეგეკავებინა ჭობდაო.

— რას ამბობ, რაც მე დამემართა ცხოვრებაში,
ესეთი თვით ბაიორონს და პუშკინსაც კი არ
ჰქონია, — ისე ვუპასუხე, თითქოს გამართლება
იყო. ნუთუ ეს კაცური საქციელია, ვეკითხები
ხოლმე ჩემს თავს.

ჩვენი გზები ცხოვრებაში არასოდეს არ
იკვეთებოდა, მიუხედავად ამისა, რამოდე-
ნიმეგერ შემთხვევითი შეხვედრები გვქონდა
სუფრასთან. ხოლო როცა ვხვდებით არავინ არ
მეკითხება, ისე ვიწყებ მის ქება-დიდებას. არ
ვიცი ეს ჩემი თავის მართლების ფორმაა თუ
ჩემი დაუვიწყარი სიყვარულის გამოხატვა მის
მიმართ. რომ მეამაყება ეს უდაოა. როგორც კი
მივიპყრობ მის ყურადღებას, მაშინვე კუსავით
თავს ვმალავ.

ერთი წვეულების შემდეგ ერთად წამოვედით,
მეგობრები მივაცილეთ სახლებში და ჩვენ მარ-
ტონი დავრჩით. უტაქტოდ ვეხუმრე ბოლოს
და ბოლოს, მაინც დამითრიე მარტო, არა?
ისე შემომხედა რომ... მერე ვინანე. მხოლოდ
შემეკითხა, — „როდის მიხვდი რომ აღარ გი-
ყვარდიო“.

საშინლად განვრისხდი, — „და მერე ვინ
გითხრათქო? ან საერთოდ როგორ მოგივიდა
თავშითქო“. სახლთან რომ მივიყვანე, დამემშვი-
დობა, გადავკოცნე. უცებ შეკითხვით შევაჩერე.

მეორედ რომ დამემშვიდობა, — გადავიწიე, ისევ გადავკოცნე... ასევე გადაწეული დავრჩი, კითხვის თვალებით შევყურებდი. მეგონა მობრუნდებოდა, ჩამეხუტებოდა მაგრამ არა, — დავცილდით... მე კი სულ ვგრძნობ, რომ მას უნდა ჩემთან საუბარი. მაგრამ მასაც ვბორკავ და მეც შებორკილი ვარ.

იმ დღეს მოვიდა, საერთო მეგობრის წიგნი გადმომცა. მერე თავისი ბარათი მომაწოდა, სადაც 15-30 წუთით შეხვედრას მთხოვდა. მე საქციელი ისე დამეკარგა, რომ ხმამაღლა გამოვაცხადე და საერთოდ უცხო ადამიანები მოვიშველიე, რომ ეთქვათ რაოდენ დაკავებული ვარ. ეს როგორ გავაკეთე? იმ უცხო ხალხს დავანახე, რომ მთხოვს შეხვედრას და აი, რა მაგარი ვარ უარს ვეუბნებითქო. თუ რა მინდოდა? რა უაზრო რეაქციაა... რას ვერჩი ამ ადამიანს, ჩემს დიდი ხნის შეცდომას მას რატომ ვაზღვევინებ? ან კი, ვიცი რას ვაკეთებ? ან, რა მინდა დავამტკიცო, რომ მასზე დაკავებული ვარ თუ ჩემს ქეიფს ვერ მოვპარე ნახევარი საათი? უფრო მეტიც, მისდამი მიძღვნილ ლექსებზე უარი ვუთხარი. — არ ვიცი სად მაქვსთქო. ეს მე არ ვიცი სად მაქვს, ვის ვეუბნები ამას? ვინც იცის, რომ განსაკუთრებული სკივრი გამაჩინია? რა მინდოდა ამით მეთქვა? იმდენად სულერთი იყავი ჩემთვის არც კი ვიცი სად შევინახეთქო? ეს ხომ სიცრუეა? ასე მაშინაც

კი არ იქცევიან, როცა სულერთია, ვინაიდან ის მაინც სათუთად არის შენახული, როგორც ძვირფასი შემოქმედება.

ვის? იმას ვუმალავ? ვისდამიც იყო ეს განცდები?

ამას ის არასოდეს ჩაიდენდა; ხომ ქალია? არ დამამცირებდა. ისე ღირსეულად წარმომაჩენდა, თუნდაც სამხელი გამხდარიყო... იგი ძლიერია და ღირსეულად იცის მოქცევა.

მე, სხვა დროსაც ბევრი ვიცრუე, ერთხელ ინტერვიუში ვთქვი; — ცოლი სიყვარულით მოვიყვანეთქო, — არც კი მიფიქრია, რომ წაიკითხავდა და მატყუარა ყოფილაო, გაიფიქრებდა.

რატომ მოვიქეცი ან ვიქცევი ასე? ის ხომ ჩვეულებრივი ქალი არ არის, რომ მოატყუო, გადაუარო, გათელო. იგი ღირსეულად გაიმართება, მრავალმნიშვნელოვნად შემოგხედავს და შენ წარმოჩინდები, როგორც უსუსური, მხდალი, არაკაცური, რომ სულიერად პატარა ადამიანი ხარ და იმას შეეჭიდე, რაც არ გძალუძს. კაცი, რომ ხარ შეიძლება სიკვდილიც მოგინდეს.

ბევრჯერ მიფიქრია მის სახელზე, მითქვამს: — ვერ ავიტან, რომ შენს თავზე, თმის ბეწვი ისე შეირხეს, შენ რომ არ გეკადრებათქო. მაგრამ, არასოდეს არ მიფიქრია მის გრძნობაზე, რომელიც ჩემი ძალისხმევით აღიძრა, სული აუფორიაქდა, ამას ჩემი საქციელიდან გამომდინარე შეკითხვები დაემატა, რომელიც ეხლაც

ლიადაა. სულ მის კითხვის თვალებს ვხედავ, — რატომ? მთელი ცხოვრება ვერ გავეცი პასუხი, — რატომ?..

რატომ შევხვდი, ასე გვიან, ამ ჩემს ნახევარს. რას გავდა ჩემი საქციელი. რა არის ეს? ეგოიზმი? რაკი თავს ვერ ვერეოდი, — გაგება და მხარში დგომა მოვითხოვე. გავწონასწორდი, ნიღაბი ავიფარე და მერეც გაგება მოვითხოვე. ვისგან? სუსტი სქესის წარმომადგენლიდან, რომელსაც ჩემთვის არაფერი დაუშავებია, გარდა იმისა, რომ არსებობდა? და რომ მომენდო? ისე გავკადნიერდი, — „სიცოცხლე აღარ მინდა, დავიღალეო“ — რომ მითხრა გვერდში აღარ დავუდექი, მხოლოდ სიტყვა შევაწიე, — არ გრცხენია, შენ ისეთი ძლიერი ხართქო. — არ ვიცი, წამიერად ვუშველე თუ არა. უცებ წავიდა, არც კი შემომხედა. ვფიქრობ არ უნდოდა, რომ ცრემლი დამენახა. ჩემს თავზე კი ვფიქრობ, — ნეტა რატომ არ დავურეკე და არ გამოვიყვანე მდგომარეობიდან? როგორი სიმხდალეა... ალბათ იმედს ვიტოვებდი, რომ ის იმდენად ძლიერია იქნებ ამ ორიოდე სიტყვითაც უშველეთქო. ფაქტი ერთია, რომ გვერდით არ დავუდექი, მხოლოდ სიტყვა შევაწიე. ამიტომ ვფიქრობ, რა ჭარბობს ჩემში; — სიძულვილი, ჩამქრალი გრძნობა, თუ შიში. რისი შიში ოჯახის დანგრევის? აბსურდია. თუ სულის ხელახლი აფორიაქების? — არ ვიცი. არც ის ვიცი — ვინ

ვარ! თითქოსდა მართალი კაცი ვარ, ამავე დროს ნიღბით დავდივარ, მართალი კაცი ნიღბით რატომ უნდა დადიოდეს ვეკითხები ჩემს თავს. იქნებ ეს ნიღაბი ჩემთვის მაქვს? ბოროტი არ ვარ, არასოდეს არავის არ ვაგინებ – ყველას ვაქებ. ობიექტური ვარ, როცა საზოგადოდ რაღაც საკითხზე ვმსჯელობ. ლოგიკა და ცოდნა საკმაოდ მყოფნის; სხვა შემთხვევაში სირაქლე-მასავით დამალული ვარ. აქეთ არ მინდა შემე-ხონ და მეც არავის ვეხები. შვილიშვილებთან? – მართალი ვარ საყოველთაო წესრიგს ვასწავლი, მაგრამ სიყვარულზე თუ შემეკითხებიან, მაშინ მართალი ვერ ვიქნები. რას ვეტყვი? – ძლიერი უნდა იყო, თავის შეკავება უნდა იცოდე, მაგრამ ალბათ უნდა დავუმატო, ეს ყველაფერი მანამ სანამ ვინმეს ცდუნებაში შეიყვან, ცოდვას ჩაადენინებ თორემ რა გამოვა, მას შენს ცოდვას და მისას ერთად სატანწველად დაუტოვებ მთელი ცხოვრება და შენ მართალ, ძლიერ კაცად დარჩები? და ამ დროს გამოსავალი ნიღაბიათქო? თუ უნდა უთხრა, აგრძნობინო, რომ ეს შეცოდება დიდი სიყვარულის ბრალია, რომელიც ეხლაც მტანჭავს და ეს არის ამის გამართლება და კაცურად ეხლაც ვზიდავ ამ ტვირთს. ალბათ ეს სიძლიერედ არ მიმაჩნია, თორემ ხომ არ დავფარავდი.

არ ვიცი ჩემს თავსაც ბოლომდე ვუტყდები თუ არა, მაგრამ მე მგონი ის მომწონს, ბოლომდე

რომ არავინ არ მიცნობს...

უნიკალურად ნიჭიერი და გონიერი ადამიანი ვარ, განათლებული. არ არის საკითხი და სფერო, რაშიც არ ვივარგებდი და ვარსკვლავებს არ დავიძყობდი. ჩემს სპეციალობაშიც ასეთი ვარ, მაგრამ აქაც გავჩერდი, დავკმაყოფილდი. იმის იქეთ აღარ წავედი. იქეთ არავის არ ვეხები და აქეთაც არ მინდა შემეხონ. სიყვარულშიც ასე მოვიქეცი, აპოგეას მივაღწიე და გავჩერდი. არც მე ვეხები და არ მინდა სხვებიც შეეხონ. შვილიშვილებთან მაქსიმუმს მინდა მივაღწიო. ალბათ, იქაც შუაზე გავჩერდები; იმიტომ რომ ბოლომდე პასუხს ვერ გავცემ.

რობოტული ცხოვრება. ავირჩიე: სამსახური, შვილიშვილები, ქეიფი, ძილი, ცოტას ჩემი ჰარი მშველის განტვირთვისთვის... და ეს კარუსელი ჩართულია, რა თქმა უნდა დროებით.

ერთ დღეს სამსახურიც დასრულდება, თუ ადრე არა 14-15 წლის ასაკიდან შვილიშვილები თავის გზებზე წავლენ-წამოვლენ. მეგობრებს ქეიფის მიზეზი და ძალა შემოგველევა. დარჩება მხოლოდ ანალიზი მთელი ცხოვრების.

ერთხელ სუფრასთან ჩვენმა მეგობარმა გვკითხა: — თქვენ საიდან იცნობთ ერთმანეთსო. ვუთხარი რომ ერთად ვმუშაობდით. ერთ-ერთმა მათგანმა უნებურად იმ დღესთან დაკავშირებით გვითხრა, მაგრამ ეს ჭეშმარიტება ჩვენს

პირველ შეხვედრას უფრო მიესადაგებოდა – „წარმოგიდგენიათ, თქვენ დღეს განგებამ შეგახვედრათო“, – ეს უფლისგან ნათქვამი სიტყვები იყო. საოცარი სიტყვებია არა? განგებამ?! ჰო, განგებამ შეგვახვედრა, მაგრამ რატომ?

ვბრაზობ, რომ ჯვარი არ დავიწერეთ. რა? ცოდვის მეშინოდა? რომელიც უკვე ჩავიდინე, პატიოსანი ქალი შევბლალე და ძალა არ მეყოერთი, დამატებითი ცოდვა ჩამედინა, ამ ჩემი დიდი სიყვარულისთვის და დამეკანონებინა უფლის წინაშე „ჩვენი ერთი მთელი ცხოვრება“. არა, უბრალოდ ეგოისტურად ვერ ვიტანდი, რომ სხვასთან უნდა ყოფილიყო, რაკი ძალა არ მეყოერალობასთან ბრძოლის.

შემდეგ ძალა მოვიკრიბე, გულში სათუთად ჩავმალე ეს გრძნობა. ნახევრად გიურ დავდიოდი; ვიცოდი რისთვისაც ვაკეთებდი, – მისთვის. მეგონა ასე უფრო ბედნიერი იქნებოდა. ამ ჩემი მსხვერპლით, თავმომწონედ თავი გმირი მეგონა და ოვითკმაყოფილი ვიყავი.

ერთხელაც არ მიფიქრა, ის როგორ იყო. რას ფიქრობდა. მხოლოდ ეხლა დავფიქრდი. რომ იგი სხვა თვალით შეხედავდა ყველაფერს. ეჭვს მიიტანდა ჩემს სიყვარულზე, იფიქრებდა რომ მე, ჩემი სიყვარული არ დავიცავი, მხოლოდ ვნება დავიოჭე და განვაგრძე ცხოვრება.

ის კი არ იცის, რომ კაცმა შეიძლება ვნება დაიოკოს, მაგრამ ასეთ ძლიერ, ნამდვილ და

ერთადერთ სიყვარულს ვერაფრით ვერ დაიოკებს. იგი შეუხორცებელ ჭრილობასავითაა მთელი სიცოცხლის მანძილზე. და კიდევ ერთი, – სიყვარულის განკურნება შეუძლებელია, სიყვარულიდან მხოლოდ გაქცევაა შესაძლებელი.

ისე რამხელა ტრავმა მივაყენე; მისი ხასიათი, რომ ვიცი, დარწმუნებული ვარ დღესაც აწვალებს ეს კითხვა – რატომ?.. მე კი, ჩემი სიყვარულით კმაყოფილს, თავშიც არ მომსვლია, მეკითხა საკუთარი თავისთვის – რატომ?

არა! არა! ეს რა მომივიდა? ამაზე მხოლოდ გუშინ დავფიქრდი, როცა ფილმი „ქალი და მამაკაცი“ ვნახე განმეორებით. არა, მე ვაღდებული ვარ ავუხსნა!.. გავაგებინო, როგორი სიყვარულისთვის ბრძოლაზე ვთქვი უარი და რატომ?

ბოლოს და ბოლოს ოცდახუთი წლის შემდეგ უშიშროების მასალები, გრიფით „საიდუმლო“. იხსნება და ნათელი ეფინება. აბა, მე რა დამემართა? სულ ჩემს თავზე ვფიქრობ: კაცმა უსიამოვნო, სასიამოვნოთი რომ შეცვალო, უთხრა როგორ გიყვარდა და გიყვარს, ეს არის პრობლემა?

ერთ-ერთ მის სადლეგრძელოში ვთქვი, ასე მითხრა, – „მინდოდა დამერეკა, მაგრამ იმედი არ მქონდა, რომ მოხვიდოდიო“. – ამას ქვეყნის დასალიერში გავყვებითქო, ლიტონია ეს

სიტყვები? – არა, გულში ასე ვფიქრობ მაგრამ
მერე რეალობას გაურბივარ. არც კი ვფიქრობ
რომ სულიერ შეურაცყოფას ვაყენებ.

ეს მავიწყდება, რომ ძლიერ და ღირსეულ
ადამიანებს, რომლებიც მართლები არიან,
ყველაფერი ეპატიებათ, თუნდაც ასეთი ზე-
ბუნებრივი სიყვარული. თუ კი მას მოუვლი
და სათუთად წარმოაჩენ. დასაძრახი მხოლოდ
სიბილწეა. არასოდეს უნანია, ახლა ხომ შეი-
ძლება ნანობს, იმ ჩვენს „ერთ მთელ ცხოვრე-
ბას“ რომელიც ერთად გავიარეთ, რაკი მე
ესეთი დამინახა. ეს მინდოდა? რატომ?... ეს
მომაკვდინებელია.

რას ვთამაშობ? ასე სჭობს რომ შემიგავ-
როსთქო? ეს ხომ აპრობირებული ფარსია.

სინამდვილეში თავს არ ვუტყდები, არ
ვაცნობიერებ რა იყო, ჩვენი „ერთი მთელი
ცხოვრება“, ასეთი მტკიცნეული მარადიული
სიყვარული, რომელიც უკვალოდ არ ქრება. ზე-
ბუნებრივი ძალა, სტიქია ან სიკვდილი თუ
წაშლის მის ნაჭდევს, რომელიც სათუთად და-
მალული მაქსს, რომ არავინ დაინახოს და შე-
ეხოს. ჩემთვის კი, რა თქმა უნდა სულ ვფიქრობ:
– რა იყო ეს?

– უფლის გამოცდა? – რომელიც ვერ ჩავა-
ბარე თუ...

– უფლის საჩუქარი? – ბოძებული მისგან, –
გადატანილი განსაცდელის საფასურად.

ამ ფიქრებში დამათენდა. გარიურაჟის სხივ-
მა თვალის პორიზონტი გაასხივოსნა. თვალის
გახელა არ მინდოდა. თვალწინ მინდორი
გადაიშალა. მისი ერთი მონაკვეთი მინდვრის
ყვავილებით იყო მოფენილი. შორს, შორს
დასალიერში ერთი მუხა იდგა განმარტოვებით,
რომლისკენაც ამ უსასრულო მინდვრიდან შავ
თეთრ კოპლებიან კაბაში, ჰაეროვნად მიმავალ,
აჩრდილს თვალს მივაყოლებდი, ყურში კი ნაზი
ჰანგივით მესმოდა:

— „მე კი არ მინდა, არ მინდა ვიფიქრო რომ
ერთი გაზაფხულის ყვავილი ვარ, რომელიც
მასთან ერთად გავქრები. მე, მუხა მინდა ვიყო,
მუხა! გესმის?...“

უეცრად გაზაფხულის წვიმა წამოვიდა, მთა
და ბარი ჩამორეცხა. ნისლი ჩამოწვა. თითქოს
სიცოცხლე შეწყდა დროებით. ამ დროს, ნისლ-
ში შეპარულმა მზის სხივმა კი, მუხა გაანათა,
რომლისკენაც მესმის, მესმის... ძახილით ჩემი
ექო და სული მიისწრაფოდა.

07. 04. 07

სარჩევი

ჩანახატები	9
...და მე მაინც ბედნიერი ვარ!	11
თვალები	14
პირველიდან პირველამდე	15
ვინ ვარ?!	19
ხელის გული	21
მიწა	23
ბედისწერა?!	25
გალაკტიონი	26
გასაუბრება დედასთან	28
ხე	30
მე ხომ არ ვსტყუი?!	32
წუთისოფელი	36
წერილი მეგობარს	38
ოცნება	41
ვარდი	43
სიყვარული	44
...უნდა მოკვდეს დედა?!	45
ტანძია	47
გველის პერანგი	49
მდინარე	55
სიკვდილი	57
სანთელი	58
„მე“	60
Ты мой божий дар!	62
ასრულებული ოცნება	79
უჩინარი მსაჭული	107
ცხელი ხაზი	149
სარკმლიდან მომზირალი ნამტირალევი თვალები	177

თინათინ ძიმიგური

„უფლის საჩუქარი“

რედაქტორი: ნინო გომიაშვილი

მხატვარი: ქეთი მატაბელი

გამომცემლობის რედაქტორი: მურად ჭოლოკავა

ტექნიკური რედაქტორი: თენგიზ სირაძე

კორექტორები: ნინო ინასარიძე

ზოია გრძელიძე

თბილისი

2009

H
M
C

